პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34,
ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური
- მიუნხენის პოლიციამ აკრძალა დემონსტრაციები საკოს და ვანცეტის სასარგებლოდ.
- კამპანია ინგლის - რუსეთის კომიტეტის წინააღმდეგ.
- სამხედრო საწყობის აფეთქება ჩანკოუში.
- მოსკოვში გამოემგზავრა ამერიკის პროფკავშირების დელეგაცია.
- პარიზის მუშა - მოსამსახურეების დემონსტრაცია.
- ახალი საქმე დორიოს წინააღმდეგ.

კვირა, 31 ივლისი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 172 (1917)

კვირას, 31 ივლისს
კანტორა ღია იქნება
ხელის მოწერის მისაღებათ
დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე
რუსთაველის პროსპ. № 34. 3—3

ჩემბერლენის მორიგი განცხადების გამო

ჩემბერლენი თემთა პალატაში გამოვიდა ახალი განცხადებით საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ. პირველ ყოვლისა მან გასცა პასუხი დეპუტატ ტრეველიანის შეკითხვაზე. ჰქონდა თუ არა ინგლისის პარიზელ ელჩს, კრიუს კავშირი უკრაინის საზღვარ-გარედ გაძევებულ „მთავრობის" წარმომადგენლებთან. ასეთ კავშირის არსებობის შესახებ გაზ. „იუმანიტე"-ში რამოდენიმე წერილი იქნა გამოქვეყნებული და შეკითხვაც ამან გამოიწვია. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემბერლენმა უპასუხა: „არც ლორდ კრიუს და არც სხვა ვინმეს მისი დავალებით არ დაუჭერია კავშირი ამ პირებთან"-ო (უკრაინის კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციასთან).

რა თქმა უნდა, ჩემბერლენის ამ განცხადებას არავითარი ღირებულება არა აქვს.

უდავოა, რომ ინგლისის მთავრობასთან ახლო დამოკიდებულებაში არიან საბჭოთა კავშირიდან გაძევებული სხვა და სხვა „მთავრობები" და ანტი-საბჭოთა ემიგრაციის ორგანიზაციები. ისინი ატუზული არიან ჩემბერლენის კარებთან და მუხლმოდრეკით ევედრებიან, რომ მან „მოწყალება გაიღოს" და ხელი შეუწყოს მათ „დამონებულ" ქვეყნების „განთავისუფლების" საქმეს. ასე იქცევიან ქართველი მენშევიკები, კავკასიის და საერთოდ საბჭოთა კავშირის ემიგრანტები. ეს სჩანდა კაუცკის წერილიდან, რომელიც ამას წინად გამოვაქვეყნეთ, აგრეთვე ყოფ. მეფის დიპლომატის საბლინის მიმოწერიდან. კიდევ სხვა მრავალი ფაქტებია ამის დამამტკიცებელი. სხვათა შორის, საყურადღებოა „ცნობილ" ლევიცკის (პეტლიურას მოადგილის) განცხადება, რომ უკრაინის „განთავისუფლების" ბრძოლაში დიდი იმედი მაქვს ინგლისის პოლიტიკურ, მორალურ და მატერიალურ დახმარებასაო.

ეს მოწმობს, რომ ლევიცკის და მის თანამოძმეთ მჭიდრო კავშირი აქვთ გაბმული ლონდონის მთავრობასთან.

თავის მხრივ ინგლისის დიპლომატია დიდი ხალისით იყენებს „ჩვენს" კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციას ანტი-საბჭოთა ელემენტების დასარაზმავად საბჭოთა კავშირში და აქ დამანგრეველ, ჯაშუშურ და ტერორისტულ მუშაობის გასაჩაღებლად, რამაც უნდა დაასუსტოს მუშურ - გლეხური მთავრობა და ინგლის გაუადვილოს მისი დამხობა. სხვა არა იყოს რა, ეს განა ნათელი არ გახდა უკანასკნელ დროს სახ. გაერთ. პოლიტსამმართველოს მიერ გამოქვეყნებულ მასალებიდან? ასე, რომ ჩემბერლენის ზემოთ მოყვანილი განცხადება მტკნარი სიცრუეა.

შემდეგ ჩემბერლენმა აღნიშნა: „მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში მყოფ საბჭოთა წარმომადგენლების მტრულმა პოლიტიკამ შეუძლებლად გახადა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, ჩვენ მაინც არ ვაპირობთ ამაზე უფრო შორს წასვლას ჩვენს კონფლიქტში"-ო. რას ნიშნავს ეს? ჩემბერლენს თუ დაუჯერეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობა ომს არ აპირებს, ჩვენს წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოლაშქრებისათვის ნიადაგს არ ამზადებს. ამ განცხადების სიმართლეს სრულებით აბათილებს კონსერვატორების მთავრობის ენერგიული ცდა, რომელიც მიმართულია ანტი-საბჭოთა ერთიანი სამხედრო და ეკონომიური ფრონტის შექმნისაკენ.

მაგრამ ამავე დროს ისიც უდავოა, რომ ეს ცდა ჯერ-ჯერობით მარცხით გათავდა. ჩემბერლენმა ვერ მოახერხა არამც თუ სამხედრო ბლოკის მოწყობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ; არამედ რაიმე მნიშვნელოვან გართულების შექმნა ჩვენ დამოკიდებულებაში სხვა სახელმწიფოებთან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში პოლონეთთან კონფლიქტს, რომელიც თითქოს მოწესრიგების სტადიაში იმყოფება. ხოლო რაც შეეხება ჩვენს ეკონომიურ ბლოკადას, რომელიც ბოლდუინის მთავრობის პროგრამის ერთ მთავარ მუხლს შეადგენს, ამ ბლოკადის მაგივრად ჩვენ ინგლისის ხარჯზე სხვა სახელმწიფოებთან კიდეც ვაფართოებთ აღებ-მიცემობას. სხვათაშორის, ამის საუკეთესო მაგალითია უკანასკნელად ჩვენ მიერ ამერიკულ ნავთის ფირმასთან დადებული ხელშეკრულება საბჭოთა ნავთის გაყიდვის შესახებ, რამაც მკაცრი შეხლა-შემოხლა გამოიწვია მრავალ სანავთო კონცერნებს შორის.

უეჭველია, რომ ინგლისი პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც დაზარალდა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტით. მან დაჰკარგა გასაღების და ნედლეულის ისეთი დიდი ბაზარი, როგორც საბჭოთა ქვეყანაა. ამან გაამწვავა ინგლისის სამრეწველო კრიზისი. აშკარაა, რომ ჩემბერლენის ანტისაბჭოთა ავანტიურა, ამიტომ, იწვევს ინგლისში მთავრობის წინააღმდეგ ოპოზიციონურ განწყობილების ზრდას არა მარტო მუშათა მასებში, არამედ ბურჟუაზიაშიც, თვით კონსერვატორთა ნაწილშიც. ამას მოწმობს თუგინდ დამატებითი არჩევნები, რომელმაც კონსერვატორებს სასტიკი დამარცხება არგუნა.

აქედან გასაგებია ჩემბერლენის ხსენებული განცხადება: ის ერთი მხრით გამოწვეულია შინა-პოლიტიკური მოსაზრებებით, ოპოზიციის ჩაჩუმების და მომავალ არჩევნებისათვის ნიადაგის მომზადების სურვილით, მეორე მხრით კი ის მოწმობს, რომ ინგლისი ომისათვის მზად არ არის, რომ მან ამხანად ვერ შესძლო ერთიან ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნა, რომ მას შინ ზურგი არა აქვს მტკიცე საგარეო შეიარაღებულ ავანტიურის დასაწყებათ. ჩემბერლენის განცხადება მისი ანტისაბჭოთა პოლიტიკის დამარცხების აღიარებაა.

მაგრამ ჩვენ სულელები და გულუბრყვილონი ვიქნებოდით, თუ აქედან გამოვიყვანდით დასკვნას, თითქო ომის საფრთხე განვლილი იყოს და ინგლისის იმპერიალისტები ხელს იღებდენ ჩვენს წინააღმდეგ სამხედრო სამზადისზე. ასეთი ფიქრის გავლება ერთი წუთითაც შეუწყნარებელია. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ინგლისის მთავრობა გააგრძელებს თავის მუშაობას ანტისაბჭოთა ფრონტის შესაქმნელად, ომის მოსამზადებლად. ჩემბერლენის განცხადებამ ჩვენი სიფხიზლე ოდნავადაც არ უნდა მიაძინოს.

ჩემბერლენი ამბობს: „ვაჭრობას ამ ქვეყანასთან (საბჭოთა კავშირთან) ჩვენ განვაგრძობთ. ჩვენ არაფერი ჩაგვიდენია ისეთი,, რაც ხელს შეუშლიდა ამ ვაჭრობას"-ო. ჩემბერლენს ალბად ჩვენი ვაჭრობისათვის ხელისშემწყობად მიაჩნია თავდასხმა არკოსზე და სეიფების დამტვრევა. ჩვენ ამ საკითხზე „ცოტა" სხვა აზრის ვართ. ვაჭრობის წარმოება შეუძლებელია იმ ქვეყანასთან, სადაც მისი უშიშროებისათვის და ნორმალური განვითარებისათვის ელემენტარულ შესაძლებლობას არ იძლევიან. და რომ სწორედ ასეა, არკოსზე ბანდიტურმა თავდასხმამ ეს თვალსაჩინოთ დაამტკიცა.

ჩემბერლენი, ბოლოს, შეეხო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების საკითხს. თუ საბჭოთა მთავრობამ გადასდგა ნაბიჯები ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, ჩვენ მის მიერ წამოყენებულ პირობებს განვიხილავთო, ამასთან დასძინა, რომ საბჭოთა წარმომადგენლობა მხოლოდ მაშინ იქნება დაშვებული ინგლისში, თუ მისი მოქმედება შეფარდებულ იქნება „მიღებულ დიპლომატიურ და საერთაშორისო ნორმებთან" და თუ ის „გამანადგურებელ" მუშაობას არ გასწევსო. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ჩვენი წარმომადგენლობა არავითარ „გამანადგურებელ" მუშაობას არ ეწეოდა, არავითარ „მიღებულ ნორმებს" არ არღვევდა. წინააღმდეგობის დამტკიცება ბოლდუინის მთავრობამ ვერ შესძლო. მიუხედავათ ამისა, მან პირველმა იკისრა პასუხისმგებლობა დამოკიდებულების ჩაშლისთვის, იმ იმედით, რომ სხვა ქვეყნებიც დაადგებოდენ მის გზას. მაგრამ, როგორც ვსთქვით, ანგარიშში შეცდა. ჩვენ დაუცდით იმ დროს, როცა ინგლისში შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, როცა საშუალება მოგვეცემა მასთან ნორმალური ურთიერთობის აღსადგენად. და რომ ეს დრო არც ისე შორსაა, ამას მოწმობს ის ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი, რომელსაც ადგილი აქვს ინგლისში და რომელმაც კონსერვატორები არ შეიძლება არ იმსხვერპლოს.

გამცემელთა მთლიანი ფრონტი

ინგლისის მემაღაროეთა კონფერენცია, რომელიც ესაა დამთავრდა, ძალიან მოგვაგონებს წარსული წლის ნოემბრის მემაღაროეთა კონფერენციებს. მემაღაროეთა ბელადებმა წარსული წლის ნოემბერში ნათლად გვიჩვენეს, რომ ისინი არსებითად ძალიან ცოტათი განსხვავდებიან პროფკავშირების იმ ბიუროკრატებისაგან, რომლებმაც 1926 წლ. 12 მაისს გასცეს გრანდიოზული გაფიცვა, რომელშიაც ენტუზიაზმით იღებდენ მონაწილეობას ინგლისის პროლეტარები. მემაღაროეთა ბელადების ბრალი არ იყო, რომ მათ 12 მაისს არ შეეძლოთ, გენსაბჭოს დანარჩენ წევრებთან ერთად ემოქმედათ: ისინი იმყოფებოდენ იმ მილიონ მემაღაროეთა უშუალო ზეგავლენის ქვეშ, რომელნიც მზად იყვენ ებრძოლათ უკანასკნელ შესაძლებლობამდე.

უკვე წარსული წლის ნოემბერში მემაღაროეთა ბელადებმა ჰერბერტ სმიტმა და რიჩარდ რიჩარდსონმა გვიჩვენეს თავისი ნამდვილი ბუნება. ამ გამცემელმა ბელადებმა ისარგებლეს მემაღაროეთა მოქანცულობით, მძიმე მდგომარეობის გამო და უეცრად აიღეს კურსი კაპიტულიაციაზე. ამ ბელადებმა იცოდენ, რომ ისინი გაიმარჯვებენ: მემაღაროენი დასუსტებული იყვენ სიმშილით და უძლურნი იყვენ ერთი მხრით გაჭირვებისა და მეორეს მხრით მაღაროს მეპატრონეთა, მთავრობისა და გამცემელ-ბელადთა ძლიერი მთლიანი ფრონტის წინაშე.

მაგრამ უკანასკნელ თვეებში სურათი სავსებით შეიცვალა. ასე, მაგალითად, გაფიცვის საკითხის განხილვის დროს ბოლდუინმა გაკვრით აღნიშნა, რომ უმცირესობას მემაღაროეთა კავშირში ხელმძღვანელი როლი ენიჭება. შემდეგმა ამბებმა გვიჩვენეს, ბოლდუინის განცხადება სავსებით დასაბუთებული იყო. როცა არჩევნები მოხდა ფაიფში, ლანკაშირში. სამხრეთ უელსში და ნოტინგემში—სპენსერისა და ვარლეის ყოფილ ციტადელში.—კომუნისტებმა და უმცირესობამ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს ძველ რეფორმისტულ ბელადებზე.

მემაღაროეთა უკანასკნელი კონფერენცია წარმოადგენს რეფორმისტულ და პროფკავშირთა ბიუროკრატიის საერთო კონსოლიდაციის როლს პროლეტარული მასების რევოლიუციონური სწრაფვების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, შეზბლმაგართა რეაქციის მფარველობის ქვეშ. ამ კონფერენციაზე ჰერბერტ სმიტი თავის თავს აღარ სახავდა პროლეტარულ მებრძოლად და ციხიკურად დადგა შავი, მზაკვრული გამცემლობის გზაზე. მას თან გაჰყვენ მისი მახლობელი დამქაშები. მაგრამ მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულ კონფერენცია არის სასტიკად აბუჩად აგდება იმ მუშათა ნებისყოფის, რომელთა მისწრაფებანი უნდა გამოეხატა კონფერენციას. დემოკრატიის დამოკიდებულების თვალსაზრისით განსაკუთრებით დამახასიათებელია ინგლის-რუსეთის კომიტეტისა და მუშათა პარტიაში კომუნისტების მიღების საკითხის შედეგები. ინგლის-რუსეთის მემაღაროეთა კომიტეტის დაუყოვნებლივ მოწვევას მიემხრო მემაღაროეთა ფედერაციის ორი უდიდესი ორგანიზაციის—სამხრეთ უელსის და შოტლანდიის კონფერენცია. ძველი ტრადიციების მიხედვით, ასეთი კონფერენციების გადაწყვეტილებას ჩვეულებრივ განიხილავდნენ მემაღაროეთა ფედერაციის საერთო ყრილობებზე. პროგრესის მომხრე დემოკრატმა ჰერბერტ სმიტმა ამ შემთხვევაში ფეხ ქვეშ გასთელა მემაღაროეთა მასიური ორგანიზაციების ნათელი დადგენილებანი—მან არ დაუშვა კენჭის ყრა ამ საკითხისა და მუშათა პარტიაში კომუნისტების მიღების შესახებ. რეზოლიუციას მუშათა პარტიაში კომუნისტების მიღების შესახებ ორი კონფერენციის—სამხრეთ-უელსის და შოტლანდიის გარდა, ხმა მისცეს აგრეთვე მემაღაროეთა ფედერაციის ერთმა დიდმა ორგანიზაციამ. სამ კონფერენციის [illegible] შეტანილ რეზოლიუციას სულ ხმა მისცა 22.000 კაცმა, ხოლო მის წინააღმდეგ 420.000 კაცმა. ასეთია ბატონ ტომასების და სმიტების დემოკრატია.

თავის თავად ცხადია, რომ მთელი ბურჟუაზიული პრესა ზეიმობს. არსებითად საქმე იმაში მდგომარეობს, რომ კონფერენცია აშკარად წავიდა მემაღაროეთა ფედერაციის წევრთა უდიდესი უმრავლესობის ნებისყოფის წინააღმდეგ.

მაკდონალდები, ტომასები და მათთან ერთად სმიტები და სხ. ენერგიულად მუშაობენ იმისათვის, რომ შეასრულონ ჩერჩილის და ბირკენჰედის სურვილი. მეტად დამახასიათებელია, რომ მემაღაროეთა ყრილობაზე რეაქციონერების გამარჯვების შესახებ ცნობასთან ერთად ჩვენ ვღებთ ცნობას, რომ გენერალური საბჭო იღებს უფრო მტკიცე კურსს ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლაზე.

ჰერბერტ სმიტის ხაზი ობიექტიურად უნდა შევაფასოთ ისე, როგორც შემადგენელი ნაწილი იმ საერთო კამპანიისა, რომელიც სწარმოებს ომის იდეოლოგიურათ მომზადებისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ თავისუფლების მოყვარულმა დემოკრატმა თავის თანამოძმეებს კონფერენციაზე უამბო, რომ საბჭოთა კავშირის მუშებს სული ხდებათ ძონობაში. მემაღაროებს შეუძლიათ აჩვენონ მას ოფიციალური ანგარიში საბჭოთა კავშირის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერა ჰერბერტ სმიტმა, როცა იგი დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან. ამ ანგარიშში ჰერბერტ სპენსერმა თავის ამხანაგებთან ერთად თეთრზე შავად დასწერა, რომ საბჭოთა კავშირი არის ერთად-ერთი სახელმწიფო, რომელსაც მუშები მართავენ. ეს ანგარიში დოკუმენტალურად ამტკიცებს იმ განცხადების სიცრუეს და სიყალბეს, რომელიც ჰერბერტ სპენსერმა გააკეთა უკანასკნელ კონფერენციაზე. მემაღაროენი განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან. უმუშევარ მემაღაროეთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება. ამავე დროს კატასტროფიულად ეცემა სამუშაო ხელფასი. ადვილი წარმოსადგენია, რომ მემაღაროენი მალე დარწმუნდებიან ჰერბერტ სმიტისა და სხ. განცხადებათა სიყალბეში და სისაძაგლეში. უმცირესობის პოზიცია განმტკიცდება, სმიტს კი ისეთივე ბედი ეწევა, როგორიც ხოჯესს და სპენსერს. ჰერბერტ სმიტმა და მისმა დამქაშებმა შესძლეს ჩაეშალათ ინგლის-რუსეთის მემაღაროეთა კომიტეტის შექმნის საქმე. მაგრამ ინგლისის მემაღაროე მუშათა მასები არ დაივიწყებენ მათი გმირული ბრძოლის დიად დღეებს, როცა საბჭოთა კავშირის მემაღაროები და საერთოდ პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ყველა დანარჩენი მუშები თავდადებით ეხმარებოდენ მათ, მეორეს მხრივ, საბჭოთა კავშირის მუშები არ დაივიწყებენ წარსული წლის ზაფხულის თვეებს, როცა მემაღაროებს სინდისიერად და მაღლა ეჭირათ კლასობრივი ბრძოლის დროშა. იმ თვეებში შექმნილი კავშირი უფრო ძლიერია იმ რეზოლიუციაზე, რომელიც ჰერბერტ სმიტს შეუძლია მოახვიოს თავზე მემაღაროეთა კონფერენციას ბატონ ბირკენჰედის კარნახით.

„პრავდა"

მოსკოვი, 30 ივლისი.

გერმანიის პრესა ჩემბერლენის სიტყვის შესახებ
გრძელდება ბრძოლა საბჭოთა ნავთის გარშემო.—ამხ. სოლოვიოვის განცხადება
სამთა კონფერენციის კრიზისი.—ამერიკა ინგლისის წინააღმდეგ
ჩან-ძო-ლინმა გადასწყვიტა საზავო მოლაპარაკება დაიწყოს ჩან-კაი-შისთან

ჩემბერლენი სცვლის პოლიტიკას

ბერლინი, 29 ივლისი. „ფოსიშე ცაიტუნგ"-ის ლონდონელი კორესპონდენტი, რომელიც ახლო სდგას ინგლისის ლიბერალურ წრეებთან, ჩემბერლენის განცხადებაში რუსეთთან დაახლოების შესაძლებლობის შესახებ, ხედავს „პირველხარისხოვან მნიშვნელობის ისტორიულ მოვლენას".

კორესპონდენტი იუწყება, რომ ლონდონის პარლამენტარულ და დიპლომატიურ წრეებში ჩემბერლენის განცხადებას უკეთებენ ასეთ კომენტარიებს: ინგლისი, რომელმაც გასწყვიტა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან შინაგან პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო, ამჟამად იძულებულია, ურთიერთობის გაწყვეტის მნიშვნელოვან შინაგან და საგარეო შედეგების გამოსასწორებლად, ისევ დაუახლოვდეს რუსეთს 75 პროცენტით.

ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ განვლილ პერიოდში ჩემბერლენი დარწმუნდა, რომ **საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტა იყო პოლიტიკურად უნაყოფო ნაბიჯი,** რომლის გამართლება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ორ შემთხვევაში: ან მაშინ, რომ ინგლისი ემზადებოდეს ომისათვის, ან მაშინ, რომ მას შეეძლოს სავსებით განახორციელოს საბჭოთა კავშირის ეკონომიური ბოიკოტი; რუსი ემიგრანტები რუსეთის მტრები ლიმიტროფულ სახელმწიფოებში და შინაგან-პოლიტიკური მღელვარება რუსეთში არ აღმოჩნდენ გამოსადეგი იარაღათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორც ამას მოელოდენ ურთიერთობის გაწყვეტის მომხრენი.

ერთა ლიგის უკანასკნელ სესიაზე ჟენევაში ჩემბერლენს შეეძლო დარწმუნებულიყო, რომ შეუძლებელია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პოლიტიკურ და ეკონომიურ ბლოკის შეკვრა. ამავე **დროს თვით ინგლისში თანდათან იზრდებოდა ურთიერთობის გაწყვეტის ეკონომიურ და პოლიტიკურ შედეგებით გამოწვეული უკმაყოფილება; ამ უკმაყოფილებამ მოიცვა არა მარტო ოპოზიციონურ პარტიების წრეები, არამედ სიტის გავლენიანი წრეებიც.** ვოიკოვის მკვლელობა ვარშავაში, ვენის ამბები, განუმტკიცებელი პოლიტიკური მდგომარეობა ევროპაში, ოპოზიციის გამარჯვება დამატებით არჩევნებში და ინგლისის მრეწველობის მიერ დაკვეთების დაკარგვა—ყველა ეს ფაქტორები მოქმედებდენ ერთსა და იმავე მიმართულებით.

საეჭვოა, რომ ჩემბერლენს გაეკეთებია ასეთი ზომიერი განცხადებები რუსეთის შესახებ, რომ ჟენევის საზღვაო განიარაღების კონფერენცია სხვანაირად მიმდინარეობდეს. როგორც სჩანს, ინგლის-ამერიკის ურთიერთობის ერთგვარი გაუარესება წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მიმართ ინგლისის პოლიტიკის შეცვლის გადამწყვეტ ფაქტორს. (ადს).

მსოფლიო ბრძოლა ნავთისათვის
ნავთის მრეწველთა „მორალი"

ნიუ-იორკი, 29 ივლისი. იხილავს რა დეტერდინგის „მორალურ" საბუთებს საბჭოთა ნავთის ყიდვის წინააღმდეგ, საფინანსო წრეების ორგანო „უოლსტრიტ ჯორნალ" და რეაქციონური „ნიუ-იორკ ჰერალდ ენდ ტრიბიუნ" წინადადებას აძლევენ დეტერდინგს სინჯოს იმის უარყოფა, რომ ის იანვარში ცდილობდა საბჭოთა ნავთის გაყიდვის მონოპოლიის მიღებას. „ბალტიმორ სენ" ამბობს, რომ ამერიკელები საკმაოდ კარგად იცნობენ ნავთის მრეწველების მორალს და არ სწამთ, რომ ეხლანდელი კონფლიქტი ეთიკური მიზეზებით განისაზღვრებოდა.

„სტანდარტ ოილ კომპანი ნიუ-იორკი"-ს თავმჯდომარე პრატტი გაემგზავრა ევროპაში იმ მიზნით, რომ მოელაპარაკოს დეტერდინგს, „სტანდარტ ოილ კამპანი ნიუ-ჯერსი"-ს მეთაურ ტიგლისა და ჯონ როკფელერ-უმცროსს, რომლებიც ამჟამად ევროპაში იმყოფებიან.

„სტანდარტ ოილ კომპანი" ნიუ-იორკში ოფიციალურად არ უპასუხებს დეტერდინგის თავდასხმას იმის გამო, რომ, როგორც გადმოგვცემენ, უცდის თავის იურისკონსულტ იუზის ევროპიდან დაბრუნებას. ეს უკანასკნელი მისი ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატების სახელმწიფო მდივნად ყოფნის დროს მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა კავშირისადმი, მაგრამ როგორც სჩანს „სტანდარტ ოილ"-ის იურისკონსულტმა მოიწონა საბჭოთა ნავთზე გარიგება. მიუხედავათ ამისა „სტანდარტ ოილ ნიუ-იორკი"-ს ოფიციალური დუმილი არ უშლის ხელს საგანგებოდ შეკვეთილ წერილების გამოქვეყნებას, რომლებიც ამხილებენ დეტერდინგის პრეტენზიებს.

ამ ინციდენტის განხილვა გაზეთებში აშკარად მოწმობს იმას, რომ ამერიკის პრესა თანდათანობით უფრო დამოუკიდებელი ხდება ინგლისის პოლიტიკისაგან საბჭოთა კავშირის მიმართ. ამას ხელს უწყობს ამერიკისა და ინგლისის შორის დამოკიდებულების გამწვავება და წინააღმდეგობათა ზრდა. წინად ამერიკის პრესა სავსებით ჰბაძავდა ინგლისის ხაზს საბჭოთა კავშირის მიმართ. ეხლანდელი პოლემიკა აშკარავებს ინგლისსა და ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატებს შორის არსებულ ინტერესთა წინააღმდეგობას. (ადს).

ამხ. სოლოვიოვის განცხადება

ბერლინი, 29 ივლისი. ნავთის სინდიკატის თავმჯდომარემ ამხ. სოლოვიოვმა, რომელიც ამჟამად ბერლინში იმყოფება, იქონია საუბარი „იუნაიტედ პრეს"-ის წარმომადგენელ ფრედერიკთან საბჭოთა ნავთის გარშემო წარმოებულ კამპანიის შესახებ.

სოლოვიოვმა განაცხადა, რომ მაშინ, როდესაც „როიალ დეტჩ შელი" სცდილობს მოაწყოს საბჭოთა ნავთის საერთაშორისო ბოიკოტი, იგივე ინგლის-ჰოლანდიის ორგანიზაცია არაპირდაპირი გზებით ყიდულობს და ჰყიდის საბჭოთა ნავთს.

სოლოვიოვმა აღნიშნა, რომ „როიალ დეტჩ შელი" ახლაც კი ყიდულობს საბჭოთა ნავთის პროდუქტებს ყოფილ ჰამბურგის ფირმის „შტერნ ზონებერგ"-ის საშუალებით. სოლოვიოვმა ხაზი გაუსვა, რომ „როიალ დეტჩ შელ"-ის ანტისაბჭოთა კამპანია უკვე ახლავე აღმოჩნდა უნაყოფო.

ბერლინის დიპლომატიურ წრეებში ადრევე აღნიშნავდენ, რომ **მიუხედავათ დეტერდინგის კამპანიისა, საფრანგეთის და ინგლისის საზღვაო სამინისტროები ყიდულობენ საბჭოთა ნავთს.**

სოლოვიოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა ნავთის წინააღმდეგ გამართულ კამპანიას ნავთის სინდიკატი პასუხს გასცემს **პროდუქციის და გაზიდვის აწევით. მიმდინარე სამეურნეო წელში საბჭოთა კავშირიდან ნავთის გაზიდვამ უკვე ორჯერ მეტად გადააჭარბა რუსეთიდან ნავთის გაზიდვას 1919 წელში;**

„როიალ დეტჩ შელი", სოლოვიოვის სიტყვით, დღემდე ჰყიდდა ბუნკერულ მაზუთს იმ ბაზრებზე, სადაც ახლა „ნიუ-იორკის სტანდარტ ოილი" ივაჭრებს საბჭოთა ნავთით.

შეეხო რა თავის მოგზაურობის მიზანს, სოლოვიოვმა განაცხადა, რომ მის ამოცანას შეადგენს განავითაროს ურთიერთობა ნავთის სინდიკატსა და ცალკე ქვეყნების დამოუკიდებელ ნაციონალურ ნავთის კონცერნებს შორის.

„ამ გზით, განაცხადა დასასრულ ამხ. სოლოვიოვმა, ჩვენ თავს დავაღწევთ დამოკიდებულებას მსოფლიო კონცერნებისაგან". (ადს).

ბრძოლა ჩინეთში

ბერლინი, 29 ივლისი. 29 ივლისს ტიან-ძინში გაზეთ „ხუაბეი სინვენი"-ს (გომინდანის მომხრე გაზეთია) სტამბაში გადაისროლეს ყუმბარა. გაზეთი მოთავსებულია საფრანგეთის კონცესიის ტერიტორიაზე. (ადს).

ხანკოუ, 29 ივლისი. გომინდანის ცენტ. კომიტეტის მუშათა განყოფილების განსაკუთრებულმა კომისიამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ პროფკავშირების 30-ზე მეტი შენობა ჯარების მიერ არის დაკავებული. რეზოლიუცია მოითხოვს, რომ გომინდანის ცეკამ მიიღოს ზომები ჯარების პროფკავშირთა შენობებიდან გასაყვანად. (ადს).

ჩან-კაი-ში თუ პარტია?

შანხაი, 29 ივლისი. უხანის მთავრობის სამხედრო მეთაურთა ჯგუფმა მათ შორის **ტან-შენ-ჩიმ,** გამოაქვეყნეს ცირკულიარული დეპეშა, რომელიც მიმართულია ჩან-კაი-შის არმიის სამხედრო მეთაურებისადმი. დეპეშაში ნათქვამია, **რომ ჩან-კაი-ში დამნაშავეა ნაციონალურ რევოლიუციის დაბრკოლებებში, რომ მისი ღალატი არა, ნაციონალური ჯარები უკვე პეკინში იქნებოდენ.**

შემდეგ დეპეშაში ნათქვამია, რომ გომინდანის ცეკა ახლა აწარმოებს ბრძოლას კომუნისტების წინააღმდეგ. დეპეშის იმ ნაწილში, რომელიც მიმართულია ჩან-კაი-შის გენერლებისადმი, ნათქვამია:

„კითხვა ახლა ასე სდგას: **ან უნდა გვყავდეს ჩან-კაი-ში და არ გვქონდეს პარტია, ან უნდა გვქონდეს პარტია და უარვჰყოთ ჩან-კაი-ში".** (ადს).

აფეთქება ხანკოუში

ხანკოუ, 29 ივლისი. გამოურკვეველი მიზეზების გამო, **უჩანში მოხდა სამხედრო საწყობის აფეთქება. აფეთქების შემდეგ 9 საათის განმავლობაში გრძელდებოდა ხანძარი. მოკლულია 70 ჯარის კაცი, დაჭრილია—40.** აფეთქებამ და ხანძარმა გაანადგურა 60.000 ყუმბარა, რომელიც შეფასებულია ნახევარ მილიონ დოლარათ. კვლევა-ძიება სწარმოებს. (ადს).

„ჩაინა კურიერ"-ი არ იხდის ხარკს

შანხაი, 29 ივლისი. ინგლისური პრესის ცნობით, მუნიციპალურ საბჭოს განკარგულების თანახმად ელექტრონის ენერგიის შეწყვეტის გამო ხუთმა ხელმძღვანელმა ჩინურმა გაზეთმა, რომლებიც ჩინურ ენაზე გამოდიან, შეიტანა ხარკები ორპროცენტიანი დამატებით. მხოლოდ „ჩაინა კურიერ"-ი განაგრძობს წინააღმდეგობას და გამოვიდა შემცირებული ფორმატით; გაზეთი აწყობილ იქნა ხელით სანთლების სინათლეზე. გუშინ გაზეთი გამოვიდა ინგლისურ საღამოს გაზეთ „მერკური"-ს დახმარებით, რომელიც ეკუთვნის ჩინელებს და გამოდის ინგლისურ ენაზე. დღეს ამ გაზეთებმა მუნიციპალურ საბჭოს ზეგავლენით უარი განაცხადეს „ჩაინა კურიერ"-ისთვის დახმარების აღმოჩენაზე.

პატარა დუქნები ყურადღებას არ აქცევენ მუნიციპალურ საბჭოს. მუქარას ენერგიის შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან ეს მათ არ ეხება. **სეტლმენტის ერთ-ერთი ქუჩის დუქნების მეპატრონეებმა მუნიციპალურ საბჭოს გაუგზავნეს ირონიული წერილი, რომელშიაც აცხადებენ, რომ სანთლები და ლამპები უფრო ხელმისაწვდომი და იაფია, ვიდრე ელექტრონის ენერგია.**

მუნიციპალურ საბჭოს მოქმედებამ გამოიწვია მთელი რიგი პროტესტები, მაგრამ ჩინეთის სამხედრო ხელისუფლება განაგრძობს გაფიცვების და დემონსტრაციების აკრძალვას. (ადს).

ანკინი და უხანი ჯარებს აგროვებენ

შანხაი, 29 ივლისი, პრესის ცნობით, ცზიუცზიანის რაიონში გრძელდება ნანკინის და უხანის ჯარების კონცენტრაცია. უხანის მეორე და მეექვსე არმია უკვე გამოვიდა ხანკოუდან. მე-25 არმია ხოჩენში ემზადება შეტევისათვის. ტოხოს სააგენტო აქვეყნებს რა ამ ცნობას, უმატებს, რომ უხანის მთავრობა და სამხედრო ბელადები თხოულობენ ჩან-კაი-შის განადგურებას, მაგრამ უხანის და ნანკინის ჯარების შეტაკება ეხლა უფრო ნაკლებ მოსალოდნელია, ვინემ წინად ფიქრობდენ (ადს).

ჩან-ძო-ლინის და ჩან-კაიშის მოლაპარაკება ზავის შესახებ

პეკინი, 29 ივლისი. გონენის სააგენტო იუწყება, რომ **რადგანაც ჩან-ცზო-ლინს არ სურს, რომ ჩან-კაი-ში დამარცხებულ იქნას უხანის ჯარების მიერ, მან გადასწყვიტა განაახლოს მოლაპარაკება ნანკინთან.**

მოლაპარაკება იმდენათ განვითარდა, რომ იგი უკვე შეეხება წარმომადგენლების დანიშვნას ფორმალური მოლაპარაკების საწარმოებლად ზავის შესახებ.

საზავო მოლაპარაკებაზე ანგოცზიუნის წარმომადგენლებად იქნებიან პეკინის მთავრობის პრემიერი **პან ფუ დი გენერალი ია ნუ-ტინი.** ჩან-კაი-შის წარმომადგენლად იქნება გენერალი ხო-ჩუნ ჟუი.

ჩან-კაი-შიმ მოიწონა მუკდენის შემდეგი პირობები დროებითი ზავისათვის: შანდუნის ჯარები ღებულობენ კონტროლს სიუჩჟოუზე; პოლიტიკურ კითხვებს განიხილავს სახალხო კონფერენცია, რომელიც მოწვეული იქნება კომუნისტების წინააღმდეგ კამპანიის დასრულების შემდეგ; ნანკინი და პეკინი მიმართავენ საერთო მოქმედებას წითლების წინააღმდეგ და შანდუნის ჯარი აღარ მიიწევს სიუჩჟოუსაკენ. (ადს).

სამთა კონფერენციის კრიზისი

ბერლინი, 29 ივლისი. ხელმეორედ დაწყებული კრიზისის შესახებ ვოლფის სააგენტოს ჟენეველი კორესპონდენტი იუწყება:

„ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის თავმჯდომარე გიბსონი გამოვიდა ინგლისის წინადადების მთელი რიგი პუნქტების წინააღმდეგ, კერძოთ მსუბუქი კრეისერების 6 დიუმიანი ზარბაზნებით შეიარაღების წინააღმდეგ. ამის გარდა, ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატებისათვის დაწესდეს ნორმა—17 კრეისერი 10.000 ტონა წყლის ტევადობით და აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებს კრეისერების უფრო მეტი რიცხვი ესაჭიროება. კონფერენციის წრეებში აშკარად პესიმისტური განწყობილებაა. სრულიად საწინააღმდეგო აზრები არსებობს იმის შესახებ, თუ როგორ ფორმებში გამოიხატება მოლაპარაკების ჩაშლა. მაშინ, როდესაც კონფერენციის ზოგიერთ წრეებში სავსებით დაჰკარგეს რაიმე შეთანხმების იმედი, სხვა წრეებში აცხადებენ, რომ ინგლისის მიერ გამოქვეყნებული წინადადება ჯერ კიდევ უკანასკნელი სიტყვა არაა. თუ მსჯელობას ვიქონიებთ ჩემბერლენის განცხადების მიხედვით თემთა პალატაში, უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისის დელეგაცია იხსნის კონფერენციას სრული და საბოლოო ჩაშლისაგან და უკანასკნელ წუთში გამოვა ახალი წინადადებებით, რომელშიაც აღნიშნული იქნება მეტად მცირე ვადით განსაზღვრული პროექტი ინგლისის კრეისერების საკითხის მოსაწესრიგებლად. (ადს).

სამთა კონფერენცია და ამერიკა

ვაშინგტონი, 29 ივლისი. ჩრდილო ამერიკის შეერთ. შტატების წრეებში ფიქრობენ, რომ **სამთა კონფერენცია აუცილებლად ჩაიშლება უახლოეს ხანში. საზღვაო უწყების წრეები არ მალავენ თავის კმაყოფილებას ასეთი პერსპექტივით და იმედოვნებენ, რომ კონგრესი დაამტკიცებს თანხების გადიდებას საზღვაო აღმშენებლობისათვის იმ მიზნით, რომ მეტოქეობა გაეწიოს ინგლისს.**

პრესის საერთო ტონი ჩემბერლენის განცხადების მიმართ კრიტიკულია. ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ინგლისი შეიარაღებათა თანასწორობისაკენ მისწრაფვის მხოლოდ თეორიაში, ფაქტიურად კი სცდილობს თავისი უპირატესობის დამკვიდრებას ზღვაზე. (ადს).

განხეთქილების წინ

ბერლინი, 29 ივლისი. დელეგაციების თავმჯდომარეებმა სამთა კონფერენციაზე ჟენევაში რამდენიმე საათს ითათბირეს. ბრიჯმენმა ოფიციალურად აცნობა კონფერენციას ინგლისის მთავრობის უკანასკნელი წინადადება, რომელიც არსებითად ეთანხმება ინგლის-იაპონიის შეთანხმების საფუძველზე გაკეთებულ წინადადებებს. თათბირის დროს გიბსონმა წამოაყენა მთელი რიგი საწინააღმდეგო მოსაზრებები, ასე რომ შეთანხმება შეუძლებელი გახდა. ამიტომ გადაწყდა კონფერენციის საჯარო პლენარულ სხდომის მოწვევა, რომელმაც „მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს უნდა მისცეს სამ დიდ საზღვაო სახელმწიფოს სხვადასხვა თვალსაზრისების შეფასების საშუალება". ამ განხეთქილებას აფასებენ, როგორც ჟენევის კონფერენციის სრული ჩაშლის დასაწყისს. (ადს).

დემონსტრაცია პარიზში

პარიზი, 29 ივლისი. ომში დაზარალებულმა სახელმწიფო მოსამსახურეებმა და მუშებმა სამხედრო სამინისტროს წინ მოაწყვეს მანიფესტაცია. მანიფესტანტებმა სამხედრო მინისტრს გაუგზავნეს დელეგაცია, რომელმაც პროტესტი განუცხადა იმის წინააღმდეგ, რომ არ ატარებენ ცხოვრებაში 1924 წლის კანონს პენსიების შესახებ. მანიფესტაცია უინციდენტოდ ჩატარდა. სამხედრო სამინისტროს შენობასთან დაყენებული იყო პოლიციის გაძლიერებული რაზმები. (ადს).

ვენის ამბების შემდეგ

დაპატიმრებანი გრძელდება

ვენა, 29 ივლისი. **ვენაში ისევ გრძელდება ჩხრეკა და დაპატიმრება. აპატიმრებენ უმთავრესად მუშებს, პოლიტიკურ ემიგრანტებს და უცხოელ სტუდენტებს.** დაპატიმრებულია 3 სტუდენტი, რომელნიც რემედასის წევრები არიან და 3 უნგრელი ემიგრანტი. (ადს).

ოფიცერმა ხმლით ასჩეხა მოხუცებული მუშა

ვენა, 29 ივლისი. 28 ივლისს მოხდა შემდეგი ინციდენტი. ტრამვაიში მოხუცებულმა მუშამ რაღაც შენიშვნა მედლებით და ჯვრებით დამშვენებულ ავსტრიელ ოფიცრის შესახებ. გაჩერებაზე ოფიცერმა ხმლით ასჩეხა მოხუცი მუშა და ავტომობილით გაპარვა მოინდომა, მაგრამ მუშებმა გააჩერეს მანქანა და გარს შემოერტყენ ოფიცერს. ის ძლივს გადაარჩინა პოლიციამ იმით, რომ წაიყვანა სამმართველოში, სადაც მალე განთავისუფლდა.

აღშფოთებამ იმ უბნის მუშებში, სადაც ადგილი ქონდა ამ ინციდენტს, მიაღწია უკიდურეს საზღვარს. (ადს).

გერმანიის მუშების დემონსტრაცია

ბერლინი, 29 ივლისი. 29 ივლისისათვის, დანიშნული სოლიდარობის ღია დემონსტრაცია აკრძალული იქნა უკანასკნელ წუთს. ამიტომ დემონსტრანტები შეიკრიბენ დახურულ სადგომში. კრებას დაესწრო რამდენიმე ათასი კაცი. სიტყვებით გამოვიდენ პიკი და ავსტრიის კომპარტიის წარმომადგენელი.

კომპარტია იწვევს ბერლინში კიდევ ორ მასიურ კრებას, ვენაში მომხდარ ამბების აღსანიშნავად. ამ კრებებზე გამოვა პიკი. (ადს).

კამპანია ინგლის-რუსეთის კომიტეტის წინააღმდეგ

ლონდონი, 29 ივლისი. „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტი წერილს უძღვნის იმ გარემოებას, რომ შესაძლებელია გენერალურმა საბჭომ ლიკვიდაცია უყოს ინგლის-რუსეთის კომიტეტს. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ეს „მეტად შეუწყობს ხელს საბჭოთა ბელადების იზოლიაციას". კორესპონდენტს მოჰყავს გენერალური საბჭოს წარმომადგენლის აზრი (წარმომადგენელს კორესპონდენტი არ ასახელებს), რომელმაც განაცხადა: „თქვენ აშკარად შეამჩნევთ უახლოეს 12 თვის განმავლობაში, ამ იზოლიაციის შედეგებს."

გენერალური საბჭოს წევრმა სიტრინმა, პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს, ამსტერდამის ინტერნაციონალის მომავალი კონფერენციის შესახებ, განაცხადა:

„ჩვენ ვცდილობთ, გავაფართოვოთ ამსტერდამის ინტერნაციონალის მოქმედება იმისათვის, რომ ამ ინტერნაციონალში მთლიანად იქნეს მოქცეული ყველა ერის პროფკავშირების ცენტრები. **შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს რუსეთს.** ჩვენი ცდა, რუსეთის ფართე პროფესიონალური მოძრაობის ამსტერდამის ინტერნაციონალში, მოსაქცევად ყველასათვის ცნობილია და არ საჭიროებს დამატებით ახსნა-განმარტებას". (ადს).

„მსოფლიო წესრიგის" ლიგა

ლონდონი, 29 ივლისი. ლონდონში შესდგა საინიციატივო ჯგუფის სხდომა, რომელსაც განზრახული აქვს მსოფლიო წესრიგის ლიგის დაარსება.

სხდომაზე გამოსულმა ბირკენჰედმა, თავისი სიტყვა უძღვნა საბჭოთა რუსეთს. მან კმაყოფილებით აღნიშნა ის გარემოება, რომ ინგლისის მუშათა მოძრაობის ბელადები უფრო და უფრო შორდებიან საბჭოთა მეთაურებს და განაცხადა:

„ინგლისს სურს საბჭოთა კავშირთან საქმიანი ურთიერთობის აღდგენა, მაგრამ ეს შეუძლებელია მანამ, სანამ საბჭოები არ უარჰყოფენ თავის განზრახვას ინგლისში არსებულ წესწყობილების დამხობის შესახებ".

სხდომას დაესწრო აგრეთვე საბჭოთა კავშირის ცნობილი მტერი ოლივერი ლოკერ ლემპსონი და მრავალი ლიბერალები. (ადს).

ვინ შესცვლის ბოლდუინს

ლონდონი, 29 ივლისი. „ნიუ-ლიდერის" ცნობით, ლოიდ-ჯორჯმა წამოაყენა შემდეგი წინადადება ლიბერალებისა და მუშათა პარტიისაგან კოალიციონური მთავრობის შექმნის შესახებ. **პრემიერად უნდა იქნეს სნოუდენი. ლოიდ-ჯორჯი მიიღებს მიწად-მოქმედების მინისტრის პორტფელს. მთავრობაში უნდა შევიდეს 3-დან 4 ლიბერალი და უნდა მოხდეს** შეთანხმება პროგრამის შესახებ ხუთი წლის ვადით. (ადს).

შრომის საყოველთაო კონფედერაციის ყრილობა

კამათი საერთო ანგარიშის გარშემო

პარიზი, 29 ივლისი. საყოველთაო შრომის კონფედერაციის ყრილობაზე დასრულდა კამათი საერთო ანგარიშის გარშემო.

ოპოზიცია გმობდა ხელმძღვანელობას, განსაკუთრებით რევოლიუციონური სინდიკალიზმის უარყოფისათვის. გრანდენმა (მთლიანობის მომხრეთა ჯგუფიდან) განაცხადა, რომ ის პოლიტიკური პარტიების გარეშე სდგას და აღნიშნა, რომ **მასები მოითხოვენ მთლიანობას, ბელადები კი ამ მოთხოვნილებას ეწინააღმდეგებიან.**

მონატმა აღნიშნა, რომ ძველს კონფედერაციაში ანარქისტები შეადგენდენ რეფორმისტულ უმცირესობას, მაგრამ მიუხედავათ ამისა, კონფედერაციაში მათ ყოფნას ურიგდებოდენ, მონატი მოითხოვს ამიტომ ასეთივე დამოკიდებულებას დღევანდელი კონფედერაციის რევოლიუციონური უმცირესობის მიმართ. მონატმა აღნიშნა, რომ ამჟამად არსებობს სამი მიმართულება: სოციალისტური, კომუნისტური და წმინდა სინდიკალისტური. შემდეგ მან განაცხადა, რომ რეფორმისტებს განხეთქილების შეტანა განზრახული ჰქონდათ ჯერ კიდევ 1918 წელს, როდესაც კლერმონ-ფერანის ყრილობაზე დაემუქრენ ამ განხეთქილებით გარგეიმს და აიძულეს მოეხსნა ციმერვალდის რეზოლიუცია.

ჟუომ თავისი სიტყვა დაიწყო ერთა ლიგის პაციფისტური მუშაობის დაცვით. მისი თქმით ერთა ლიგას უხდება არა მარტო ეკონომიური წინააღმდეგობათა დაძლევა, არამედ მუშათა მასების ეგოიზმის დაძლევაც. ამის დასამტკიცებლად ჟუომ განაცხადა, რომ მეტალისტთა ინტერნაციონალმა უარი სთქვა საკითხის წამოყენებაზე სამხედრო მრეწველობის მუშების წინაშე, რომლებიც ცხოვრობენ ამ მრეწველობით, იარაღის დამზადების შემცირების შესახებ. შემდეგ ჟუომ გამოსთქვა თავისი უკმაყოფილება საბჭოთა კავშირის „უკიდურესი მილიტარიზმის" გამო, რაც მისი აზრით აშკარავდება იმ გარემოებაში, რომ საბჭოთა კავშირმა უარი სთქვა განიარაღების კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე. დასასრულ ჟუომ ქება შეასხა რეფორმისტულ კონფედერაციას, რომელმაც პირველმა წამოაყენა საკითხი ვალიუტის სტაბილიზაციის შესახებ. (ადს).

აზრთა სხვადასხვაობა ოპოზიციაში

ყრილობის პრეზიდიუმის მიერ ცეკას ანგარიშის გარშემო კენჭის ყრის დროს ნახმარმა ხრიკმა (მთლიანობის საკითხი გამოყოფილი იქნა) გამოიწვია ოპოზიციაში აზრთა სხვადასხვაობა. მიუხედავათ იმისა, რომ ჟუო ამხედრდა პარიზის რკინისგზელთა რეზოლიუციის წინააღმდეგ პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ ზოგიერთმა დელეგატებმა, რომლებსაც სასტიკად ჰქონდათ დავალებული რეზოლიუციის დაცვა, ხმა მისცეს ცეკას ანგარიშს. და თავის მოქმედებას ასაბუთებდენ იმით, რომ საკითხი მთლიანობის შესახებ გამოყოფილი იყოვო. (ადს).

შრომის საყოველთაო კონფედერაციის ყრილობაზე

პარიზი, 29 ივლისი. შრომის საყოველთაო კონფედერაციის ყრილობის დილის სხდომაზე რეზოლიუციის შემთანხმებელმა სპეციალურმა კომისიამ, შეთანხმებისათვის შეიტანა ორი რეზოლიუცია: უმცირესობათა რეზოლიუცია, რომელიც მხარს უჭერს პარიზის რკინისგზელთა რეზოლიუციას, ოფიციალური რეზოლიუცია, რომელიც მთლიანად ეთანხმება საყოველთაო კონფედერაციის კომიტეტის მიერ აპრილში მიღებულ რეზოლიუციას. რეზოლიუციები უკამათოდ წარმოადგინეს კენჭის საყრელად. მიღებულ იქნა ოფიციალური რეზოლიუცია 1.707 ხმით წინააღმდეგ 255-სა; 31 თავი შეიკავა. კენჭის ყრა პროფკავშირების მიხედვით მოხდა (ადს).

ლატვია და საბჭოთა კავშირი

მემარჯვენეები ცდილობენ ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულების ჩაშლას

რიგა, 29 ივლისი. შესდგა ვაჭარმრეწველთა მემარჯვენე ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება, ლატვია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების საკითხის განსახილველად. კრებამ ხელშეკრულების დადების წინააღმდეგ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია, რომელიც გაზეთების სიტყვით, გადაეცემა სეიმსა და მთავრობას.

კრებაზე არ დაუშვეს ის სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციები, რომელნიც ემხრობიან ხელშეკრულებას, როგორც მაგალითად, ლატვიის სავაჭრო სამრეწველო შინამრეწველთა გაერთიანებული ორგანიზაციები, რომელთაც განყოფილებები აქვთ მთელს ქვეყანაში.

ამ გაერთიანების თავმჯდომარემ კარლსონმა „სოციალ-დემოკრატს"-ის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა: **„თათბირი ცდილობდა სამეურნეო წრეების აზრის გაყალბებას ხელშეკრულების შესახებ. ეს ხდება უცხოეთის ფირმების გავლენით. ჩვენ კი ხელშეკრულებას მხარს უჭერთ და გვწამს, რომ ის რეალურ ნაყოფს გამოიღებს".**

„ლიუმანიტე"-ს განცხადება

პარიზი, 30 ივლისი. „ლიუმანიტე" აღნიშნავს რა კამპანიის განახლებას კომინტერნისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შპიონაჟის პროცესის საბაბით, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ **კავშირი არსებობს ამ კამპანიისა და კომპარტიის კანონს გარეშე გამოცხადების შესახებ მოთხოვნილების შორის.**

„რეზერვისტების მანიფესტაცია—ამბობს გაზეთი,—არის არაა კომუნისტების საქმე, არამედ ობიექტიური პირობების შედეგი.

მემარცხენე ბლოკი იბრძოდა რეზერვისტების განმეორებითი შეკრების წინააღმდეგ. ნაციონალური მთლიანობის ბლოკმა შემოიღო ეს ზომა და არ არის გასაკვირველი, რომ სტიქიურად დემონსტრაციები ხდება. პროლეტარული ორგანიზაციები არ დასტოვებენ რეზერვისტებს, რომელთაც მოელის რეპრესიები". (ადს).

საქართველოს [illegible] ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

გომინდანის ცეკას მოწოდება

ხანკოუ, 30 ივლისი. გომინდანის ცეკა მოწოდება ჯარისკაცებისა და სამოქალაქო მოხელეებისადმი ბრალსა სდებს ჩან-კაი-შის, რომ მან ჩაშალა პეკინზე გალაშქრება.

„მთავარ მტერს,—ნათქვამია მოწოდებაში,—წარმოადგენს ჩან-კაი-ში, რომელიც უნდა მოისპოს. მან შესასუსტა გომინდანის გაერთიანებული ფრონტი ნანკინის მთავრობის შექმნით, რომ მას არ გაეწყვიტა კავშირი ჩვენთან და შეესრულებია პეკინზე გალაშქრების საერთო გეგმა, გომინდანის მთავრობა ახლა იქნებოდა ჩინეთში. ის არწმუნებდა ფინ-იუი-სიანს და ენ-სი-შანს არ გაეგზავნათ ჯარები იმ ოპერაციებისათვის ხელშესაწყობად, რომლებიც სწარმოებდა ხენანში და ჩჟილში. მან შესძლო დაერწმუნებინა ენ-სი-შანი, მაგრამ ვერ დაარწმუნა ფინ-იუი-სიანი და ამიტომ შესაძლებელი გახდა ხენანის აღება, თუმცა დიდი მსხვერპლით. შემდეგ ჩან-კაი-შიმ იან-სენს და სია-დიუნს მოაწყობია აჯანყება უხანის მთავრობის წინააღმდეგ ხენანის ოპერაციების განვითარების მომენტში.

მან გასცა რევოლიუცია და ამიტომ მოსპობილ უნდა იქნეს. (ადს)

მიტინგები ომის წინააღმდეგ

პარიზი, 30 ივლისი. კვირას საფრანგეთის კომპარტია აწყობს „ნაციონალურ ანტიმილიტარისტულ მიტინგს", რომელიც მიძღვნილია კომპანიისათვის ომის წინააღმდეგ და საფრანგეთის ახალ სამხედრო კანონების წინააღმდეგ.

გუშინ პარიზის ყველა რაიონების წარმოებებში ჩატარდა მფრინავი მიტინგები პარტიული ლოზუნგებით. (ად).

კანონი პროფკავშირების შესახებ დამტკიცებულია

ლონდონი, 30 ივლისი. გუშინ დაიხურა ლორდთა პალატის სესია. ახალი სესია გაიხსნება 8 ნოემბერს. მეფემ დაამტკიცა 94 ახალი კანონი, რომლებიც პარლამენტში გატარდა წარსულ სესიაში, მათ შორის კანონი პროფკავშირების შესახებ. (ადს)

ინგლისის პოლიტიკის შეცვლა საბჭოთა კავშირის მიმართ

ლონდონი, 30 ივლისი. „ვესტმინსტერ გაზეტ"-ი, იხილავს რა ჩემბერლენის განცხადებას საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ გამოსთქვამს აზრს, რომ „სერიოზული მსჯელობის შემდეგ მთავრობამ საჭიროდ სცნო გადასინჯოს მისი პოზიცია საკითხში საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ. (ადს)

პილსუდსკი ვილნოში

ვარშავა, 30 ივლისი. გაზეთი „ვარშავსკა პრავდა" აქვეყნებს ხმებს იმის შესახებ, რომ პილსუდსკის ვილნოში ყოფნა დაკავშირებულია საკითხთან პოლონეთსა და ლიტვას შორის მოლაპარაკების დაწყების შესახებ. გაზეთი ამბობს, რომ ამისკენ მიისწრაფვის ინგლისის დიპლომატია, რომელსაც სურს შექმნას მტრობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის და აგრეთვე გახსნას ნაოსნობა ნემანზე ინგლისელ მრეწველთათვის, რომლებიც აწარმოებენ სატყეო მასალების ექსპორტს. (ადს)

გემის დაღუპვა

ნიუ-იორკი, 29 ივლისი. საექსკურსიო გემი ტბა მიწაში ჩიკაგოს მახლობლად დაიღუპა, 26 კაცი დაიხრჩო, მრავალი უკვალოდ დაიკარგა. (ადს)

რევოლიუციონერთა დევნა სამხრეთ-სლავიაში

ბერლინი, 30 ივლისი. ამას წინად ბელგრადში დააპატიმრეს სამხრეთ-სლავიის მუშათა მოძრაობის ცნობილი ბელადი რადომირ ვუიოვიჩი. მისი დაპატიმრებიდან ორი დღის შემდეგ ბელგრადის პოლიციის სამმართველოში გამოცხადდა მისი ცოლი, რომ გაეგო თავისი ქმრის ბედი. ის მაშინვე დააპატიმრეს და მოათავსეს მიწის ქვეშა ციხეში, რომელიც ცნობილია თავის მძიმე პირობებით. ვუიოვიჩის ცოლის დაპატიმრების შემდეგ შესაძლებელი გახდა იმის გამორკვევა, რომ თითონ ვუიოვიჩიც იმყოფება იმავე მიწის ქვეშა ციხეში, ადევს ბორკილები და ისე საშინლად ნაწამებია, რომ საეჭვოა, გადარჩება თუ არა. (ადს)

საფრ. კომპარტია ინციდენტის შესახებ ჟუოსთან

პარიზი, 29 ივლისი. საკოსა და ვანცეტის განთავისუფლების მოსათხოვად გამართულ მიტინგზე მომხდარ ინციდენტის გამო (საკოსა და ვანცეტის დამცველთა კომიტეტის მიერ გამართულ მიტინგზე მიტინგის მონაწილენი სტვენით, ყვირილით შეხვდენ ჟუოს და არ ალაპარაკეს ის) „იუმანიტემ" გამოაქვეყნა საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადება.

„პოლიტბიურო, ნათქვამია განცხადებაში, უარჰყოფს საკოსა და ვანცეტის დამცველთა კომიტეტისა და ანარქისტების კომიტეტის ბრალდებას კომპარტიის საბოტაჟის შესახებ მიტინგისადმი. პოლიტბიურო აცხადებს, რომ პარტია ყოველთვის მოქმედობდა საკოსა და ვანცეტის სასარგებლოდ და მიუხედავად მიტინგის ორგანიზატორთა მტრული განწყობილებისა კომპარტიისადმი, მან მაინც მიიყვანა ხალხი მიტინგზე. თუ არა კომუნისტური მასები, მიტინგის მოწყობა ვერ მოხერხდებოდა. ჟუოს წინააღმდეგ მიმართული მანიფესტაცია იყო სტიქიური, ვინაიდან მასები იცნობდენ და გმობდენ მის კლასთა თანამშრომლობის პოლიტიკას და მის წინააღმდეგობას პროფმოძრაობის მთლიანობის მიმართ. კომუნისტები არ აღიარებდენ მთლიანობას იმ შემთხვევაში, თუ პროფკავშირების ლიდერებს აპატიებენ ღალატს და თანამშრომლობას კაპიტალისტურ მთავრობებთან" (ადს).

საკოსა და ვანცეტის სასარგებლო დემონსტრაციის აკრძალვა

ბერლინი, 29 ივლისი. მიუნხენის პოლიციამ აკრძალა დემონსტრაცია, რომლის გამართვაც უნდოდათ მთელ რიგ ორგანიზაციებს საკოსა და ვანცეტის სასარგებლოდ. პოლიციამ ასევე აკრძალა მემარცხენე ბურჟუაზიულ ორგანიზაციების დემონსტრაციები. (ადს).

ტერორი მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 29 ივლისი. ნიუ-იორკის ფრეიგეიტის კორესპონდენტი გავანიდან იტყობინება მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ტერორის გაძლიერების შესახებ. ამას წინად ისევ დააპატიმრეს 50 მუშა. პოლიცია დაეძებს 500-დე კაცს, რომელთაც ბრალად ედებათ რევოლიუციონური მოღვაწეობა. მემარცხენე მუშათა გაზეთი „იუსტიცია" დახურეს. როგორც სჩანს, პრეზიდენტი მახადო სარგებლობს კომუნისტების წინააღმდეგ წამოყენებული ლოზუნგით, რომ დააშინოს ბურჟუაზიული წრეები და გაამართლოს თავისი რწმუნების ვადის გაგრძელება. (ადს).

რუმინეთი და უნგრეთი

ვენა, 29 ივლისი. რუმინიის ოფიციოზი „ენდეპანდანს რუმენ" წერილში, რომელსაც სათაურად აქვს—„ჩეხო-სლოვაკიის და სამხრეთ-სლავიის მეგობრებს", სწერს:

„სულ უფრო და უფრო ვრცელდება ხმები იმის შესახებ, რომ ჩეხო-სლოვაკია და სამხრეთ-სლავია მზად არიან ტერიტორიალური დათმობანი მოახდინონ უნგრეთის მიმართ იმ მიზნით, რომ შესაძლო გახდეს შუა-ევროპის ლოკარნოს არსებობა".

გაზეთი წინააღმდეგია რაიმე ტერიტორიალური დათმობისა უნგრეთის მიმართ მცირე ანტანტის მხრივ და აცხადებს:

„ამით არავითარი შედეგი არ იქნება მიღწეული; ვინაიდან უნგრეთი არასოდეს არ იტყვის უარს ძველი საზღვრების აღდგენის მისწრაფებაზე და განაგრძობს საიდუმლო პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ყველა დაკარგული ოლქების დაბრუნებისაკენ. (ადს).

პუანკარეს საფინანსო პოლიტიკა დამარცხდა

პარიზი, 29 ივლისი. მილიერანის ორგანო „ავენირ" აღიარებს, რომ ფინანსთა მინისტრი უფრო მეტ იმედებს ამყარებდა შინაგან სესხზე ხელის მოწერის უშუალო შედეგებს გაზეთი აწერს „მემარჯვენე ბლოკის აჩრდილს, რომელიც ძირს უთხრის ფრანკის სტაბილიზაციას.".

„პოპულერის" (სოციალისტების ორგანო) ფურცლებზე ბლიუმი შემდეგს სწერს:

„სესხი, დამარცხება თუ არა, ყოველ შემთხვევაში არც წარმატებაა. მისი მიზეზი პუანკარეს ფინანსიურ პოლიტიკაში მარხია" (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთში

საბჭ. ფქვილის უპირატესობა

მოსკოვი, 30 ივლისი. მენდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში მოახდინეს საზღვარგარეთული და საბჭოთა ფქვილის გამოცდა მათი ქიმიური შემადგენლობისა და ცხობის თვისებების მხრივ. გამოცდილ იქნა ამერიკული, ინგლისური, ავსტრალიური, ჰუნგარული, ესტონური და ბერძნული ფქვილები; საბჭოთა ფქვილიდან —„ხლებოპროდუქტის" 10 ხარისხი და უკრაინული ფქვილის 10 ხარისხი. ქიმიური შემადგენლობისა და ცხობის თვისებების მხრივ საბჭოთა ფქვილი აღმოჩნდა უკეთესი ყველა ზემოჩამოთვლილ საზღვარ-გარეთულ ფქვილებზე. (ადს).

500.000 მანეთი გამოსაკვლევ ჭაბურღვისთვის საქართველოში

მოსკოვი, 30 ივლისი. საკავშირო ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმმა ნება დართო აზნავთს მოახდინოს საქართველოში გამოსაკვლევი ჭაბურღვა ნავთის აღმოსაჩენად. ნავთის სინდიკატმა ამ მიზნისათვის გამოსაკვლევ სამუშაოთა ფონდიდან გადასდო 500.000 მან. (ადს).

მსუბუქი აეროპლანი „ბურევესტნიკი"

მოსკოვი, 30 ივლისი. მოსკოვის ცენტრალურ ჰაეროდრომზე თავდაცვა-ავიაქიმის ხელშემწყობ საზოგადოების მსუბუქმა აეროპლანმა „ბურევესტნიკმა", რომელსაც განაგებდენ მისივე კონსტრუქტორი ინჟენერი ნევდაჩინი და მფრინავი ჟუკოვი, სასინჯი გაფრენის დროს, მიაღწია 5.000 მეტრის სიმაღლეს. ეს მსოფლიო რეკორდია ისეთი მსუბუქი ჰაეროპლანისათვის, სადაც დადგმულია 20 ცხენის ძალის მამოძრავებელი („ბურევესტნიკის" მამოძრავებელი 18 ცხენის ძალისაა).

აღნიშნული აეროპლანი აშენებულია ტრამვაის პარკის შეპეტოვსკის (ყოფ. მიუსკის) ავიოწრეში. (ადს).

მიროს მოგზაურობა დედამიწის გარშემო

მოსკოვი, 30 ივლისი. ამერიკის ცნობილმა მოგზაურმა მირომ თხოვნით მიმართა თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობ საზოგადოებას დახმარება აღმოუჩინოს მას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გადაფრენაში მისი დედამიწის გარშემო მოგზაურობის დროს. თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობმა საზოგადოებამ მიროს თხოვნა დააკმაყოფილა (ადს).

შრომის დროშის ორდენი ინჟინერს

მოსკოვი, 30 ივლისი. ცაკის პრეზიდიუმმა შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა ინჟენერი კოვალსკი განსაკუთრებულ ენერგიისათვის ბამბეულობის მრეწველობის აღდგენის საქმეში. ინჟენერი კოვალსკი საფეიქრო მრეწველობაში მუშაობს 45 წ. (ადს).

მშენებლობა „აზნეფტ"-ში

მოსკოვი 30 ივლისი. სამთო და სათბობი მრეწველობის მთავარ სამმართველოს მოხსენებით, რომელიც წარდგენილი იყო საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საკონტროლო ციფრების კომისიაში, აზნავთის საკონტროლო ციფრებში 1927—28 წლისთვის ითვალისწინებს 84 მილიონი მანეთის დახარჯვას. ამ თანხებიდან ახალ მშენებლობის დასამთავრებლად მოდის 12½ მილ. მან., რომელიც მთლიანად მოხმარდება ნავთის ქარხნის აგებას ბაქოში. სამუშაოთა დასაწყებათ საჭიროა 71½ მილ. მანეთი. ნავთის ამოღებასთან შედარებით კაპიტალურ ხარჯების ტემპი მოისუსტებს. უკანასკნელის შემდგომი შემცირება დაუშვებელია. კომისიამ მხედველობაში მიიღო რა აღნიშნული მოხსენება, სამთო და სათბობი მრეწველობის მთავარ სამმართველოს წინადადება მიეცა, რომ შეადგინოს ნავთის მრეწველობის კაპიტალურ სამუშაოთა გეგმა. (ადს).

ახალი კონცესიები

მოსკოვი, 30 ივლისი. კონცესიის მთავარი კომიტეტი მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკის ზოგიერთ მსხვილ ფირმებთან საკონცესიო წარმოებებში მათი თანხების დაბანდების შესახებ. განსაზღვრული კონცესიები გაცილებით სჭარბობენ საბჭოთა კავშირში არსებულ წინანდელ კონცესიებს. მოლაპარაკება სწარმოებს აგრეთვე გერმანიის მრეწველებთან, მთელ რიგ ახალ საკონცესიო შეთანხმებებზე ხელისმოწერის შესახებ. (ადს).

ცნობები ვრანგელის კუნძულიდან

მოსკოვი, 30 ივლისი. ამ დღეებში ცნობა იყო საბჭოთა თვითმფრინავების მიერ ვრანგელის კუნძულის მიღწევის შესახებ. ამჟამად მიღებულია ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობები: კუნძულზე დაშვებულ თვითმფრინავებს აღტაცებით შეხვდა კუნძულის საბჭოთა კოლონია — რუსები და ესკიმოსი — მონადირეები კოლონიის უფროს უშაკოვის მეთაურობით. ყველა კოლონისტები ჯანმრთელად არიან. თვითმფრინავებმა წამოიღეს ბეწვეული და ფოსტა და დაბრუნდენ გემ „კოლიმა"-ზე, რომელიც მათ უცდიდა. „კოლიმა" ყინულებთან ბრძოლით განაგრძობს გზას ლენის შესართავისაკენ, რომელსაც თუ ხელშემწყობი პირობები

10.000 მან. მოგება

მოსკოვი, 30 ივლისი. სახელმწიფო ბანკში შემოვიდა სახელმწიფო ბანკის ჩრდილო-დასავლეთის საოლქო კანტორიდან პირველი მომგებიანი სესხის ობლიგაცია, რომელმაც მოიგო 10.000 მანეთი. ფული მოიგო ლენინგრადის მოსამსახურემ. ამავე ტირაჟით 5.000 მანეთი მოიგო მინერალური წყლების სამმართველომ პიატიგორსკში. (ადს).

ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე

ნიჟნი-ნოვგოროდი, 30 ივლისი. ნიჟეგოროდის ბაზრის გასახსნელად მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებს. მიღებულია მრავალი საქონელი. ჩამოვიდნენ დასავლეთ ჩინეთის და სპარსეთის ვაჭრები. ბაზრობაზე მონაწილეობას იღებენ თეირანის, თავრიზის და ღილმანის ვაჭრები. ჩინელი ვაჭრები ირწმუნებიან, რომ ჩინეთის სამოქალაქო ომი, ბაზრობაზე გავლენას არ მოახდენს. სავაჭრო პალატა ბაზრობაზე ხსნის აღმოსავლეთთან ვაჭრობის გამოფენას. (ადს).

იმპერიალისტურ ხოცვა ჟლეტის 13 წლის თავი

ა. ლ. კომკავშირის ინტერნაციონალის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი, 30 ივლისი. ა. ლ. კომკავშირის ინტერნაციონალის აღმასკომმა, 4 აგვისტოს მსოფლიო ომის გამოცხადების შემდეგ 13 წლის შესრულების გამო, გამოაქვეყნა მოწოდება მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის და კაპიტალისტური არმიების ახალგაზრდა ჯარისკაცების და მეზღვაურების მიმართ.

ჩამოსთვლის რა უკანასკნელი დროის საგულისხმო ამბებს, ა. ლ. კომკავშირის ინტერნაციონალის აღმასკომი, თავის მოწოდებაში აღნიშნავს, რომ ინგლისის მეთაურობით კაპიტალისტური სახელმწიფოების საბჭოთა კავშირზე თავდასხმის საშიშროება უფრო და უფრო რეალური ხდება. საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია დღესაც ღალატობს მუშათა კლასს, მომავალში კი უფრო გააღრმავებს ამ ღალატს და ხელს შეუწყობს ბურჟუაზიას მტაცებლურ ომის წარმოებაში.

„ყველა მშრომელები, ახალგაზრდობის მეთაურობით, ნათქვამია მოწოდებაში, უნდა გაერთიანდენ რევოლიუციონური ბრძოლის საწარმოებლათ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის და ჩინეთის დასაცავად. უნდა შეიქნეს ერთსულოვანი, დაუძლეველი, მთლიანი ფრონტი, ბელადების წინააღმდეგობის მიუხედავათ". (ადს).

ანენკოვის საქმე

სემიპალატინსკი, 30 ივლისი. ანენკოვის პროცესზე ბრალდებული მოუთხრობს სასამართლოს სლავგოროდის აჯანყების შესახებ, მაგრამ არაფერს ამბობს მოსახლეობის დასჯაზე. შეკითხვაზე იყო თუ არა ექსცესები--ანენკოვი უპასუხებს დადებითად, მაგრამ არ ახსოვს დახვრეტილთა რიცხვი. სასამართლო გადადის მოწმე ტერებილოს დაკითხვაზე, რომელიც იყო სლავგოროდის აჯანყებულთა რევოლიუციონურ შტაბის თავმჯდომარედ. ტერებილო მოუთხრობს სასამართლოს, რომ თეთრებმა სლავგოროდის მაზრაში გამოაცხადეს მობილიზაცია, რომელსაც გლეხობა უარყოფითად შეხვდა. სოფელმა ჩერნი დოლმა უარი განაცხადა ჯარისკაცების მიცემაზე. ანენკოვის ჯარის ოფიცერთა რაზმი ჩამოვიდა სოფელში, მოჰკლა ერთი გლეხი და ხუთი კაცი წაიყვანა ქალაქში. აღშფოთებულმა გლეხებმა მეზობელ სოფლების დახმარებით ღამით 1918 წლის 2 სექტემბერს შემოარტყეს ქალაქს ალყა, აიღეს იგი, აირჩიეს შტაბი და ამზადებდენ საბჭოთა ყრილობის მოწვევას.

ანენკოვი შეიჭრა ჩერნი დოლში, სძარცვავდა და ანადგურებდა მოსახლეობას, შემდეგ ხელში ჩაიგდო სლავგოროდი, რომელშიაც დახვრიტა 417 კაცი, მთელ მაზრაში კი 1.667 კაცი. ანენკოვი ცნობს ტერებილოს ჩვენების სისწორეს. (ადს).

კომუნისტურ ინტერნაციონალის სექციებში

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის მდგომარეობა

ვიზრდებით და ვმტკიცდებით

საუბარი კომინტერნის აღმასკომის წევრ ამხ. ი. რ. ხრომსკისთან

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტია, რომელმაც 1925 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიიღო 1 მილიონი ხმა და ამნაირად გადაიქცა უძლიერეს მუშათა პარტიად და თავისი ძლიერებით მეორე პოლიტიკურ პარტიად (ჩეხიის უძლიერეს პოლიტიკურ პარტიასთან — აგრარულ პარტიასთან — შედარებით მან მიიღო მხოლოდ 30.000 ხმით ნაკლები), დარჩა არა მარტო მასიურ პარტიად, არამედ ის სერიოზული შემდგომი გამარჯვებითაც სარგებლობს.

ზემოაღნიშნულ საპარლამენტო არჩევნების პერიოდში (1925 წლის შემოდგომაზე) ჩეხიის კომპარტიაში ირიცხებოდა 93.000 წევრი, ხოლო ეხლა კი მას თავის 4.791 საწარმოო და ქარხნების უჯრედებში ჰყავს 138.000 წევრი; ამნაირად წელიწადნახევარში ის გაიზარდა 45.000 კაცით. ამ ციფრების სისწორის შეფასება შეიძლება მხოლოდ მათი შედარებით ჩეხო-სლოვაკიის მოსახლეობის საერთო რიცხვთან — 14½ მილიონთან. როგორც ვხედავთ, ჩეხო-სლოვაკიის კომპარტია არის ნამდვილად მასიური პარტია და კომინტერნის ერთი დიდი სექციათაგანი.

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიას უკვე ღრმად აქვს გადგმული ფესვები წარმოებებში. ამჟამად ყველა წარმოებებში, სადაც 1.000 მეტი კაცი მუშაობს, არსებობს საწარმოო უჯრედები; მაგრამ წევრების მხოლოდ 25 პროც. თუ აწარმოებს რეგულიარულ და სისტემატიურ პარტმუშაობას, დანარჩენი 75 პროც. კი დროგამოშვებით მუშაობს. 547 პარტუჯრედთან არსებობს ახალგაზრდობის უჯრედი. სულ დარაზმულია 14.000 ახალგაზრდა. ეს ციფრი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება პარტიის საერთო რიცხვს.

საყურადღებოა ის ციფრები, რომლებიც მოწმობენ ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის წევრთა სამხედრო მომზადებას: პარტუჯრედებში 1.000 წევრზე მოდის საშუალოდ 576 ჯარისკაცი, 97 უნტეროფიცერი და 2 ოფიცერი. ამნაირად ყოველ ათას წევრზე საშუალოდ მოდის 675 სამხედრო მომზადებული წევრი.

პარტიას აქვს აშკარა პროლეტარული სახე. 78,4 პროც. შეადგენენ დაქირავებული მუშები, 3,6 პროც. — წვრილი გლეხები, 2,5 პროც.-ს წვრილი ხელოსნები, 13,6 პროც-ს პროლეტარული შინამოსამსახურენი, 0,5 პროც. უმაღლეს განათლების მქონე პირნი.

პარტიის პროლეტარული ხასიათი უფრო აშკარა იქნება, მასში რომ გაიზარდოს მუშების პროცენტი მრეწველობის ისეთ მსხვილ დარგებიდან, როგორიც არის ლითონის დამამუშავებელი საფეიქრო, სამთო-სამრეწველო დარგები და, აგრეთვე, რკინის გზა.

მასიურ ორგანიზაციებში პარტიას ჯერ-ჯერობით სუსტად აქვს გადგმული ფესვები: კომპარტიაში დარაზმულ წევრთა მხოლოდ 43 პროც. შედის პროფესიონალურ ორგანიზაციების შემადგენლობაში, ხოლო წევრთა დანარჩენი 26 პროც., რომლებსაც შეუძლიათ გახდენ პროფესიონალური კავშირების წევრებად, ჯერ-ჯერობით არ არიან დარაზმულნი პროფესიონალურ კავშირებში. პროფესიონალურ კავშირებში მყოფ წევრთა 78 პროც. შედის რევოლიუციონური კავშირების შემადგენლობაში, რაც უდრის 4,9 პროცენტით კომუნისტების რიცხვის ზრდას რევოლიუციონურ პროფკავშირებში 1924 წელთან შედარებით. კომპარტიის წევრების მონაწილეობა დანარჩენ მასიურ ორგანიზაციებში ასეთია: რემედასში შედის 23,670 წევრი, კოოპერაციაში — 27,320, სავარჯიშო-სპორტიულ ორგანიზაციებში — 16,161, თავისუფალ მოაზროვნეთა ორგანიზაციებში — 12,002, წვრილ-გლეხურ ორგანიზაციებში — 1,886, ინვალიდთა ორგანიზაციაში — 2,382, ბინის დამქირავებელთა ორგანიზაციებში — 2,294, მეხანძრეთა რაზმებში — 6,394, დანარჩენ ორგანიზაციებში — 2,050.

მასიურ პარტიას ჯერ კიდევ არა აქვს მასიური პრესა: მხოლოდ წევრთა 26,7 პროც. იძენს ყოველდღე პარტიულ ორგანოს, 65,1 პროც. იძენს არარეგულიარულად, ხოლო 18,2 პროც. საერთოდ არ სარგებლობს პარტიული ორგანოთი. 1924 წელთან შედარებით, პარტიის იმ წევრთა რიცხვი, რომლებიც არარეგულიარულად იძენენ პარტიულ ორგანოს, გაიზარდა 15,6 პროც.-ით, ხოლო იმ წევრთა პროცენტი, რომლებიც სრულიად არ სარგებლობენ გაზეთით, 31,3-დან დაეცა 18,2 პროცენტამდე, ე. ი. შემცირდა 13,1 პროცენტით.

დღემდე საქარხნო გაზეთს უშვებდა 117 საწარმოო უჯრედი, სულ 1926 წელში გამოშვებულია 806 ნომერი, 83,312 ცალის საერთო ტირაჟით.

პარტიაში შედის 25.000 ქალი: მათი 27,3 პროც. — ქარხნის მუშა-ქალია, 72,7 პროც. — დიასახლისი, 1.158 ქალი უჯრედებში მუშაობს და 126 წარმოადგენს საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების წევრს.

სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგი ციფრებიდან: სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას ხელმძღვანელობს — 737 კაცი; საგიტაციო-საპროპაგანდო კომისიებს — 713, მუშკორები — 1.315, გლეხკორები — 215, გაზეთის გამავრცელებლები — 1.704, ბიბლიოთეკა — 564 და 49.248 ტომი.

რაც შეეხება პარტიის დევნას, უნდა აღინიშნოს, რომ წარსულ წელს კომუნისტური მუშაობისათვის სამუშაოდან დაითხოვეს 1.880 მუშა, პასუხისგებაში მისცეს პარტიის 2.384 წევრი და მათგან 1.196-ს სულ ერთიანად მიუსაჯეს 92 წლის ციხე. ამხანაგების გაჩხრეკა როგორც სახლში, ისე პარტიის ბინებზე მოხდა 386-ჯერ.

ძლიერ სდევნიან, აგრეთვე, პარტიულ პრესას: უკანასკნელი წლის განმავლობაში აკრძალეს საერთოდ 12.951 სტრიქონი. კონფისკაციით გამოწვეული ზარალი და აგრეთვე ფულადი ჯარიმა სულ შეადგენს 300.000 კრონს.

1927 წლის პირველი ნახევარი ჩეხო-სლოვაკიაში ჩატარდა მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის ნიშან ქვეშ. მთავრობაში გაერთიანებული ბურჟუაზია, განურჩევლად ეროვნებისა და მიმართულების, ატარებდა ეკონომიურ და პოლიტიკურ სტაბილიზაციას: მრეწველობის კონცენტრაცია და რაციონალიზაცია, სამუშაო ხელფასის შემცირება, საგადასახადო რეფორმა (გადასახადი სამუშაო ხელფასზე), ადმინისტრატიული რეფორმა, თვითმართველობის ნაშთების მოსპობა, მისი გავლენის აღმოფხვრა ეროვნულ უმცირესობათა მასაში, ეროვნული მასიური მოძრაობისათვის ხელის შეშლა, რათა ის არ გადავიდეს სოციალური განთავისუფლების ბრძოლის გზაზე, წელიწადნახევრის სამხედრო სავალდებულო სამსახურის შენარჩუნება, ჯარისკაცთათვის საარჩევნო უფლებების წართმევა, — აი რაში გამოიხატება ეს სტაბილიზაცია. ხოლო რადგან მასიური კომუნისტური პარტია წარმოადგენს სერიოზულ შეფერხებას ყველა ამ ღონისძიებათა გზაზე, ამიტომ მთავრობა ფართე მასშტაბით აწარმოებს ანტიკომუნისტურ კამპანიას (ჯაშუშური პროცესები, პროცესები კომუნისტ-დეპუტატების წინააღმდეგ, კამპანია საბჭ. კავშ. წინააღმდეგ და სხ.) და იქამდის მიდის, რომ მუსოლინის მსგავსად, იმუქრება პროფკავშირების გასახელმწიფოებრივობით.

ბურჟუაზიის ყველა ამ ღონისძიებებსა და გამოსვლებზე კომუნისტური პარტია უპასუხებს მასიური გამოსვლებით, ამასთან მთავრობის მიერ წარმოებულ დევნის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგს და საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის რევოლიუციის დაცვის ლოზუნგს უფარდებს უახლოეს ლოზუნგებთან, რომლებიც შეეხებიან მშრომელთა სადღეისო და საარსებო ინტერესებს. ამ გამოსვლებში წინანდებურზე აქტიურად მონაწილეობას იღებენ საწარმოო უჯრედები; მოძრაობას სათავეში უდგანან საფაბრიკა-საქარხნო კომიტეტები. პარტიამ ჩატარებული კამპანიის პროცესში მოახერხა პროლეტარიატის უდიდესი მასის ჩაბმა. კამპანიის განვითარებასთან ერთად რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრებში არსდებოდენ მთლიანობის კომიტეტები. მაგრამ პარტიამ მაინც ვერ მოახერხა მის მიერ ორგანიზაციულად დარაზმულ მასების შენარჩუნება და მთლიანობის კომიტეტის ორგანიზაციული გაერთიანება.

თავის ყრილობაზე მიმდინარე წლის მარტის ბოლოს ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ ჩეხო-სლოვაკიის მთელი პროლეტარიატის წინაშე დაამტკიცა პარტიული ხელმძღვანელობის სიმტკიცე, წევრთა მასის მჭიდრო კავშირი და კომპარტიის მიერ აღებული ხაზის გატარების ურყევი ნებისყოფა. ამას მით უფრო ღრმა მნიშვნელობა აქვს, რომ ჩეხო-სლოვაკიის კომპარტია ნამდვილად წარმოადგენს ჩეხო-სლოვაკიაში მოსახლე ყველა ერთა პროლეტარიატის მთლიანობისათვის წარმოებული ბრძოლის მამოძრავებელ ძალას და ხელმძღვანელ ფაქტორს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩეხო-სლოვაკიის კომპარტია დიდ გავლენას ახდენდა აგრეთვე ჩეხო-სლოვაკიის პოლიტიკურ ცხოვრებაზედაც.

პერიოდი მესამე (1925 წლის შემოდგომა) და მეოთხე ყრილობას შუა იყო ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ახალი განმტკიცებისა და კონსულტაციის პერიოდი. თუ პერიოდი მეორე (1924 წლის შემოდგომა) და მესამე ყრილობას შუა იყო გააფრთებული ფრაქციული ბრძოლის პერიოდი, რომლის დროსაც პარტიამ მთელ რიგ სიძნელეების დაძლევით და მსხვერპლის გაღებით თავი დააღწია თავისი სოციალ-დემოკრატიული წარსულის ნაშთებს, სამაგიეროთ უკანასკნელი პერიოდი ხასიათდება პოლიტიკური აქტივობით, წარმატებული გამოსვლებით და ორგანიზაციული მუშაობით. პარტიის ბოლშევიზაცია დიდ ნაყოფს იძლევა პარტიული ცხოვრების ყველა სფეროებში: დაძლეულია მემარცხენეობის ბავშური სენი, და ოპორტუნიზმის ნაშთები ისე, მწვავე კრიზისებს აღარ იწვევენ, როგორც ეს წარსულში იყო. ამ კრიზისებს აქვს უმნიშვნელო ადგილობრივი ხასიათი და მათი აღმოფხვრა ხდება თავშივე პარტიისათვის უმტკივნეულოდ. მიუხედავად ამისა, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ და როგორც ამას ხაზს უსვამდა პარტიის ცეკა თავის უკანასკნელ ყრილობაზე, პარტიას კიდევ აქვს ორგანიზაციული, იდეოლოგიური და სხ. ნაკლულევანებები. ყველაზე მძიმე საკითხს პარტიისათვის წარმოადგენს პროფესიონალურ კავშირების საკითხი. ამ საკითხს განსაკუთრებით ართულებს კიდევ პროფმოძრაობის განხეთქილება ეროვნულ და მუშათა პარტიებში. კომპარტიის ფრაქციულ მუშაობას პროფკავშირებში გამოაქვს სასურველი ნაყოფი. გლეხობაში მუშაობას პარტია მხოლოდ ეხლა იწყებს.

მაგრამ არც ცეკა და არც წევრთა მასა არ კმაყოფილდება მიღწეული შედეგებით. ისინი კარგად ამჩნევენ თავის ნაკლულევანებებს და ამიტომ ეწევიან თვითკრიტიკას და სერიოზულად სცდილობენ ნაკლულევანებათა აღმოფხვრას. ეს გარემოება და პარტიის აქტივობის ზრდა, მისი კონტაქტი ქარხნის მუშების მასასთან და ფართე მასების წარმატებითი მობილიზაცია არის საუკეთესო თავდები იმის, რომ ჩეხო-სლოვაკიის მასიური კომუნისტური პარტია მიდის სწორი გზით და რომ პარტიის იდეოლოგიური და ორგანიზაციული ბოლშევიზაცია შემდეგში გამოიღებს თავის ნაყოფს.

კომინტერნის წარმომადგენელმა ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის უკანასკნელ ყრილობაზე ასე ჩამოაყალიბა პარტიის ძირითადი ამოცანები. პარტიის წინაშე წამოჭრილია ხელმძღვანელი პოზიციების უახლოეს ხანშივე დაპყრობის ამოცანა არა მარტო პოლიტიკურ, არამედ პროფესიონალურ, კოოპერატიულ, ეროვნულ უმცირესობათა და გლეხობის რევოლიუციონურ და ნახევრად რევოლიუციონურ მოძრაობაში. უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ხელმძღვანელი პოზიციების დაპყრობას წარმოებებში. კომპარტია შესძლებს ამ ამოცანების შესრულებას. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიამ საკმაოდ ბევრი გააკეთა პოლიტიკურ დარგში და ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვიქონიოთ იმედი, რომ ახლო მომავალში ჩეხო-სლოვაკიის კომპარტია გახდება ჩეხო-სლოვაკიის პროლეტარიატის ნამდვილი ხელმძღვანელი და რომ ის აუცილებლივ გადამწყვეტ როლს ითამაშებს.

ალ. ხოსროშვილი.

მოსკოვი, 19 ივლისი.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

ბრძოლა ნავთის გარშემო.—დამოკიდებულება ლატვიასთან.—პატეკის ოპტიმიზმი. — პოლონელი „სოციალისტები" და სეიმი. — ბრატიანუს სამფლობელოში. — ბატ. სმითების გამცემლობა. — ჩინეთის კომპარტია სწორ გზაზე.

უაღრესად დამახასიათებელია ის ბრძოლა, რომელიც საბჭოთა ნავთის გარშემო გაჩაღდა ინგლისის და ამერიკის სანავთო კონცერნებს შორის. ბრძოლის მიზეზად შეიქნა ის გარემოება, რომ საბჭოთა ნავთის სინდიკატმა ხელშეკრულება დასდო ამერიკულ ფირმა „ნიუ-იორკ სტანდარტ ოილ"-თან საბჭოთა ნავთის გაყიდვის შესახებ; ამ ხელშეკრულების თანახმად, ნავთის სინდიკატმა ხსენებულ ფირმას უნდა მიაწოდოს ყოველწლიურად 100.000 ტონა მაზუთი ხუთი წლის განმავლობაში.

ამ „უბრალო" ფაქტმა წონასწორობიდან გამოიყვანა ინგლისურ სანავთო კომპანიის „როიალ დეტჩ"-ის ხელმძღვანელი დეტერდინგი, რომელიც მოითხოვს „ნიუ-იორკის სტანდარტ ოილ"-ისაგან საბჭოთა ნავთისათვის ბოიკოტის გამოცხადებას, წინააღმდეგ შემთხვევაში სანავთო ბრძოლის გამოცხადებით ემუქრება ამერიკას.

აქ საინტერესო ის არის, რომ მეორე ამერიკულმა სანავთო კომპანიამ „ნიუ-ჯერსის სტანდარტ ოილ"-მა ერთის განგაში ასტეხა ხსენებულ ხელშეკრულების გამო. მან გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც აცხადებს, რომ „მორალური და პატრიოტული მოსაზრებებით კომპანია არ იყიდის საბჭოთა ნავთის პროდუქტებს, ვინაიდან საბჭოთა მთავრობამ ანაზღაურება არ მისცა სანავთო წყაროების წინანდელ მფლობელებს, აგრეთვე იმიტომ, რომ მას არ სურს იყიდოს საბჭოთა ნავთის პროდუქტები, რომლებიც ამერიკულ ნავთს უწევს კონკურენციას".

საქმის უცოდინარ კაცს ეგონება, რომ ეს ფირმა ილაშქრებს „ნიუ-იორკის სტანდარტ ოილ"-ის წინააღმდეგ და მხარს უჭერს დეტერდინგს, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითია. აქ ჩვენ საქმე გვაქვს კაპიტალისტურ სავაჭრო-სამრეწველო წამოწყებათა ჩვეულებრივ ხრიკებთან. ნამდვილად მდგომარეობა ასეთია: თუმცა სტანდარტის ჯგუფი 1911 წ. კანონით რამოდენიმე კომპანიად დაიშალა ფორმალურად, მაგრამ ფაქტიურად კვლავ გაერთიანებულია. ეს „დაშლა" გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ „სტანდარტ ოილ"-ის ტრესტი ილტვოდა მონოპოლიისაკენ და ამერიკის სხვა წვრილ სანავთო საზოგადოებათა გადაყლაპვისაკენ, რის წინააღმდეგ უკანასკნელებმა გაილაშქრეს. ამით უკმაყოფილოა აგრეთვე ფართე მოსახლეობაც, რომლისთვისაც სტანდარტის ჯგუფის მონოპოლია ნიშნავდა ნავთის პროდუქტების გაძვირებას. დღეს ამ „გაყოფილ" ტრესტის ნაწილები საჯაროდ ესხმიან ერთმანეთს, რომ დაარწმუნონ გულუბრყვილონი, რომ მათ შორის არავითარი კავშირი არ არსებობს, პირიქით ადგილი აქვს მტრობას.

უფრო საყურადღებოა, რომ სტანდარტის კონცერნი თავის ფიქტიურ დაშლას იყენებს ინგლისის ნავთის კომპანიასთან საბრძოლველად. მაშინ, როცა ერთი მისი ჯგუფი „ნიუ-ჯერსის სტანდარტ ოილ"-ის სახით უთანხმდება ინგლისის ნავთის მრეწველობას ნავთის ბაზრების განაწილების და საბჭოთა ნავთისათვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ, მეორე ჯგუფი, რომელიც პირველთან ვითომდა კონკურენციას ეწევა, იძენს საბჭოთა ნავთს, რათა სტანდარტმა უპირატესობა მოიპოვოს ნავთის ბაზარზე ინგლისთან შედარებით და ამ გადამწყვეტ ფრონტზე დაამარცხოს ის.

ხოლო ნავთს რომ გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ჰეგემონიის მოსაპოვებლად, ამას მტკიცება არ ესაჭიროება. მრეწველობის, როგორც ჩვეულებრივის, ისე სამხედროსი, და ტრანსპორტის განვითარება ბევრადაა დამოკიდებული ნავთზე, რომელიც ამისათვის აუცილებელ მასალას წარმოადგენს. ამიტომაა, რომ ნავთიან ადგილების დასაპყრობათ გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ კაპიტალისტური ქვეყნები. და ეს ბრძოლა ხშირად ისეთ სკანდალურ ხასიათს ღებულობს, როგორც ზევით დავინახეთ.

ჩვენთვის მთელ ამ ისტორიაში საყურადღებოა არა მარტო ის, რომ აქ აშკარავდება ინგლის-ამერიკის ინტერესთა წინააღმდეგობა, არამედ უმთავრესად ის, რომ ეს კონფლიქტი ცხადჰყოფს საბჭოთა კავშირის სამეურნეო სიძლიერეს, იმას, რომ ჩვენი ეკონომიური გარიყვის ცდა, რომელსაც ინგლისი აწარმოებს, მარცხდება. ჩვენ ვიცით, რომ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ ინგლისის კაპიტალისტების ერთმა ჯგუფმა გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ის აფრთხილებდა საბჭოთა ნავთის იმპორტიორებს შეეწყვიტად მისი შესყიდვა, წინააღმდეგ შემთხვევაში რეპრესიებით ემუქრებოდა მათ. საგულისხმოა, რომ „როიალ დეტჩ" წინედ ცდილობდა ჩვენთან დაედვა ხელშეკრულება საბჭოთა ნავთის გაყიდვის შესახებ, რომ მისი გასაღების მონოპოლია ხელში ჩაეგდო და საშუალება ჰქონოდა განესაზღვრა საბჭოთა ნავთის პროდუქცია. როცა ამ მიზანს ვერ მიაღწია, „პატრიოტული და მორალური" მოტივებით ჩვენი ნავთის ბოიკოტის გზას დაადგა. მაგრამ აქედან არაფერი გამოდის. თვით ინგლისში, ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგაც, საბჭოთა ნავთს, როგორც კარგი ღირსების და იაფ საქონელს, ეტანება ინგლისელი მომხმარებელი. ამასთან, საბჭოთა ნავთი შეიჭრა ახლო აღმოსავლეთში და იქ ინგლისის ნავთს საგრძნობ კონკურენციას უწევს. ეხლა ინგლისის კაპიტალისტებმა კიდევ მორიგი დამარცხება განიცადეს, რაც ამერიკულ ფირმასთან ნავთის სინდიკატის მიერ ხელშეკრულების დადებაში გამოიხატა. ამერიკის საქმიანი წრეები სრულებით არ იზიარებენ დეტერდინგის „მორალს" და ისინი მზად არიან საბჭოთა კავშირთან აღებ-მიცემობა გააფართოონ.

* * *

საბჭოთა ნავთის გარშემო ატეხილი კონფლიქტი, მრავალ სხვა სათანადო ფაქტებთან ერთად, ცხადჰყოფს, რომ საბჭოთა კავშირი სულ უფრო და უფრო მეტ როლს თამაშობს მსოფლიო მეურნეობაში. სხვადასხვა ქვეყნები დაინტერესებული არიან ჩვენთან ეკონომიური თანამშრომლობით და ეს გარემოება აძნელებს საბჭოთა კავშირის ეკონომიური ბლოკადის ცდის განხორციელებას. ამ ცდას პირველ ყოვლისა თვით ინგლისისათვის მოაქვს ზარალი: ის კარგავს გასაღების და ნედლეულის უდიდეს ბაზარს და მის ხარჯზე ჩვენ სხვა სახელმწიფოებთან ვანვითარებთ აღებ-მიცემობას. აი, მაგალითად, ჩვენ ამჟამად საკმაოდ მნიშვნელოვან შეკვეთებს ვაბანდებთ ლატვიაში. ამ მხრივ მოლაპარაკება უკვე სწარმოებს და შეთანხმება მალე იქნება დადებული.

ლატვია ბალტიის მხარის ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომლის ჩათრევას ანტისაბჭოთა ბლოკში ცდილობდა ჩემბერლენი. მაგრამ უშედეგოთ. ლატვიის ეხლანდელმა მესვეურებმა, როგორც სჩანს, შეიგნეს საბჭოთა კავშირთან ნორმალური დამოკიდებულების დამყარების პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა. ამ რამოდენიმე თვის წინად წინასწარ ხელმოწერილ იქნა ლატვია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება, რომლის დამტკიცება ახლო მომავლის საკითხია. ეხლა ხსენებული შეკვეთებით დასაწყისი ეძლევა მათ შორის ეკონომიურ თანამშრომლობას.

ლატვიის მრეწველობა, როცა ის ქვეყანა მეფის რუსეთის იმპერიაში შედიოდა, უმეტესად რუსეთის ბაზრისათვის მუშაობდა. მის რკინის გზებსა და ნავთსადგურებსაც რუსეთის ტვირთ-ზიდვა ასაზრდოებდა. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ლატვიასა და საბჭოთა კავშირს შორის შესწყდა ეკონომიური ურთიერთობა. ეს, როგორც ლატვიის ფინანსთა მინისტრმა ბოკაიდერმა სამართლიანად განაცხადა, იყო შედეგი ლატვიის ყოფილ მთავრობების აგრესიული პოლიტიკისა საბჭოთა კავშირის მიმართ. მაგრამ ასეთმა პოლიტიკამ ლატვიის მთელი მეურნეობისათვის მეტად მძიმე მდგომარეობა შექმნა. ამიტომაა, რომ მისი ეხლანდელი მთავრობა დაადგა ჩვენთან ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენის გზას.

ამაში, გარდა ეკონომიური დაინტერესებისა, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი როლი ითამაშა საბჭოთა მთავრობის ნაციონალურმა პოლიტიკამ, რომელიც გამოიხატება ყველა ხალხთა ეროვნულ უფლებების ცნობასა და დაცვაში. კერძოდ, საბჭოთა მთავრობამ თავის დროზე სპეციალური დეკლარაციით აღიარა ლატვიის სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება და ის მოწადინებულია ამ დამოუკიდებლობის ნამდვილ განმტკიცებას. იმპერიალისტები გაიძახიან „საბჭოთა იმპერიალიზმზე", იმაზე, რომ საბჭოთა მთავრობა თითქო ფიქრობდეს მის მეზობლად მდებარე პატარა სახელმწიფოების დაპყრობას. ჩვენი ურყევი სამშვიდობო პოლიტიკა უმოწყალოდ ამსხვრევს ამ ჭორებს. რომ ჩვენ სრული პატივისცემით ვეკიდებით ყველა ხალხებს, მათ შორის ლატვიის დამოუკიდებლობას. ამას ეხლა უკანასკნელის გარეშე საქმეთა მინისტრი ცელენსიც აღიარებს; ის ამბობს: „ეხლანდელ რუსეთთან ლატვია ცხოვრობდა მშვიდობიანად 7 წელიწადი. რომ აღდგენილიყო მეფის რუსეთი, მაშინ მასთან 7 თვეც შეუძლებელი იქნებოდა მშვიდობიანად ცხოვრება. კიდეც რომ იფეთქოს ომმა რუსეთსა და ინგლისს შორის, ლატვია ყოველ შემთხვევაში დაიცავდა მტკიცე ნეიტრალიტეტს ორთავე მხარის მიმართ"-ო. დიახ, საბჭოთა რუსეთი არ არის ძველი, მეფის რუსეთი, რომელიც მცირე ხალხებს ახრჩობდა. საბჭოთა მთავრობა იბრძვის ხალხთა განთავისუფლებისათვის. ამის შეგნება ჩვენი მეზობელ ქვეყნების მესვეურთა მიერ მშვიდობიანობის განმტკიცების და მათსა და საბჭოთა კავშირს შორის ნორმალურ ურთიერთობის საწინდარი იქნება.

* * *

ეს ჭეშმარიტება ბევრს კიდევ ვერ შეუგნია. ეს ითქმის პირველ ყოვლისა პოლონეთის ეხლანდელ მეთაურებზე. ამის შეგნებას ხელს უშლის უკანასკნელთა აგრესიული ზრახვები საბჭოთა კავშირის მიმართ და ინგლისის ანტისაბჭოთა ზეგავლენა მათზე.

პოლონეთის მთავრობას, მიუხედავათ მრავალჯერ გაკეთებულ განცხადებებისა, არ დაუმტკიცებია, რომ მას მართლა სურდეს ჩვენთან კეთილმეზობლურ ურთიერთობის აღდგენა. ამხ. ვოიკოვის მკვლელობასთან დაკავშირებული კონფლიქტი ჯერ კიდევ არ არის ამოწურული. ის ფაქტი, რომ პოლონეთის პრეზიდენტმა არ დააკმაყოფილა სასამართლოს შუამდგომლობა კავერდასათვის გადაწყვეტილ სასჯელის შემსუბუქების შესახებ, კიდევ არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ პილსუდსკის მთავრობა თავის „ცოდვების მონანიების" გზას დაადგა. ამ შუამდგომლობის შეწყნარება პირდაპირ გამოწვევა იქნებოდა საბჭოთა კავშირის მიმართ. ამას პოლონეთი ვერ გაბედავს, რადგან მომზადებული არ არის ომისათვის.

უკანასკნელ ხანებში პოლონეთის მთავრობის მოქმედებიდან მრავალი ისეთი ფაქტი გამოაშკარავდა, რომელიც ხელს ვერ შეუწყობს ჩვენ შორის ნორმალურ დამოკიდებულების დამყარებას. პოლონეთში სწარმოებს სამხედრო მზადება. რუს თეთრგვარდიელთა ორგანიზაციებს „მუშაობის" სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული. ამხ. ვოიკოვის მკვლელი თავს ისე გრძნობს ციხეში, როგორც დასასვენებელ სახლში.

ყველაფერ ამის შემდეგ პოლონელი ელჩი საბჭოთა კავშირში, პატეკი, მოსკოვისაკენ გამომგზავრების წინ, აცხადებს, რომ მას „თან მიაქვს ოპტიმიზმი". ჩვენ არ ვიცით, რას ემყარება ეს ოპტიმიზმი. მხოლოდ აშკარაა, რომ პოლონეთმა სავსებით უნდა დააკმაყოფილოს ის ელემენტარული მოთხოვნები, რომელნიც მას წარედგინა ამხ. ლიტვინოვის უკანასკნელ ნოტაში, თუ იგი არა სიტყვით, არამედ საქმით მოწადინებულია აღმოფხვრას ამხ. ვოიკოვის მკვლელობის გამო წარმოშობილი კონფლიქტი. მთავარი ამ მოთხოვნილებიდან არის ანტისაბჭოთა ორგანიზაციების ლიკვიდაცია პოლონეთში.

პატეკი ამბობს, რომ ის განაახლებს მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. პოლონეთის ეკონომიკა იშლება. მისი სამრეწველო პროდუქცია ბაზარს ვერ შოულობს. საგარეო ვაჭრობა პასიურია. ბიუჯეტი დეფიციტიანია. უმუშევრობა იზრდება. ყველაფერი ეს აიძულებს პოლონეთის მთავრობას, მიუხედავათ მისი მტრობისა საბჭოთა კავშირისადმი, ბოლოს და ბოლოს სავაჭრო შეთანხმებას მიაღწიოს ჩვენთან.

ეს მით უფრო, რომ მან ვერ მოახერხა განზრახული სესხის მიღება ამერიკისაგან, რის იმედიც ჰქონდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამაში უკანასკნელი როლი არ უთამაშია პოლონეთის მერყევ საერთაშორისო მდგომარეობას, რაც პირველ ყოვლისა ხასიათდება საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების გართულებით.

რომ კიდეც დადებულ იქნას სავაჭრო ხელშეკრულება, ამით არ ამოიწურება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხი. საჭიროა იმ მტრული პოლიტიკური ატმოსფერის გაფანტვა, რომელსაც პილსუდსკის მთავრობა ჰქმნის საბჭოთა კავშირის მიმართ. მხოლოდ მაშინ ექნება ნამდვილი ღირებულება სავაჭრო ხელშეკრულებასაც.

* * *

ჩვენ ვსთქვით, რომ პოლონეთი ღრმა ეკონომიურ კრიზისს განიცდის. ამას დაერთო შინა-პოლიტიკური მდგომარეობის გართულება, რაც გამოიხატა სეიმის დათხოვნაში მთავრობის მიერ. პილსუდსკისა და სეიმს შორის დაუსრულებელი ბრძოლა სწარმოებდა. ეს ბრძოლა გვიჩვენებს, რომ პილსუდსკის წინააღმდეგ ამხედრებული არიან არა მარტო მუშათა მასები და ეროვნული უმცირესობანი, არამედ მან ვერ მოახერხა თავის გარშემო შეძლებულ კლასების ერთიანი ფრონტის შექმნაც. პილსუდსკი აბუჩად იგდებს „სახალხო წარმომადგენლობას". მის სხდომებზე და კომისიების თათბირებზე მთავრობა არ ესწრება. ბოლოს, როცა სეიმმა რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა მთავრობის წინააღმდეგ, გააუქმა მისი დეკრეტი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ და მომავალ არჩევნების მოლოდინში შეუდგა „დემოკრატიულ" რეფორმებზე ლაყბობას,—მისი სესია დათხოვნილად გამოაცხადა.

საგულისხმოა ამ აქტთან პოლონეთის „სოციალისტური" პარტიის დამოკიდებულება. ამას წინად გამოქვეყნდა მისი დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამია: „მთავრობამ მოულოდნელად დათხოვა სეიმის სესია იმ მომენტში, როცა სეიმმა დაიწყო მსჯელობა სერიოზულ საშინაო საკითხების შესახებ. დემოკრატია საფრთხეშია. საფრთხეშია მუშათა კლასის ყველა უფლებები და სოციალური მონაპოვარნი". დეკლარაცია მოუწოდებს მუშებს მზად იყონ ბრძოლისათვის!

პეპეესოველები არაფერს ამბობენ იმაზე, რომ პილსუდსკი მათი წყალობით გახდა დიქტატორი. ისინი, რომელთაც თავის ხელობად აქციეს პროლეტარიატის სისტემატიური გამცემლობა, თვალთმაქცურად გაიძახიან მუშათა კლასზე მოვლენილ საფრთხეზე და, წარმოიდგინეთ, ბრძოლისაკენაც მოუწოდებენ მას. აბა ვინ უნდა დააჯეროს თავის რევოლიუციონერობაში პილსუდსკის და ბურჟუაზიის ამ აგენტებმა! ბურჟუაზიულ წყობილების წინააღმდეგ ბრძოლა მათ არ სურთ და არც შეუძლიათ. სამაგიეროთ ისინი დახელოვნებული არიან პოლიციასთან ერთად კომუნისტების დევნაში. ამიტომაა, რომ დეკლარაციაში მუშებს აფრთხილებენ: „ნუ უგდებთ ყურს კომუნისტებს". ცხადია იმიტომ, რომ კომუნისტები რაზმავენ მუშებს ნამდვილი რევოლიუციონური ბრძოლისათვის, როგორც პილსუდსკის ფაშისტური დიქტატურის, ისე ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობათ.

„გახსოვდეთ,—მიმართავენ მუშებს თავის ქებით გატაცებული პეპეესოველები,—რომ ჩვენ ვიბრძოდით თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის". უმადურნი არიან პოლონეთის მუშათა მასები, რომ ისინი „სოციალისტების" ასეთ „ღვაწლს" რიგიანად არ აფასებენ, ან, სწორედ რომ ვსთქვათ, აფასებენ. ზურგს აქცევენ ამ ტრაბახ-გამცემლებს და კომპარტიის დროშის ქვეშ დგებიან. მთელ რიგ სხვადასხვა არჩევნებმა ეს ცხადჰყო.

რაც შეეხება სეიმს, რომელიც მასების მოტყუილების იარაღს წარმოადგენს ბურჟუაზიის ხელში, პეპეესოველები ამაოდ ცდილობენ მის პრესტიჟის აღდგენას. პილსუდსკის ბრძოლა სეიმთან მოწმობს, რომ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი დამბლა დაცემულია. მმართველი ჯგუფები, რომელთაც ფეხიდან ნიადაგი აქვთ გამოცლილი, ფაშისტური მეთოდებით ლამობენ თავის ბატონობის შენარჩუნებას. ამასთან, ეს ბრძოლა გვაჩვენებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივობის დაშლის გაღრმავებას.

* * *

პოლიტიკური კრიზისის მოწმენი ვართ აგრეთვე რუმინეთში. მხოლოდ ეს კრიზისი სხვა ხასიათისაა, ვინემ პოლონეთში მდგომარეობის გართულება ამჟამად იქ გამოიწვია მეფის საკითხმა. გარდაიცვალა რუმინეთის მეფე ფერდინანდი. ახალ მეფედ გამოაცხადეს მისი უმცროსი, ექვსი წლის შვილი, მიხეილი. თავისთავად ცხადია, ამის შემდეგ ქვეყნის სრულ დიქტატორებათ ხდებიან ძმები ბრატიანუ.

რუმინიას სამართლიანად უწოდებენ ბრატიანუს სამფლობელოს. ძმები ბრატიანუ, რომელნიც მეთაურობენ ე. წ. ლიბერალურ ბურჟუაზიის პარტიას, მრავალ წლების განმავლობაში. მცირე დროის გამოკლებით, განაგებენ ქვეყანას. ამჟამად იონელ ბრატიანუ მთავრობის თავმჯდომარეა, მისი ძმა—ფინანსთა მინისტრია და სახელმწიფო სალაროს მოურავი. ისინი გამოჩენილი კომბინატორებია, თავის თანამდებობას იყენებს ჯიბის გასასქელებლად, ხალხის ქონების მისათვისებლად. ამავე დროს, ბრატიანუს „მოღვაწეობის" ერთ მთავარ მხარეს მუშების და გლეხების დევნა წარმოადგენს. ამასთან, ბესარაბიის ხალხის დამონებაც ირიცხება მისი „საგმირო" საქმეების სიაში.

ეხლა, ბავშვ მიხეილის მეფედ გამოცხადების შემდეგ, ბრატიანუ, როგორც ვსთქვით, მთლად დაეუფლა რუმინეთს. რუმინეთის მშრომელებისათვის სულ ერთია, თუ ვინ იქნება მეფედ, თუ ვისი „ლოცვა-კურთხევით" მოხდება მათი დარბევა. მაგრამ ეს სულ ერთი არ არის ბრატიანუსათვის. საქმე ის არის, რომ მეფობაზე პრეტენზიას აცხადებს ფერდინანდის მემკვიდრე პრინცი კაროლი რომელიც თავის თავს უკვე მეფეს უწოდებს. კაროლი განდევნილია რუმინეთიდან. ბრატიანუმ თავის დროზე მოახერხა, რომ მას უარი ეთქვა ტახტის უფლებაზე. კაროლი და ბრატიანუ ერთმანეთთან ცუდ განწყობილებაში არიან, ვინაიდან პირველს განზრახვა აქვს ძმები ბრატიანუ და მისი პარტია ძალა-უფლებას ჩამოაშოროს.

კაროლი მარტო არ იქნება. მას მხარს დაუჭერს ავერესკუს ჯგუფი, რომელიც ამას წინად მთავრობის სათავეში იდგა და ლიბერალებმა დაამხვეს. გარდა ამისა, იტალიაც, რომელიც უკმაყოფილოა ბრატიანუს ფრანგული ორიენტაციით, შეეცდება კაროლის პრეტენზიების განხორციელებისათვის ხელის შეწყობას. კაროლი და მისი მომხრენი აგრეთვე შეეცდებიან ბრატიანუს ჩამოსაგდებად გამოიყენონ ქვეყნის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა—ტრანსპორტის სრული მოშლა, ფინანსიური ქაოსი და სხ.

ბრატიანუ ყოველ ზომას მიმართავს თავის ბატონობის განსამტკიცებლად. მან სამხედრო წესები გამოაცხადა რუმინეთში და სასტიკად დევნის ყველა ოპოზიციონურ ელემენტებს. როგორადაც არ უნდა განვითარდეს ექსპლოატატორ კლასების ბრძოლა ტახტის გარშემო და ძალა-უფლების მოსაპოვებლად, რუმინეთის მშრომელებმა ეს ბრძოლა უნდა გამოიყენონ თავისის პოზიციების გასამაგრებლად, თავისი ძალების დასარაზმავად, რომ მოამზადონ ნიადაგი როგორც ბრატიანუს, ისე მის მოწინააღმდეგის დასამხობად, რომლებიც მუშათა კლასის ერთნაირად მოსისხლე მტერია.

* * *

დამთავრდა ინგლისის მემაღაროეთა კონფერენცია. იგი განსაკუთრებულ პირობებში შეიკრიბა. ქვა-ნახშირის მრეწველობა ინგლისში უაღრეს კრიზისს განიცდის. მაღაროები ასობით იხურება. უმუშევართა რიცხვი სწრაფად იზრდება. მრეწველები, მემაღაროეთა გაფიცვის დამარცხების შემდეგ მოპოვებულ გამარჯვების ნიადაგზე, აძლიერებენ შეტევას მუშების ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებზე. მთავრობამ პარლამენტში გაატარა კანონი პროფკავშირების წინააღმდეგ.

ასეთ დროს საჭირო იყო რევოლიუციონურ ნებისყოფის გამოჩენა, დარაზმვა გათავხედებულ კლასობრივ მტრის წინააღმდეგ. ამის მაგივრად ჩვენ სულ სხვა სურათის მოწმენი შევიქენით. კონფერენცია თითქმის მთლიანად მოექცა მემარჯვენე ბელადების გავლენის ქვეშ. თვით კონფერენცია უმეტესად შესდგებოდა არა მასების ნამდვილ წარმომადგენლებისაგან, არამედ ადგილობრივი პროფმოხელეებისაგან. ის ოდნავადაც არ გამოხატავდა მუშების სულიერ განწყობილებას.

ყველაფერი ეს დაეტყო კონფერენციის მუშაობას. მან მხოლოდ ზოგად ფრაზებში აღიარა ბრძოლის საჭიროება 8 საათის გაუქმებისათვის და პროფკავშირების შესახებ მიღებულ კანონის

ქართველ მენშევიკების გასამართლება ხარკოვში

29 ივლისის საღამოს სხდომა

(მეხუთმეტე)

საზოგადოებრივი ბრალმდებლის ამხ. პოპოვის სიტყვა

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

„მენშევიკური სამოთხე“

ხარკოვი, 29 ივლისი. სიტყვა ეძლევა საზოგადოებრივ მბრალმდებელს ამხ. პოპოვს. ამხ. პოპოვი ადის ტრიბუნაზე.

აუდიტორია სულგანაბულია. არაფერი მოულოდნელი არ არის იმ წვრილმან ჯაშუშურ მოღვაწეობასა და აშკარა გამცემლობაში, ამბობს ამხ. პოპოვი, რომელიც ბრალდება ქართულ მენშევიზმს. ასეთი მოვლენები განუყრელად თან სდევს სოციალ-დემოკრატიის კონტრ-რევოლიუციონურ მოღვაწეობას. პოპოვი საქართველოს იცნობს არა მარტო წიგნებიდან, არამედ ის უშუალოდ განიცდიდა მენშევიკურ „სამოთხეს“. პოპოვი სცხოვრობდა საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს და ის მოწამეა ყოველივე იმის, რაც იმ ხანებში აქ ხდებოდა.

მისი სიტყვა გაყოფილია სამ ნაწილად: 1. მენშევიკები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, 2. 1924 წლის აჯანყებამდე და 3. ეხლანდელი ტაქტიკა. არაბულ ზღაპრებს უწოდებს ამხ. პოპოვი ანჯაფარიძის მოთხრობას იმის შესახებ, რომ მენშევიკები ებრძოდენ დენიკინელებს. დაუსრულებელ კინო-ლენტად იშლება თვალწინ ცხინვალის აჯანყება, დუშეთის, ლეჩხუმის, სამეგრელოს, კვლავ ცხინვალის, დამსჯელი ექსპედიციები აფხაზეთში. აღშფოთებით ხვდება მთელი აუდიტორია პოპოვის მიერ მოყვანილ ამონაწერებს ევგენი გეგეჭკორის სიტყვიდან მოხალისეთა არმიის წარმომადგენლებთან გამართულ თათბირზე, სადაც „სოციალისტი“ გეგეჭკორი ამაყობდა ბოლშევიკების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით და რომელმაც თათბირის გათავების შემდეგ ტრადიციული აღმოსავლური სტუმართ-მოყვარეობით მიაცილა დენიკინელები შავი ზღვის ნავთსადგურამდე. ამავე დროს კი საკმარისი იყო დარიალის ხეობაში გამოჩენილიყვენ თეთრგვარდიელების მიერ დევნილი და განაწამები ბოლშევიკები, რომ ოქროს პაგონებიანი ბანდიტი წერეთელი, თბილისიდან მიღებული ბრძანების თანახმად, შეხვედროდა მათ მოღერებულ თოფებით და გაერეკა ისინი უკანვე თეთრ ყაზახთა რაზმების ხმლებით ასაკუწავათ. განსაკუთრებული ადგილი უკავია ამხ. პოპოვის სიტყვაში სვირელ უიღბლო ნერონის—ჯუღელის უიღბლო წიგნს, რომელიც სიამოვნებით ასწერს საქართველოს გლეხების აჯანყების სისხლში ჩახრჩობის ცალკე მომენტებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ

იწყება მენშევიკური ოპოზიციის მეორე პერიოდი. მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ თავისი გამარჯვების პირველ დღეებშივე გამოაცხადა კონტრ-რევოლიუციონერების ამნისტია. მენშევიკებმა ამაზე სიტყვიერათ უპასუხეს 10 აპრილის პირველი რეზოლიუციით, ხოლო საქმით კი განაგრძობდენ ჟორდანიას დირექტივის შესრულებას, რომელმაც საზღვარ-გარეთ გაქცევის წინ ბოლშევიკებთან შეურიგებელი ბრძოლა უანდერძა მათ. შემდეგ საკუთარი თავის გამამათრახებელი დეკლარაცია პარტიული კომიტეტისა, რომელმაც აჯანყება გამოაცხადა დამარცხებულად იმიტომ რომ მას მხარი არ დაუჭირა მოსახლეობამ.

მესამე პერიოდი—მენშევიკების სწრაფი დაცემის პერიოდი აგვისტოს აჯანყების შემდეგ. მენშევიკები იმედს ამყარებენ საერთაშორისო გართულებაზე. მენშევიკები პოლონეთის გენერალური შტაბის სამსახურში არიან. შემდეგ ისინი იმედს ამყარებენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის შინაგან ძალებზე და უკავშირდებიან უკრაინის კონტრ-რევოლიუციონერებს. მენშევიკები აგვისტოს აჯანყების შემდეგ ერთად-ერთი იმედს ომზე ამყარებენ. ნუ აჩქარდებით, სწერს ჟორდანია თავის თანამოაზრეებს, დაუცადეთ მოსკოვის დაცემას, რაც აუცილებლად მოჰყვება ომსო.

ომის მოლოდინში მენშევიკები უნდა მომზადებულიყვენ საქართველოში, უნდა შეექმნათ ერთიანი ფრონტი საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ვინდა მიიმხრო ანჯაფარიძემ მთლიანი ფრონტის შესაქმნელად—კითხულობს პოპოვი და მიუთითებს კოლონაშვილზე. აი მენშევიკების პოლიტიკური თანამოძმე, კაცს, რომელშიაც კალეიდესკოპისებურად ირევა ერთმანეთში პოლიტიკური და სისხლის სამართლის ბოროტმოქმედებები. აი ანჯაფარიძის თანამგზავრნი—ამბობს პოპოვი და მიუთითებს პენკოვზე, ფედოროვზე და სხვებზე.

სასტიკად უნდა დაისაჯონ

თქვენი განაჩენი, ამხანაგო მოსამართლენო, იქნება არა მარტო სოციალური თავდაცვის ზომა გახრწნილ მენშევიზმის ნაშთებისაგან, არამედ იქნება სერიოზული გაფრთხილებაც ყველა ჯურის რეაქციონერებისათვის, რომლებიც მახვილს ლესენ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს წინააღმდეგ“.

პოპოვის სიტყვას აუდიტორია ისმენდა გულდასმით. ეს სიტყვა შესანიშნავი იყო, არა მარტო პირადი ორატორული ხელოვნებით, არამედ ქართული ჟირონდის გამცემლური ეპოპეის შესახებ იქ მოყვანილ განსაცვიფრებელი ფაქტებითაც.

აკ. ჭყონია.

სახელმწიფო ბრალმდებლის ამხ. პრიგოვის სიტყვა

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

„ჯვარცმა“ რევოლიუციისათვის

ხარკოვი, 30 ივლისი. ამხ. პოპოვის შემდეგ სიტყვას ამბობს ამხ. პრიგოვი. ეს არის იშვიათი ნიჭის, განმანადგურებელი სარკაზმის, დიდ პოლიტიკურ ერუდიციასთან შეზავებული ორატორული ნიჭის პატრონი ადამიანი. საერთოდ იუმორისათვის პროცესი წარმოადგენს ნოყიერ ნიადაგს, სადაც ერთი მეორეში იხლართება შეუთავსებელი „ჯვარცმა“ საქართველოსათვის, რევოლიუციისათვის, „ჯვარცმა“, რომელიც ფაქტიურად გამოიხატებოდა ჯაშუშობას, ნამდვილ ლაქიობასა პოლონეთის შტაბის წინაშე და სისხლის დანაშაულებრივ ბოროტმოქმედებაში. პრიგოვმა ეს ფართედ გამოიყენა პროცესში.

საქართველოს ეროვნული განთავისუფლების იდეა,—ამბობს პრიგოვი,—მენშევიკების ხელში გადაიქცა შლიანტის სასარგებლო სამხედრო დამზვერავ მუშაობად“.

„იყიდება ზითუმად და წვრილმანად“

პრიგოვი მოელის დავას იმის გარშემო, რომ კიევში არსებული ორგანიზაცია იყო თუ არა ნამდვილი ორგანიზაცია ანდა მეჩხანეების ჯგუფი, რომელიც შეექცეოდა კოლონაშვილის სიდედრის ხარიტინა არკადის ასულის მარწყვის მურაბას, როგორც ამის დამტკიცებას შეეცდება დამცველი მხარე.

პრიგოვისათვის საეჭვო აღარ არის, რომ კიევში ნამდვილად არსებობდა სავსებით ჩამოყალიბებული ჯაშუშური ორგანიზაცია იყო ნამდვილად რამოდენიმე პირთა ერთი ჯგუფი, რომელსაც აერთიანებდა ერთი მიზანი, ერთი ნებისყოფა და რომელიც განსაზღვრულ დავალებებს ასრულებდა.

შემდეგ პრიგოვი ეძებს პროცესის ნამდვილ დამნაშავეებს. ქართველი მენშევიკები არ არიან ისეთი ვეგეტარიანელი ბალახით მკვებავი ხალხი, როგორც რუსი მენშევიკები. „იყიდება ნაჯახრი ვაჭრობით, ზითუმად და წვრილმანად“—ეწერა ქართველ მენშევიკების შუბლზე.

სამი ბრალდებული

ვინ არიან ბრალდებულნი?

ანჯაფარიძე, კოლონაშვილი, გოგლიჩიძე, შექეშვილი,—აცხადებს პრიგოვი;—არის მანქანა, რომელიც პოლონეთის შტაბის მენშევიკურ კონტრ-რევოლიუციონურ ბიუროს მოქმედებას გადასცემს შორს მანძილზე. ვირმა იცის თავისი პატრონის ბაგა, ამიტომ იზიდავს მენშევიკებს ექსპოზიტურის სალარო. პრიგოვი მოითხოვს ბერუაშვილის გამართლებას, რომელსაც „ენაწყლიანმა“ კოლონაშვილმა ძალიან ბევრი ცოდვები მიაწერა, რითაც დასვა იგი ბრალდებულის სკამზე. ბერუაშვილმა, ამბობს პრიგოვი, თვითონ განაცხადა, რომ იგი პოლიტიკურად დავიწყების ბურუსს მიეცა. საჭირო არ არის, რომ იგი სასამართლომ ამოათრიოს ამ დავიწყების ბურუსიდან.

თუმცა ბროკოპ ულმერის დანაშაული დამტკიცებულია, მაგრამ პროკურორი საკმაოდ სთვლის იმ სასჯელს, რომელიც მან მოიხადა 11 თვის განმავლობაში ციხეში ყოფნით.

ცოტა სხვაგვარია სოფიო შექეშვილის საქმე. იგი აქტიურად უწყობდა ხელს ორგანიზაციის მუშაობას არა იდეიური მოსაზრებით, ჟორდანიას და რომის პაპისადმი (როგორც კათოლიკი) სიყვარულით, არამედ უმთავრესად პოლონეთში მყოფი დედამთილის სიყვარულით, რომელთანაც მას სურდა გამგზავრებულიყო. მას იტაცებდა ბერლინის ბანკის აკრედიტივები. ვსთხოვ სასამართლოს გამონახოს ზემოქმედების ისეთი ფორმები რომ სოფიო შექეშვილმა აღარ გაბედოს ასეთი თაღლითობა.

მექრთამე და ქურდი

პრიგოვის სიტყვით, არის ორი ბრალდებული—დრობოტი და ფედოროვი, რომელთაც ხელმძღვანელობდა პენკოვი. ფედოროვი და დრობოტი დაემორჩილენ ყოფილი ადამიანის პენკოვის გავლენას. ფედოროვი საიდუმლო ბარათების მიცემით დახმარებას უწევდა პოლონეთის შტაბს. ვერ იარსებებენ ლომის პორუჩიკები, თუ არ იქნებიან ფედოროვები. პრიგოვი მოითხოვს, რომ ფედოროვი გასამართლებულ იქნეს როგორც მექრთამე და ქურდი, რომელმაც მოიპარა დოკუმენტები, — თუ დამტკიცებული არ იქნება მისი კავშირი შტაბთან. ხოლო დრობოტი უნდა დაისაჯოს სამხედრო დოკუმენტებში ქრთამის მიცემისათვის.

პროლეტარულ სასამართლოს ხასიათი

პრიგოვი გადადის ჯგუფის ბრალდებულებზე, რომელთა შორის პირველი არის ექიმი გოგლიჩიძე, გოგლიჩიძე—ეს იშვიათი ენერგიის ადამიანია, რომელთანაც გზავნიან თავის კაცებს ჟორდანია, რამიშვილი და კანდელაკი. მას საზღვარზე გადაჰყავს ხალხი. მიუხედავად ამისა, გოგლიჩიძეს მე არ ვსთვლი სოციალურად საშიშ ელემენტად, იგი გულჩვილი კაცია, ყველა უპატრონოთა მამა, ნაციონალისტი, ინტელიგენტი, რომელიც ყველა თანამემამულეებს უწევს დახმარებას, მიუხედავად მათი პოლიტიკური მრწამსისა. შუამდგომლობა, რომ ექიმ გოგლიჩიძეს მიეცეს საშუალება დაუბრუნდეს თავისი ხალხის სამსახურს, საშინელი ლახვარი იქნება ჩვენი მტრებისთვის, რომელნიც ჩვენდამი მძულვარებით არიან გამსჭვალულნი. პროლეტარიატისათვის არ არსებობს შურისძიება შურისძიებისათვის.

პროლეტარულმა სასამართლომ არშიძე—გოგორიშვილი არ უნდა სცნოს სოციალურად საშიშ ელემენტად, მიანიჭოს მას თავისუფლება, ვინაიდან მან შეიგნო თავისი შეცდომა, მან კატეგორიულად განაცხადა, რომ იმნაძის მაგვარი ხალხი ღუპავს საქართველოს, იგი აღგვითქვამს, რომ კეთილსინდისიერი საბჭოთა მოქალაქე იქნება. მან არ შეასრულა შტაბის დავალება. ჩვენ არ გვინდა სისხლი, ჩვენ უნდა გავანთავისუფლოთ გოგლიჩიძე და გოგორიშვილი.

ავანტიურისტები უნდა დაისაჯონ

შექეშვილი გაიძვერა ავანტიურისტია, რომელიც ორგანიზაციაში ანგარების მიზნით შევიდა.

კოლონაშვილი პოლიტიკური ქამელეონის განსაკუთრებული ტიპია. კოლონაშვილი დაუდეგრომელი კაცია. (დარბაზში სიცილია). კოლონაშვილი ყნოსვით აგინებს მოხრაკულ საჭმელს. იგი არის გახრწნილი პოლიტიკური პროტოპლაზმა, რომელიც გამოსადეგი იყო ანჯაფარიძის მიზნებისათვის.

კოლონაშვილი მხიარული ავანტიურისტია, შექეშვილი კი მკაცრი ავანტიურისტი. პრიგოვი სასტიკ განაჩენს მოითხოვს ორივეს მიმართ.

უმაღლესი სასჯელი ანჯაფარიძეს და პენკოვს

შემდეგ პრიგოვი გადადის ანჯაფარიძე—პენკოვის დახასიათებაზე.

— ანჯაფარიძე წარმოადგენს უკიდურესად პროვინციალურ მენშევიკს, რომელმაც ვერ შესძლო მოშხმულ ნაციონალიზმზე ამაღლება. პენკოვი და ანჯაფარიძე ერთად მოღვაწეობდენ, ერთად დადიან, და ერთადაც ივლიან მანამ, სანამ პროლეტარული ხელისუფლება არ გასრეს მათ ისე, როგორც გოგოლის ცნობილი მეფურნე სრესავდა მჭენარებს. პენკოვი ფულის მოყვარული ადამიანია. მისთვის სულერთია როგორი ხელისუფლებაც არ იქნება ოღონდ იყოს ფული. აბა სცადოს ანჯაფარიძემ თუ შესძლებს და შეყოს ცხვირი ფაბრიკებში, სოფელში, წითელი ლაშქრის სადგომებში.

აქეთკენ გზა მისთვის დახშულია, აქ ყველაფერი დაკეტილია მისთვის ათასი ბოქლომებით. აქ ვერ იპოვის ანჯაფარიძე თავის დასაყრდნობს და მისთვის დასაყრდნობი მხოლოდ პენკოვია. ანჯაფარიძე როგორც პიროვნება არ წარმოადგენს დიდ საშიშროებას, მაგრამ საერთაშორისო მენშევიზმი საუკეთესო ფორმაა მასების მოსატყუებლად. და ანჯაფარიძე, ამ მენშევიზმის, რომელსაც ზედ ემატება პენკოვშჩინა, ენერგიული გამტარებელია. სახელმწიფო ბრალმდებლობა სარგებლობს მასიური დაშინების მეთოდით და მოითხოვს ამ არარაობისათვის ამ პროვინციელისათვის და ბრიყვ მენშევიკებისათვის ისეთ სასჯელს, რომელიც სამუდამოთ დაიცავს საბჭოთა ქვეყანას, საერთაშორისო რეაქციის ასეთ ქვემძრომთაგან.—

პრიგოვი აქ ვერ იკავებს თავს და აღშფოთებით აღსავსე ხმას იმაღლებს.

დარბაზში სამარისებური სიჩუმეა.

პრიგოვი გადადის შემდეგ იმის გამორკვევაზე, თუ რა სასჯელი უნდა იქნეს დაწესებული პენკოვისათვის.

— პენკოვი საერთაშორისო ჯაშუშობის აგენტია, ვინაიდან პოლონეთის შტაბი. რომლის სასარგებლოთ მუშაობდა პენკოვი ამ ჯაშუშობის მოწინავე უჯრედია.

ამხანაგო მოსამართლენო, დაიცავით საბჭოთა ქვეყანა კონტრ-რევოლიუციის სისაძაგლისაგან!

სახელმწიფო ბრალმდებლობა მოითხოვს პენკოვისათვის უმაღლეს სასჯელს.

დარბაზში, არ ისმის თანაგრძნობის არც ერთი სიტყვა, ან ამოოხვრა. პენკოვის სასარგებლოდ.

—აგრე უნდა პანების მიერ მოსყიდულ ჯაშუშს, გამყიდველ აგენტს — ისმის აქეთ-იქიდან, დარბაზიდან გამოსულ მუშებში.

პრიგოვის მტკიცე, მტრებისადმი გულწრფელი ზიზღით გამსჭვალულმა სიტყვამ მოახდინა მსმენელებზე ძლიერი შთაბეჭდილება.

განსაკუთრებით მოულოდნელი აღმოჩნდა ბრალმდებელის მოთხოვნილება გოგლიჩიძის და გოგორიშვილის განთავისუფლების შესახებ, მაგრამ ეს ერთხელ კიდეც აშკარავებს პროლეტარული მართლმსაჯულების ბუნებას.

ბრალმდებლის დასკვნა

ბრალმდებლის სიტყვა სრულიად მოულოდნელი იყო, როგორც აუდიტორიისათვის, ისე ალბათ მკითხველებისათვისაც, რომლებიც თვალ-ყურს ადევნებდენ გასამართლებას. ყველა იმას ფიქრობდა, რომ ბევრნი, თავის დანაშაულისათვის პროლეტარული სახელმწიფოს წინაშე, მძიმედ დაისჯებოდენ. თუმცა ბრალდებულის დასკვნა არ სწყვეტს საბოლოოთ საკითხს, მაგრამ მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ ის გავლენას მოახდენს განაჩენზე.

„ჩვენ არ მოვსულვართ ბარებით ხელში საფლავის ამოსათხრელად ისედაც დასაფლავებულ ხალხისათვის“ — სთქვა თავის სიტყვაში ბრალმდებელმა და ამით დაახასიათა თავისი ლამაზი, მენშევიკების მიმართ გამანადგურებელი სარკაზმით აღსავსე სიტყვის შინაარსი.

დასასრულ ბრალმდებელმა მოითხოვა ექვსი დამნაშავის განთავისუფლება. ზოგის სრულებით, ზოგის კი სხვადასხვა პირობით.

ყველაზე უფრო გასაცვიფრებელი იყო და სრულიად მოულოდნელი მოთხოვნილება ექიმი გოგლიჩიძეს განთავისუფლების შესახებ, რომ მას განეგრძო სამსახური თავისი ერის სასარგებლოდ. რაც არ უნდა იყოს, გოგლიჩიძემ ანჯაფარიძეს დავალებით შექმნა კიევში ორგანიზაცია და ხელმძღვანელობდა მას ანჯაფარიძეს კიევში არ ყოფნის დროს, გოგლიჩიძე უწყობდა ხელს საზღვარზე გადასვლაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის საშიშ პოლიტიკურ დამნაშავეებს, რომლებიც თავისი ბუნებით ემსგავსებიან ამიერიდან ცნობილ ექსპოზიტურის სოციალ-ჯაჯუშს იმნაძეს. და მიუხედავათ ამისა, ბრალმდებელი მოითხოვს ასეთი ადამიანის განთავისუფლებას, რომ საშუალება მიეცეს მას განაგრძოს სასარგებლო აღმშენებლობითი მუშაობა.

რითი დაიმსახურა გოგლიჩიძემ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლის ასეთი განსაკუთრებული ლმობიერება და შეღავათი? იმით, რომ გულწრფელად შეიგნო ჩადენილი ბოროტმოქმედების საზიზღრობა.

უფრო მოულოდნელი იყო ბრალმდებელის მოთხოვნილება გოგორიშვილის განთავისუფლების შესახებ, რომელიც ორი დღის წინეთ დაპატიმრებული იქნა თვით დამცველების თანხმობით და სხვა დაპატიმრებულებთან განცალკევებით იქნა მოთავსებული და რომელიც ბრალმდებლის სიტყვით მეორე ხარისხოვან ბრალდებულიდან მთავარ ბრალდებულად გადაიქცა. მაგრამ გოგორიშვილის ჩვენებაში ადგილი ქონდა გულწრფელობას. გოგორიშვილს ჯაშუშობა ახლად დაწყებული ქონდა. მას არ შეუსრულებია დავალება; მან ხელი შეუწყო სასამართლოს ისეთ წვრილმანების გამორკვევაში, რომელსაც ანჯაფარიძე და პენკოვი დაჟინებით მალავდენ. გარდა ამისა გოგორიშვილმა მოიხადა თავისი სასჯელი იმითაც, რომ ერთი წელი დაყო ციხეში საზღვრის გადალახვის შემდეგ.

კანცელარიის წვრილი მოხელეს ფედოროვის სახე, რომელიც ღებულობდა ქრთამს ლუდით, მსხლით, ჩექმებით და ფულით, — სიხარულით გახსივოსნდა, როდესაც ბრალმდებელმა მას მხოლოდ მექრთამეობა დააბრალა, მაგრამ... აქ ბრალმდებელმა დასვა მრავალმნიშვნელოვანი „მაგრამ“ და სთქვა: „ფედოროვების გარეშე არ არსებობენ პორუჩიკ ლომინსკები“. და ფედოროვიც პასუხს გასცემს, როგორც მექრთამე, თუ არ დაუმტკიცეს მას ექსპოზიტურისათვის შეგნებულათ დახმარების გაწევა, რაც ძლიერ საეჭვოა.

როდესაც - კი ბრალმდებელი შეეხო კოლონაშვილს, ყველა ფიქრობდა რომ ბრალმდებელი მის მიმართ გამოიჩენდა ლმობიერებას, ვინაიდან კოლონაშვილის შესახებ შეიქმნა ისეთი საერთო აზრი, რომ ის იმდენათ ორგანიზატორი არ იყო, რამდენათ მოლაყბე და მისივე ამხანაგების დახასიათებით კი ტრაბახა და სუსტი ხასიათის პატრონი. და ბრალმდებელიც სწორედ ამისათვის, სწორედ მისი გამცემლობისათვის და გამყიდველობისათვის სცნო ის სოციალურად საშიშ ელემენტად.

„გასაკვირია, სთქვა ირონიულად—პრიგოვმა — რატომ მხოლოდ ოთხ პარტიის წევრად სთვლიდა თავს კოლონაშვილი? მისი ნიჭის და ხასიათის პატრონს შეუძლია ყოფნა ყოველ წუთს, ყოველ პოლიტიკურ ორგანიზაციაში, ყველა კლასში, ყველა ერში, მხოლოდ—კი დაცული იქნეს ერთი აუცილებელი პირობა—იყოს ფული“.

ასეთივეა შექეშვილი სიმონი. ეს გაუსწორებელი ავანტიურისტია რამიშვილის „ოსობი ოტრიადის“—ყოფილი თანამშრომელი. კიევის ორგანიზაციაში ყოფნის დროს ის შახნაზაროვის გვარით თავისივე ამხანაგებს ამხილებდა პოლიტიკურ სამმართველოში, აწარმოებდა ორმაგ პოლიტიკას და ამით იმზადებდა ნიადაგს თავის გასამართლებლად იმ შემთხვევაში, თუ დააპატიმრებდენ ორგანიზაციას, კოლონაშვილი და შექეშვილი საბჭოთა საზოგადოებისათვის საშიშ ელემენტებს წარმოადგენენ, უნდა დასჯილიყვნენ სასტიკათ და ბრალმდებელმაც მოითხოვა კიდეც მათი სასტიკათ დასჯა.

მოვიდა ანჯაფარიძეს ჯერი. უნდა მოგესმინათ ბრალმდებელისათვის. საჭირო იყო სასამართლოს კედლების გაწევა, რომ აუდიტორია უსაზღვროთ გაფართოებულიყო. პრიგოვის სიტყვა საუკეთესო განაჩენი იყო მენშევიკებისათვის.

„ანჯაფარიძე, როგორც პიროვნება, არარაობას წარმოადგენს, მაგრამ მენშევიზმი ისეთი ავადმყოფობაა, რომელიც ჯერ კიდევ, საუბედუროთ, მძვინვარებს ევროპის მუშათა კლასის წრეებში. ანჯაფარიძე ამ ავათმყოფობის შხამით გაღენთილ პროტოპლაზმას წარმოადგენს, რომელიც ავრცელებს სოციალ - გამცემლობის, ბანდიტიზმის და ჯაშუშობის სენს, ამიტომ მიღებული უნდა იქნეს ზომები ამ სენის გავრცელების წინააღმდეგ, რომ ის არ მოედვას ისეთ უნიადაგო ეკზემპლიარებს, როგორიც არიან კოლონაშვილი და მისი მსგავსი. და მენშევიკური „დემოკრატიის“—ამ მშვენიერ მანდილოსნის, რომელმაც გაიყო სარეცელი პოლონეთის ჯაშუშთან პენკოვთან, საბრალო აგენტს, საიმედო ხელით უნდა მოესპოთ საშუალება თავისი საზიზღარი საქმის გაგრძელებისათვის“.

ასეთია პრიგოვის სიტყვის საერთო შინაარსი. ამ სიტყვის დროს ანჯაფარიძე იწვევდა მხოლოდ ზიზღს.

შემდეგი სიტყვა ეხებოდა პენკოვს. „არის დანაშაული რომლის გამართლება შეუძლებელია, არიან დამნაშავეები, რომლებიც შეუძლებელია შეადარონ ადამიანმა, ჩვეულებრივ დამნაშავეთ— ეს არის ჯაშუშობა, აშკარა ჯაშუშობა პოლონეთის ექსპოზიტურის სასარგებლოთ, რომელიც უკავშირდებოდა საერთაშორისო ოხრანკისა და ეს ჯაშუშობა დაუმტკიცდა პენკოვს. ასეთი დამნაშავეების წინააღმდეგ არსებობს ერთად - ერთი სასჯელი — უმაღლესი სასჯელი“— და ბრალმდებელმა კატეგორიულად მოითხოვა ის ექსპოზიტურის დაქირავებულისათვის. დეგენერატ პენკოვ-პოლოჟნისათვის, რომელიც ამ დროს იჯდა და იყურებოდა გადმოკარკლული თვალებით და დაბმული ძაღლის გამომეტყველებით, რომელიც მზად არის გახლიჩოს და ნაკუწად აქციოს ყველანი.

სხდომა დასრულდა. მუშები გავიდენ დარბაზიდან სავსებით კმაყოფილნი ბრალმდებელის სიტყვით. დერეფანში დარჩა მხოლოდ პენკოვის მტირალი და, რომელიც თავიდან ესწრებოდა მამასთან ერთად სასამართლოს სხდომებს, და რომელიც დასტიროდა ახლა ძმის და ოჯახის შერცხვენას.

აკ. ჭყონია.

30 ივლისის დილის სხდომა

(მეთექვსმეტე)

მხარეთა კამათი

(ტელეგრაფით ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ანჯაფარიძის დამცველ რივლინის სიტყვა

ხარკოვი, 30 ივლისი. 30 ივლისის დილის სხდომაზე გრძელდება მხარეების კამათი. პირველად ტრიბუნას იკავებს [illegible] ბრალდებულ ანჯაფარიძის დამცველი რივლინი.

„სამართალს ვეძებ არა მოაჯირს იქით, არამედ წითელ მაგიდასთან,—ამბობს ის და მიუთითებს სასამართლოზე. ჩვენ არ ვამართლებთ საბრალმდებლო სკამზე მჯდომარეთა საქმიანობას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მათ ასამართლებს არა ნამდვილი მტერი, მათ ასამართლებს საბჭოთა სასამართლო, მუშათა და გლეხთა სასამართლო, ყველაზე უფრო ობიექტიური და ყველაზე უფრო სამართლიანი“. რივლინი არ აცალკევებს ქართულ მენშევიზმს რუსეთის მენშევიზმისაგან. ისტორია სწყვეტს დავას მარქსიზმის ორი ფრთის შორის. ამის მაგალითია საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის არსებობა. პლეხანოვი იყო პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, მაგრამ კატეგორიული უარი განაცხადა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრებაზე. მენშევიზმის საბედისწერო შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ მან ვერ გაიგო ეს სიბრძნე. ის მტკიცე ბლოკით შეეკრა ბურჟუაზიას. შემდეგ დამცველი ეხება ქართველ მენშევიკების რევოლიუციონურ წარსულს, იგონებს რევოლიუციისათვის დაღუპულთ საქართველოში. საქართველომ, ნავთის მოყვარულთა ამ ტკბილმა ლუკმამ, რევოლიუციონურ ხანძრის და იმპერიალისტურ შემოხვევათა ხანაში, მოისურვა ნეიტრალურად დარჩენა, მაგრამ ეს ნეიტრალობა ფაქტიურად გადაიქცა იმპერიალიზმზე ორიენტაციად. ქართველმა მენშევიკებმა კლასიური ბრძოლა გარდაქმნეს ნაციონალურ ბრძოლის დამატებად. შემდეგ თითონ დამცველი იტაცებს მენშევიკების ნაციონალურ ბრძოლის შექებას.

ის აკეთებს ისტორიულ ექსკურსიებს, ეხება აჯანყებს უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში. ისტორიამ არ იცის სწორი ხაზები. მენშევიკების ისტორია მიდის მრუდე დამავალ ხაზით. ეს ხაზი სწორდება რის დამამტკიცებელია ყოფილი მენშევიკთა თბილისის კონფერენციის ანგარიში. შემდეგ დამცველი ამტკიცებს რომ ანჯაფარიძე ჩამოშორდა ჟორდანიას ხაზს. ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ანჯაფარიძის განცხადება „იარაღით დავიცავ საბჭოთა კავშირსო“, რივლინი აცხადებს, რომ ანჯაფარიძემ არ იცოდა, რომ საზღვარზე ის გადადიოდა პოლონეთის შტაბის დახმარებით. ამით დამცველი აშკარად უშვებს მხედველობიდან თითონ ანჯაფარიძის მიერ არა ერთხელ გაკეთებულ განცხადებებს მის დეკლარაციაში. რივლინი სცდილობს და ამტკიცოს, რომ კიევში არ არსებობდა მენშევიკური ორგანიზაცია, ვინაიდან ამ ორგანიზაციამ ვერ მოასწრო რაიმეს გაკეთება. საქართველოში ანჯაფარიძემ ცეკა ვერ იპოვა, რადგანაც სულაქველიძე უკვე დაპატიმრებული იყო. ამრიგად, დამცველი ანჯაფარიძეს ხატავს, როგორც უდანაშაულო კრავს. დამცველი მიუთითებს პროკურორის სიტყვებზე, რომ ანჯაფარიძე არ არის ინდივიდუალურად საშიში, და წინადადებას იძლევა ანჯაფარიძე იქნეს განთავისუფლებული და გაგზავნილი ქარხანაში, სადაც ანჯაფარიძე კი ვერ „დაშლის“ მუშებს, არამედ მუშები „დაშლიან“ მას. პროკურორი მოითხოვს ხანგრძლივ იზოლიაციას; ვფიქრობ, რომ ასეთი ზომა ზედმეტი იქნება; ანჯაფარიძეს ესაჭიროება არა იზოლიაცია, არამედ საბჭოთა გარემოცვა და ერთი ორი წლის შემდეგ ის გახდება პროლეტარიატის დიქტატურის ჭეშმარიტი მომხრე“.

დამცველი ვინოგრადსკი

შემდეგ ლაპარაკობს სიმონ შექეშვილის და დრობოტის დამცველი ვინოგრადსკი. დრობოტი ამ კამპანიაში მოხვდა სრულიად შემთხვევით, ამიტომ, დამცველი შუამდგომლობს; რომ ის განთავისუფლებულ იქნეს. შექეშვილი რამოდენიმე წელიწადი მუშაობდა, როგორც მშვიდობიანი აგრონომი. ის არ არის მავნე საბჭოთა ხელისუფლებისათვის და ამიტომ უნდა განთავისუფლებულ იქნეს გლეხებს შორის სამუშაოდ, ისე, როგორც პროკურორი მოითხოვდა გოგლიჩიძის განთავისუფლებას თავის პროფესიაში სამუშაოდ სამშობლოში.

მამულოვმა, რომელიც გამოვიდა გოგორიშვილის და ბერუაშვილის დასაცავად, განაცხადა: „გამოვდივარ მეორე დამცველად, ვინაიდან პროკურორმა თავის სიტყვაში გაამართლა ჩემი მარწმუნებლები“.

გატარების წინააღმდეგ. არავითარი კონკრეტიული ზომა, თუ როგორ უნდა იქნეს ეს ბრძოლა წარმოებული, კონფერენციამ არ დაუსახავს. მაშასადამე, „ბრძოლა“ განისაზღვრება უბრალო სიტყვიერებით და იწარმოებს, „კონსტიტუციონური“, საპარლამენტო გზით, რაიც, რა თქმა უნდა, არავითარ შედეგს არ გამოიღებს, კომუნისტ-დელეგატის ხორნერის საპასუხოდ, ხორნერის, რომელმაც მოითხოვა ბრძოლის ეხლავე დაწყება და საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება, მემარჯვენეებმა მას საბჭოთა კავშირის აგენტი უწოდეს და წინადადება მისცეს დასტოვოს მემაღაროეთა ფედერაცია, თუ მის პოლიტიკას არ იზიარებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციაზე, მემარჯვენეების წყალობით დამყარდა მტრული ატმოსფერა საბჭოთა კავშირის მიმართ. ამან ბოლოს გამოხატულება ჰპოვა იმაში, რომ უარყოფილ იქნა წინადადება ინგლის-საბჭოთა კავშირის მემაღაროეთა მთლიანობის კომიტეტის დაარსების შესახებ.

კონფერენციის „მოღვაწეობისათვის“ დამახასიათებელია აგრეთვე მთლიანი კავშირის პრინციპის უარყოფა და გალაშქრება მუშათა პარტიაში კომუნისტების მიღების წინააღმდეგ.

ინგლისის ბურჟუაზია ზეიმობს კონფერენციის ასეთი შედეგების გამო და ხოტბას ასხამს ბ. სმიცებს, რომლებმაც ყოველი ღონე იხმარეს, რათა შეესრულებიათ მემაღაროეთა ბრძოლის უნარი. მაგრამ ეს ზეიმი ხანმოკლე იქნება. სულ სხვა გვარია მასების განწყობილება. მიუხედავათ სმიცების გამცემლობისა, ისინი ბრძოლისათვის ემზადებიან. ამას აიძულებს მათ კაპიტალის გააფთრებული შეტევა და ეკონომიური გაჭირვება.

⁂

ჩინეთის რევოლიუციის ფრონტზე უკანასკნელ დროის ამბებიდან ყველაზე უფრო აღსანიშნავია კომპარტიის მიერ თავის კლასობრივი ხაზის გამოსწორება. მკითხველი უკვე იცნობს ორ დოკუმენტს—ჩინეთის კომპარტიის ცეკას დეკლარაციას და უხანის მთავრობის ყოფილ წევრების—კომუნისტების ტან-პინ-სიანის და სიუ-ჯაო-ჯენის ცალკე დეკლარაციას. ამ დოკუმენტებში გარკვეულია უხანის მთავრობიდან კომუნისტების გასვლის მიზეზები, კომპარტიის დამოკიდებულება გომინდანისადმი და მისი ამოცანები ჩინეთის რევოლიუციაში.

იყო დრო, როცა კომუნისტების მონაწილეობა უხანის მთავრობაში საჭირო იყო. ეს მაშინ, როცა უხანი კიდევ ასრულებდა რევოლიუციონურ როლს. მაგრამ რევოლიუციის გაშლისთანავე, [illegible] ზისთანავე, რაც ფეოდალიზმის და ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგაა მიმართული,—უხანის წვრილ ბურჟუაზიულ რადიკალების ჯგუფი რევოლიუციას განუდგა. ის გადაიქცა იარაღად მილიტარისტების და მსხვილი ბურჟუაზიის ხელში, მან დაიწყო ბრძოლა მასების რევოლიუციონური გამოსვლების ჩასაქრობათ. ამის შემდეგ, აშკარაა, კომუნისტებს უხანის მთავრობაში ვერ დარჩებოდენ და პასუხიმგებლობას ვერ გაიზიარებდენ მისი კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებისათვის. პირიქით მათ მოვალეობას შეადგენს უხანის მთავრობის მოღალატეობის შეუბრალებელი მხილება და ბრძოლა მისი გამცემლური მუშაობის წინააღმდეგ. კომპარტია ამას განმარტავს თავის დეკლარაციაში.

მაგრამ ნიშნავს ეს გომინდანიდან კომპარტიის გამოსვლის საჭიროებას? სრულებითაც არა. გომინდანი მარტო მოღალატე ზედა ფენებისაგან როდი შესდგება. გომინდანის უმრავლესობა—მასა —რევოლიუციონურადაა განწყობილი და კომპარტია დიდი გავლენით სარგებლობს მის თვალში. გომინდანიდან გამოსვლით კომპარტია ამ მასის გარეშე დააყენებდა თავის თავს და ხელს შეუწყობდა თავის იზოლიაციას, რაც მხოლოდ რევოლიუციის მტრებისათვისაა სასარგებლო. კომპარტია უნდა დარჩეს გომინდანში, მის შიგნით შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა, დარაზმოს მასები თავის დროშის გარშემო და ჩამოაცილოს ისინი გომინდანის მემარჯვენე ხელმძღვანელებს. ხსენებულ დეკლარაციაში ყველაფერი ეს აღიარებულია.

გომინდანის მეთაურები, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებიან კომპარტიის ასეთ პოზიციას, უკანასკნელის მიერ წამოყენებულ კრიტიკას მათ წინააღმდეგ. ამიტომ კომუნისტების გასვლას მთავრობიდან გომინდანის ხელმძღვანელები იყენებენ მის გამოსარიცხავად გომინდანის პარტიიდან. გომინდანის პოლიტბიუროს პრეზიდიუმი თავის დეკლარაციაში ამბობს: „ნაციონალურ მთავრობიდან კომუნისტების გამოსვლა ამავე დროს ნიშნავს გამოსვლას გომინდანიდან. ამიტომ ნაციონალურ მთავრობიდან გასვლასთან ერთად კომუნისტები უნდა გავიდნენ აგრეთვე ყველა სახელმწიფო ორგანოებიდან და დაწესებულებებიდან“. გომინდანის ცეკა კომუნისტებს გომინდანის პარტიიდან ერეკება. კომპარტია, ცხადია, ამ ცდას შეებრძოლება და მის საპასუხოდ გააძლიერებს მუშაობას გომინდანის მასებში.

კომპარტია დგება სწორ გზაზე. საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის გაღრმავება - გაფართოვება ყოველგვარ კომპრომისის უარყოფა რევოლიუციის დეზერტირებთან და გადაჭრილი კურსის აღება მასების რევოლიუციონურ მობილიზაციისაკენ. ჩინეთის რევოლიუცია მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გაიმარჯვებს.

გ. ქ—ლი.

„ახალი“ ოპოზიციის გზა

> „ოპოზიციურად განწყობილი პარტიული მუშათა მასები თავის ბელადებზე ათწილებით უკეთესია“.
>
> „ბელადები იმდენად გაიცვითენ პოლიტიკურ ინტრიგებსა და პოლიტიკანობაში, იმდენი ნეხვი შეურიეს საღ მარცვალს, რომ უსათუოდ შემცდარად უნდა იქნეს აღიარებული მათი **მოფერების** ტაქტიკა ჩვენი პარტიის ცეკას მხრით... მუშათა რაიონებისათვის მეტი ყურადღების მიქცევა, ერთის მხრით, და „მუშათა ოპოზიციის“ თავამწვებულ ბელადების ალაგმვა, მეორე მხრით, შინაპარტიული პოლიტიკის მთავარ ამოცანას შეადგენს“.
>
> ი. სმილგა, „На повороте“ 1921 წ. გვ. 24.

1. ოპოზიციის დამარცხება ოქტომბერში

1926 წლის ოქტომბერში პარტიამ ჯამი გაუკეთა ოპოზიციური ბლოკის ფრაქციულ მუშაობას. ამ ბლოკში შედიოდენ: ტროცკის მიმდევრები, „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ ჯგუფის ყოფილი მომხრეები, შლიაპნიკოვის მომხრეები (მუშათა ოპოზიცია) და ამხ. ზინოვიევის და კამენევის მიერ შექმნილი „ახალი ოპოზიცია“. ამავე ბლოკში შევიდნენ სმილგას (ბუფერული) ჯგუფის წარმომადგენლები, მასვე მიეკედლენ აგრეთვე სულ სხვადასხვა ოპოზიციური ჯგუფების ნაშთები და მალე მათ თან გაჰყვენ ანტი-პარტიული ელემენტებიც, ასე რომ ამხ. ზინოვიევი იძულებული იყო 1926 წ. ოქტომბერში ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში აღიარებინა, რომ „მესამე (მტრულ) ძალას“ შეეძლო გამოეყენებია ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ოპოზიციის ბრძოლის წყალობით ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ.

ოპოზიციამ 1926 წ. 16 ოქტომბერს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც სწერდა: „**ჩვენ კატეგორიულად უარვყოფთ ფრაქციებისა და ჯგუფების თავისუფლების თეორიასა და პრაქტიკას** და ვაღიარებთ, რომ ასეთი თეორია და **პრაქტიკა ეწინააღმდეგება ლენინიზმის საფუძვლებს და პარტიისგადაწყვეტილებათ. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია გავატაროთ სინამდვილეში პარტიის გადაწყვეტილება ფრაქციულობის დაუშვებლობის შესახებ.** ამასთანავე ერთად ჩვენს მოვალეობათ მიგვაჩნია აშკარად ვაღიაროთ პარტიის წინაშე რომ ჩვენი შეხედულებებისათვის ბრძოლის დროს, ჩვენსა და ჩვენი თანამოაზრეების მიერ მთელ რიგ შემთხვევებში მე-XIV ყრილობის შემდეგ გადადგმულ იქნა ისეთი **ნაბიჯები, რომლებიც არღვევდენ პარტდისციპლინას და სცილდებოდენ რა პარტიის შიგნით იდეური ბრძოლის პარტიის მიერ დაწესებულ ფარგლებს, ატარებდენ ფრაქციულ ხასიათს.** მიგვაჩნია რა ეს ნაბიჯები უსათუოდ შემცდარად, ჩვენ ვაცხადებთ, რომ **გადაჭრით ვამბობთ უარს ჩვენი შეხედულებების ფრაქციული მეთოდებით დაცვაზე,** იმის გამო რომ ეს მეთოდები საფრთხეს უმზადებენ პარტიის მთლიანობას და აქეთკენ მოუწოდებთ ყველა იმ ამხანაგებს, რომლებიც ჩვენს შეხედულებებს იზიარებენ. **ჩვენ მოუწოდებთ ყველა იმ ფრაქციული ჯგუფების დაუყოვნებლივ დაშლისაკენ; რომლებიც შეიქმნენ „ოპოზიციის“ შეხედულებების გარშემო“.**

ამრიგად, ოპოზიციამ აღიარა, ერთი მხრით, რომ ის უარყოფს ფრაქციებისა და ჯგუფების თავისუფლების თეორიასა და პრაქტიკას, როგორც ანტი-ლენინურს; მეორე მხრით,—რომ მან დაარღვია პარტიული დისციპლინა იმით, რომ გასცილდა იდეური ბრძოლის ფარგლებს და დაადგა ფრაქციულობის გზას. მან ეს ნაბიჯები სცნო უსათუოდ შემცდარად და მოუწოდა ყველა ფრაქციულ ჯგუფების დაუყოვნებლივ დაშლისაკენ. ამავე დროს ოპოზიციამ აღიარა, რომ ოქტომბერში მან დაარღვია ცეკას დადგენილება საკავშირო მასშტაბით დისკუსიის წარმოების დაუშვებლობის შესახებ, დაიწყო რა დისკუსია ცეკას დადგენილებათა წინააღმდეგ.

იმავე განცხადებაში ამხ. ტროცკი, პიატაკოვი, ზინოვიევი, კამენევი, სოკოლნიკოვი და ევდოკიმოვი **გადაჭრით გმობენ „კომინტერნის ისეთ კრიტიკას ან ჩვენი პარტიის პოლიტიკას, რომელიც (კრიტიკა) გადადის წასისიანებაში და ასუსტებს კომინტერნის, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის მებრძოლი ორგანიზაციის მდგომარეობას, საკავშირო კომპარტიის, როგორც კომინტერნის მოწინავე რაზმისა ან საბჭოთა კავშირის, როგორც პროლეტარული დიქტატურის მოწინავე სახელმწიფოს მდგომარეობას“.** ამიტომ ეს ამხანაგები აღიარებენ **„აბსოლუტურად დაუშვებლად კომინტერნის ცალკე სექციებში, რომელიმე ჯგუფის ფრაქციულობის პირდაპირ ან ფარულად მხარის დაჭერას კომინტერნის ხაზის წინააღმდეგ, იქნება ეს სუვარინის ჯგუფი საფრანგეთში, მასლოვ - ფიშერისა და ურბანს-ვებერის ჯგუფი გერმანიაში, ბორდიგას ჯგუფი იტალიაში ან სხვა რომელიმე ჯგუფი, იმის და მიუხედავად, თუ როგორ უყურებს ის ჩვენს შეხედულებებს“.** „ჩვენ მიგვაჩნია, — სწერდენ ეს ამხანაგები,— **განსაკუთრებით დაუშვებლად რაიმე მხარის დაჭერა იმ ადამიანების მოღვაწეობისათვის, რომლებიც უკვე გამორიცხული არიან პარტიიდან და კომინტერნიდან, როგორიცაა რუტ-ფიშერი, მასლოვი“.** ეს ამხანაგები აცხადებენ: „მე-14 პარტიული ყრილობის ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებები მიგვაჩნია ჩვენთვის უსათუოდ სავალდებულოდ, უსიტყვოდ დავემორჩილებით მათ და გავატარებთ ცხოვრებაში“. აქეთკენვე მოუწოდებდენ ისინი ყველა იმ ამხანაგებს, რომლებიც მათ შეხედულებებს იზიარებდენ.

ჩვენ დაწვრილებით გავიხსენეთ ეს განცხადება იმიტომ, რომ ოპოზიციას ისე მოაქვს თავი, თითქოს მან თავის დაპირებანი შეასრულა, თითქოს მას არასოდეს არ დაურღვევია ის, რაც განაცხადა პრესაში მთელი პარტიისა და კომინტერნის წინაშე. დაწვრილებითი ანალიზის გარეშეც კი იმის შესახებ თუ რა გააკეთა ოპოზიციამ ამ ხნის განმავლობაში, პარტიის თვითეულ წევრს შეუძლია სთქვას: ყველაფერი, რაც ითქვა 1926 წ. 16 ოქტომბერს, ყველაფერი, რაც ოპოზიციამ დაჰპირდა პარტიას,— ყველაფერი ეს მან **გასთელა** პარტიის თვალის წინ, ყველაფერი ეს დიდი ხანია, რაც თვით ოპოზიციისათვის „**უბრალო ქაღალდის ნაგლეჯად**“ იქცა.

განა საჭიროა ლაპარაკი იმის შესახებ, თუ **რატომ** გააკეთა ოპოზიციამ მაშინ ასეთი განცხადება? ყველას ახსოვს, როგორი გააფთრებით შეუტია ოპოზიციამ ცენტრალურ კომიტეტს, იმ იმედით აღფრთოვანებულმა, რომ ტროცკისტების ჯგუფმა, რომელმაც 1923—24 წ. დისკუსიიდან მოყოლებული მთელი თავისი ჯარი დაჰკარგა გზაზე (დარჩენ მხოლოდ ერთგული „კადრის“ ოპოზიციონერები, რომლებიც ამაყობენ იმით, რომ ისინი ძველი ტროცკისტებია),— რომ ამ ტროცკისტულმა ჯგუფმა შეიძინა ისეთი მომხრეები, როგორიც ამხ. კამენევი და ზინოვიევია, ან ისეთები, როგორიც საპრონოვი ან შლიაპნიკოვი და მედვედევია. ახალი ოპოზიციის ბლოკი ოცნებობდა იმაზე, რომ ერთი დაკვრით დაამარცხებდა ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობას და სხვა გზაზე დააყენებდა პარტიის უმრავლესობას.

ოპოზიციის ბევრი ხელმძღვანელი დარწმუნებული იყო იმაში, რომ საკმარისია გამოჩნდენ ისინი რომელიმე პარტიულ კრებაზე და მთელი კრება გადავა მათ მხარეზე. მაგრამ მათ მწარედ გაუცრუვდათ იმედი, რადგან მათ არ გაუწიეს ანგარიში იმას, რომ პარტია კოლოსალურად გაიზარდა, რომ პარტიაში მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ქანაობს; რომ პარტიის წევრთა დიდი უმრავლესობა არა ნაკლებ ერკვევა საკითხებში, ვიდრე თვით ოპოზიციის ბელადები და სრულიადაც არ ფიქრობს თაყვანი სცეს გმირულად „კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებებს“, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათი წარსული რევოლიუციონური დამსახურების იქეთ, მათი დიდი სახელის ზურგს უკან პარტიის წევრები ვერ დაინახავენ მათ წვრილბურჟუაზიულ და სოციალ - დემოკრატიულ გადახრებს, ვერ დაინახავენ მათ დაცილებას ლენინიზმიდან, — დაცილებას, რომელიც აღნიშნულია ჩვენი ყრილობების, კონფერენციების და კომინტერნის კონგრესების რეზოლიუციებში. მაშინ პარტიულმა მუშებმა დაამარცხეს ოპოზიცია და უარყვეს დისკუსია. ამ დროს ზოგიერთმა ოპოზიციონერმა თავისი დამარცხება ახსნა, როგორც მუშათა მასების „რეაქციონური განწყობილების“ შედეგი. აბა, რაღა თქმა უნდა, პარტიის წევრებს მასა, ეს ხომ— „დადუმებული“ და „ხმის მიმცემი პირუტყვია“, ხოლო ისინი კი—„მამაცი გმირები“, რომელთაც არავის და არაფრის არ ეშინიათ და აშკარად გამოდიან პარტიის წინააღმდეგ. ამ ადამიანებს არ ესწევთ ძალა აღიარონ თავისი პრინციპიალური შეცდომა, არ ყოფნით გამბედაობა აღიარონ თავისი იდეური გაკოტრება, ისინი ვერ ბედავენ აღიარონ, რომ მათ დაარღვიეს პარტიული დისციპლინა და დაადგენ ფრაქციულობის გზას. **ეს კი, და მხოლოდ ეს იქნებოდა ხსნა, რომ ამ ამხანაგებს პატიოსნათ ეღიარებიათ ყველა თავისი იდეოლოგიური შეცდომები, რომლითაც ისინი კიდევ უმატებენ ახალ შეცდომებს და თავგამოდებით იცავენ დღემდე მათ.**

ოპოზიციის ამ დამარცხებამ თავზარი დასცა მის მომხრეებს. დაიწყო მათ შორის ერთგვარი **დაქსაქსვა,** იქამდე **ბლოკის დაშლაც კი.**

ოპოზიციონერების ერთი ნაწილი არ დაემორჩილა თავისი ბელადების დადგენილებას და განაგრძობდა ფრაქციულ მუშაობას. ჩვენ უკვე გამოქვეყნებული გვქონდა პრესაში და კრებებზე ოდესის კომკავშირელთა და კომუნისტების— ტროცკისტების ჯგუფის ფურცელი, რომელიც ვრცელდებოდა ოპოზიციის ბელადების 16 ოქტომბრის განცხადების შემდეგ ოდესის ორგანიზაციაში, უკრაინაში და რომელშიაც იცავდენ პარტიის მიერ დაგმობილ ოპოზიციის ხაზს.

2. ოპოზიციური ბლოკის დაშლის დასაწყისი

მაგრამ, ოპოზიციური მოღვაწეობა ისევ განახლდა, რასაც ხელი შეუწყო შინაგანი და საერთაშორისო ცხოვრების მთელ რიგ ამბებმა. სიძნელეებმა და დამარცხებებმა, რომლებიც განიცადა ჩინეთის რევოლიუციამ, ომის საფრთხემ, რომელიც უფრო გამწვავდა საბჭოთა კავშირის საკონსულოებზე, სავაჭრო და სრულუფლებიან წარმომადგენლობებზე პეკინში, ლონდონსა და შანხაიში მომხდარ თავდასხმების შემდეგ, ჩან-კაიშისა და გომინდანის ღალატმა, წვრილი ბურჟუაზიის (განსაკუთრებით გლეხობის) აუცილებლებელმა მერყეობამ ომის საფრთხისა, საერთაშორისო გართულებისა და ეკონომიურ სიძნელეთა წუთებში კვლავ გამოაცოცხლა ოპოზიციის მოღვაწეობა. ამა წლის გაზაფხულზე (თებერვალი - მარტი) აქა-იქ ჩნდება ის „მემარცხენე“ ოპოზიციური ჯგუფის (საპრონოვი, ვ. მ. სმირნოვი და სხ.), უკვე არალეგალურად დაგზავნილი პლატფორმის პროექტი, რომელიც გამოეყო ტროცკი - ზინოვიევის მომხრეთა ოპოზიციას.

ცეკას თებერვლის პლენუმზე პარტია ჯამს უკეთებს სოციალისტურ სამეურნეო მშენებლობის უდიდეს მუშაობას, დღის წესრიგში აყენებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა საკითხი საკრედიტო სისტემის შესახებ, რკ. გზის ტრანსპორტის მდგომარეობისა, კაპიტალურ მშენებლობისა, გასაცემ და საცალო ფასების დაკლების შესახებ, იხილავს ს. ს. რ. კ. და რ. ს. ფ. ს. რ. საბჭოების მომავალ ყრილობასთან დაკავშირებულ წინადადებებს. და აი, აქ იჩენს თავს ოპოზიციის და მთელი მისი ეკონომიური პროგრამის სრული სიკოტრე: **ვერც ერთ განსახილველ საკითხზე ოპოზიციამ ვერ შესძლო ცეკას პლენუმისათვის საქმიანი წინადადების მიცემა**. კიდევ და კიდევ დაისვა საკითხი სოციალიზმის მშენებლობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში. ოპოზიციამ ვერ შესძლო იმ ფაქტების უარყოფა, რომლებიც შლიდენ სოციალისტური მშენებლობის სურათს. სწორად ლაპარაკობდა ამ პლენუმზე ამხ. ბუხარინი, რომელმაც მოიყვანა ამონაწერი ლენინიდან, რომ „ეხლა მთელმა მუშათა მასამ და არა მარტო ბელადებმა და მოწინავე პირებმა, არამედ ნამდვილად ფართო მასებმა იციან, რომ თვით ისინი საკუთარი ხელით აშენებენ სოციალიზმს, ააშენეს მისი საფუძველი და ვერავითარი ძალა ქვეყნის შიგნით ვერ შეუშლის ხელს ამ საქმის ბოლომდე მიყვანას“ (ლენინი. თხზ. კრ. გამოც. 1925 წ. ტ. მე-15, გვ. 500), და რომ „მთელი ქვეყნის ბურჟუაზიას... ძალიან კარგად ესმის ჩვენი გამარჯვების აუცილებლობა საზოგადოებრივი მეურნეობის გარდაქმნის საქმეში, თუ ჩვენ სამხედრო ძალამ არ გაგვთელა“. (ლენინი. ტ. მე-16, გვ. 350).

მართალია, ოპოზიციამ ამ პლენუმზეც ისე როგორც მე-14 ყრილობაზე, მე-15 პარტკონფერენციაზე და კომინტერნის მე-7 გაფართოებულ პლენუმზე, გაიმეორა თავისი ანტი-ლენინური აზრები სხვადასხვა ქვეყნების არათანაბარი განვითარების კანონის შესახებ და ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შეუძლებლობის შესახებ. მაგრამ, პლენუმის რეზოლიუცია ხომ კონკრეტიული გამოხატულება იყო ჩვენი შეხედულებებისა სოციალისტურ მშენებლობაზე. რა დაუპირისპირა ოპოზიციამ ამ ჩვენ გადაწყვეტილებებს? **არაფერი.** მთელი პარტიის ყურადღება მიპყრობილი იყო ფასების დაკლების საკითხზე. რამდენი მახვილი გადატყდა ამ საკითხის გარშემო რამდენიმე წლის განმავლობაში! როგორ ღელავდა ფელიქს ძერჟინსკი ერთი წლის უკან ცეკას ივლისის პლენუმზე, როცა ის ებრძოდა პარტიისათვის საშიშ ოპოზიციურ შეხედულებებს (პიატაკოვისა, პრეობრაჟენსკისა, ვ. სმირნოვის და სხ.) ფასების დაკლების საკითხის შესახებ! აკი ეს ამხანაგები ფიქრობდენ, თითქმის მთელ ოპოზიციასთან ერთად, რომ ფასების დაკლება საზიანოა. და აი, თებერვლის პლენუმზე გაკეთებულ იქნა პარტიის წინაშე შესანიშნავი **„მანევრი“**: ოპოზიციამ განაცხადა, რომ ის **მომხრეა ფასების დაკლების**. ამხ. ზინოვიევმა განაცხადა, რომ თუმცა მიღებულ რეზოლიუციის დასაბუთების ნაწილში ის „არ იზიარებს მთელ რიგ დებულებებს“, მაგრამ ვინაიდან ამ გადაწყვეტილებას დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიისათვის, ამიტომ ის ხმას აძლევს რეზოლიუციას მთლიანად. მის განცხადებას შეუერთდენ ამხ. ტროცკი და სმილგა, და მაშინვე ამხ. კლავდია ნიკოლაევამ განაცხადა, რომ ის „მიიჯნება იმ ამხანაგების შეხედულებისაგან, რომლებიც ზევით იყვენ დასახელებული (პიატაკოვი, პრეობრაჟენსკი, სმირნოვი), ე. ი. ფასების გადიდების მომხრეებისაგან და აგრეთვე იმათგანაც, ვინც ასე თუ ისე არ იძლევა ნათელ პასუხს ამ კითხვაზე და ბუნდოვანად ხდის მას“.

ამხ. კლავდია ნიკოლაევა მართალი იყო, როცა აღნიშნავდა, რომ „ფასების დაკლების საკითხთან დაკავშირებულია მთელი კომპლექსი საკითხებისა, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანი არიან ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში“.

რაშია აქ საქმე? ფასების დაკლების საკითხისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ გაუგებრობა გამოიწვია თვით ოპოზიციის რიგებში. ზოგიერთი ოპოზიციონერი აღელდენ, დაინახეს რა ამაში საქმის ღალატი. თვით ოპოზიციონერები უფრო გულწრფელ საუბარში ამას შემდეგნაირად ხსნიდენ: ოპოზიციას ეხლა კურსი იქეთკენ აქვს აღებული, რომ რაც შეიძლება მეტად გაემიჯნოს „მემარცხენე“-თა კავშირებს; უთანხმოება მათთან ახალ ფაზაში შევიდა. ისინი („მემარცხენენი“) საერთოდ **უარყოფენ სამანევრო პოლიტიკას,** ხოლო ამის გარეშე შეუძლებელია ოპოზიციის პრინციპიალური ხაზის ლეგალიზაცია პარტიაში; ამრიგად სინამდვილეში „მემარცხენენი“ უარყოფენ კურსს ლეგალურ გამოსვლებზე. „მანევრის“ გატარების (გასაცემ ფასების დაკლების სასარგებლოდ) დროს დაშვებულ

პენკოვის დამცველი

ტრიბუნას იკავებს პენკოვის დამცველი კონნიკოვი. ის დამტკიცებულად სცნობს პენკოვის დანაშაულს. „სანამ ხალხები არ გაერთიანებულან მთლიან, ძმურ კავშირში, სანამ არსებობენ სახელმწიფოებრივი საზღვრები, მანამდე პენკოვები იყვნენ და იქნებიან. ცნობები პენკოვის შესახებ მოგვცა თითონ მან. ეს არის დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოება. კონნიკოვი ამტკიცებს რომ პენკოვი გულმოდგინედ არ ასრულებდა პოლონეთის შტაბის დავალებებს. შპიონაჟი საერთოდ ცნობილი დანაშაულია, მაგრამ მას აქვს ხარისხები. საქმეში არ არის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ელემენტები, ამიტომ ვშუამდგომლობ შეფარდებულ იქნას მე-54 მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს უსასტიკეს იზოლიაციას არა უმცირეს სამი წლისა. პროკურორმა სცნო, რომ საბრალმდებლო სკამზე არ სხედან ნამდვილი დამნაშავენი. პენკოვი არის მეისრე, მსოფლიო შპიონაჟის დიდი მანქანის პატარა ვინტი. ამიტომ ვშუამდგომლობ სასჯელის უმაღლესი ზომა არ იქნეს შეფარდებული“.

დამცველი კულიკოვი

კოლონაშვილის და ბროკონის დამცველი კულიკოვი ამბობს: „პროკურორმა განსაზღვრა ჩემი სიტყვა კოლონაშვილის დასაცავად, როდესაც განაცხადა, რომ კოლონაშვილი, როგორც პოლიტიკური ფიგურა წარმოადგენს არარაობას. ამიტომ ის უნდა განხილულ იქნეს როგორც მხიარული ავანტიურისტი. პოლიტიკურ საშიშროებას კოლონაშვილი არ წარმოადგენს. გთხოვთ განაჩენი გამოიტანოთ ამ დასკვნების თანახმად. ბროკონის დაცვა მე არ მჭირდება, რამდენადაც თითონ პროკურორმა შესაძლებლად სცნო მისი სასჯელის ათი თვით დაპატიმრებით განსაზღვრა. ეს სასჯელი კი ბროკონმა მოიხადა დაპატიმრების პირველ წელს“.

აკ. ჭყონია.

ამიერ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოსაგან

29 ივლისის საღამოს სხდომა

მხარეთა კამათი

ხარკოვი, 30 ივლისი. 29 ივლისს საღამოს უზენაეს სასამართლოში დაიწყო მხარეების კამათი ქართველი მენშევიკების საქმის გარშემო.

პირველად გამოვიდა საზოგადო ბრალმდებელი პოპოვი, რომელმაც თავის სიტყვაში სთქვა:

„უზენაეს სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს საქართველოს მენშევიკური პარტიის ცეკას კონტრ-რევოლიუციონური მუშაობა, მიმართული საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ საბჭოთა კავშირში, პირველ რიგში—საქართველოში, უცხო სახელმწიფოების დახმარებით.

პოლონეთის გენერალური შტაბი ხელს უწყობდა მენშევიკური პარტიის ცეკას ამ მუშაობას, რადგან ის მასში ხედავდა საშუალებას საბჭოთა კავშირის სამხედრო და პოლიტიკური შესუსტებისათვის.

საბრალმდებლო სკამზე ზის მხოლოდ ერთი მენშევიკი, მაგრამ მე ვილაპარაკებ მთელს ქართულ მენშევიკურ პარტიის შესახებ, ვინაიდან მისი მოღვაწეობა წარმოადგენს პროცესის უმთავრეს საგანს.

საერთოდ ქართველ მენშევიკების ტაქტიკა და პოლიტიკა უნდა დაიყოს სამ პერიოდათ: პირველი პერიოდი—ოქტომბრის რევოლიუციიდან საქართველოს გასაბჭოებამდე. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ კავკასიის სამრეწველო ცენტრების პროლეტარიატი გაჰყვა ბოლშევიკებს. ქართველი გლეხობა ყველგან უჯანყდებოდა მემამულეებს, მენშევიკებმა კი, იმის მაგიერ, რომ გაჰყოლოდნენ მასებს, დაიწყეს ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ, რამაც მიიღო ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის სახე. უკრაინის ცენტრალურ რადას მსგავსად, ქართველი მენშევიკები გადაიქცნენ გერმანიისა და ოსმალეთის იმპერიალიზმის სათამაშოდ.

ანჯაფარიძემ განაცხადა, რომ თითქოს ქართველი მენშევიკები ბრძოლას ოსმალების წინააღმდეგ გერმანელების დახმარებით აწარმოებდნენ საქართველოს განთავისუფლებისათვის. ეს შუტაფორიაა, ასეთი ომი არ ყოფილა.

სასამართლოს გამოძიებით დამტკიცდა, რომ ქართველი მენშევიკები თავის გლეხობის წინააღმდეგ აწარმოებდნენ ომს. მენშევიკების ტაქტიკა იმავე პერიოდში ხასიათდება დენიკინის დახმარებით“.

შემდეგ პოპოვი გადადის მეორე პერიოდის განხილვაზე, პერიოდი—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან აგვისტოს აჯანყებამდე, და აღნიშნავს რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მიუხედავათ საქართველო—საბჭოთა ომის ყველა მონაწილეთა ამნისტიისა, მიუხედავათ კრებების ნებადართვისა, მენშევიკები მაინც არ შეეცადნენ საერთო ენის გამონახვას ბოლშევიკებთან. უნაყოფო ცდის შემდეგ—წაესისინებია საბჭოთა კავშირისათვის ოსმალები და ამ უკანასკნელთათვის გადაეცათ ბათომი,—ჟორდანიას მთავრობა გაიქცა საზღვარგარეთ და დატოვა დირექტივა—არ აღიარონ საბჭოთა ხელისუფლება და დაუცადონ საქართველოს „მთავრობის“ დაბრუნებას. ამავე დროს მემარცხენე სოციალ-ფედერალისტები თანამშრომლობენ საბჭოთა ხელისუფლებასთან, ხოლო მენშევიკები ჰკრავენ კავშირს ნაციონალ-დემოკრატებთან, მოლებთან, შეიხებთან, აზერბეიჯანის კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებთან და აწყობენ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ დროს პარიტეტული კომიტეტი პარიზში ჰკრებდა ცნობებს საქართველოს წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობის შესახებ.

— ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ სამხედრო ჯაშუშობისა და სამხედრო დაზვერვის საშუალებით ქართულ მენშევიკური პარტიისათვის იყო გაკვალული გზა,—ამბობს ამხ. პოპოვი.

შემდეგ ის ჩერდება აგვისტოს აჯანყებაზე:

„ანჯაფარიძე,—განაგრძობს პოპოვი,—სცდილობდა ორიგინალურად განემარტა აჯანყების დამარცხება. მან სთქვა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, იქ თითქმის აღარ დარჩენილა ქართველი მუშა. ამ უტიფარ, არასერიოზულ ცნობებს აბათილებს სტატისტიკა. აგვისტოს აჯანყების მასშტაბი უმნიშვნელო იყო. საქართველოს 19 მაზრიდან აჯანყება მხოლოდ ოთხ მაზრაში მოხდა. აჯანყება ახალსენაკში სულ ორ დღეს გაგრძელდა. პარიტეტული კომიტეტის დეკლარაციაში თვით კომიტეტის სულის ჩამდგმელებმა აღიარეს, რომ მასებმა არ დაუჭირეს მათ მხარი, და აი სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი აგვისტოს ავანტიურის ჩაშლისა“.

შემდეგ ამხ. პოპოვი შეეხო ქართველ მენშევიკების ტაქტიკას აჯანყების შემდეგ პერიოდში. „სასამართლოს გამოძიებაზე გამოქვეყნებული წერილები ჟორდანიასი, რამიშვილის და სხ.,—ამბობს ამხ. პოპოვი,—ეწინააღმდეგება მენშევიკების თითქოს მშვიდობიანობის მოყვარულ ტაქტიკის აჯანყების შემდეგ, რაშიც ანჯაფარიძე სცდილობდა ჩვენს დარწმუნებას. ქართველ მენშევიკების მოკავშირე იყო უკრაინის ეგრედწოდებული „სახალხო რესპუბლიკის მთავრობა“, რომელმაც მიჰყიდა უკრაინა გერმანელებს, ანტანტას და პოლონეთს. თვით რუსი მენშევიკებისთვისაც კი სათაკილო იყო ქართველ მენშევიკების კავშირი პოლონეთთან.

ქართველი მენშევიკების ახალი ტაქტიკა—აგებულია ომის იმედებზე. ამ ტაქტიკას იცავენ ისინი მთელი პერიოდის განმავლობაში აგვისტოს აჯანყების შემდეგ. ჟორდანია წინადადებას იძლევა, რომ აღებულ იქნას ხაზი „მოსკოვის დამარცხებაზე“. თუ ინგლისი ომს გამოუცხადებს საბჭოთა კავშირს, ამ შემთხვევაში პირველ ყოვლისა ის პოლონეთის ხელებით დაიწყებს ბრძოლას. ამიტომ ქართველმა მენშევიკებმა გეზი უნდა აიღონ ომზე“.

ჩერდება რა ანჯაფარიძის პიროვნებაზე, ამხ. პოპოვი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო ერთიანი ფრონტის შექმნის პროექტს ანჯაფარიძე ანხორციელებდა ავანტიურისტ კოლონაშვილის საშუალებით, რომლის მოღვაწეობაშიც ერთი მეორეშია გადახლართული სისხლის სამართლის და პოლიტიკური მომენტები.

„მე დარწმუნებული ვარ,—ამბობს პოპოვი,—რომ სახ. გაერთიანებულ პოლიტსამმართველოს ორგანოები შემდეგშიაც ძირშივე აღმოფხვრიან ქართველ მენშევიკების ცდას იარონ ანჯაფარიძის გზით. მათი მუშაობის, ისე როგორც პეტლიუროველების მუშაობის სოციალური საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი წარმოადგენენ იმპერიალიზმის საფარს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მოსამზადებლად. მენშევიკების ეს მუშაობა განსაკუთრებით საშიშია უკრაინის მშრომელებისთვის, ვინაიდან ომის შემთხვევაში, საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავების მომენტში პირველი იერიშის მიტანა უკრაინიდან დაიწყება. ქართველ მენშევიკების დანაშაულებრივი მუშაობა არ არის უბრალო თამაში —ეს არის ცეცხლთან თამაში, როდესაც სასწორზეა დადებული მილიონ მშრომელთა სიცოცხლე და კეთილდღეობა.

მე დარწმუნებული ვარ,—ათავებს თავის სიტყვას ამხ. პოპოვი,—რომ სასამართლო შეაფასებს ყველა ზემომოყვანილ მოსაზრებებს და ფაქტებს და გამოტანილი განაჩენი იქნება არა მარტო სოციალური დაცვის ზომა, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა მტრების მრისხანე გაფრთხილებაც“ (ადს).

პარტიული ცხოვრება

საჭიროა მჭიდრო კავშირი თემკომებთან

არა ერთხელ აღნიშნულა, რომ კავშირი სოფლის უჯრედებსა და სამაზრო ორგანიზაციებს შორის სუსტია. აქედან ცხადია, რომ ხელმძღვანელობაც ვერ იდგომება თავის სიმაღლეზე. ამის შედეგია სოფლის პარტორგანიზაციებში მუშაობის შესუსტება, პარტიის წევრების მიერ დისციპლინის დარღვევა, პარტიისა და კომკავშირის წევრებში რელიგიური გადახრა, ლოთობა და სხვა. სამაზრო კომიტეტი აგზავნის ინსტრუქციებს, ცირკულიარებს, დირექტივებს თემკომებსა და უჯრედებში, ადგილებზე კი ყველაფერს ამას ყუთში სდებენ და ინახავენ, როგორც ამას ადგილი ქონია შორაპნის მაზრაში. და განა მხოლოდ შორაპნის მაზრაში აქვს ამას ადგილი: ასეთი თემი და სოფლები სხვაგანაც მოიძებნება. პარტიის წევრებში და კომკავშირელებში პოლიტგანათლების მუშაობა სუსტად მიმდინარეობს, რის შედეგიც არის, როგორც ზევით აღვნიშნეთ სხვადასხვა მავნე გადახრები.

რაა საჭირო ამ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად? პირველად ყოვლისა მჭიდრო კავშირი უნდა დამყარდეს სოფლის უჯრედებსა და თემკომებსა და სამაზრო ორგანიზაციებს შორის. არ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ცირკულიარებით, უნდა ცოცხალი კავშირი გაიბას მათ შორის ინსტრუქტორების, სამაზრო კომიტეტის წევრების და სხვა მაზრის პასუხისმგებელ ამხანაგების საშუალებით. ეს კავშირი ყოველდღიური, სისტემატიური უნდა იყვეს; მას კამპანიის ხასიათი არ უნდა ექნეს.

როდესაც ასეთი ცოცხალი კავშირი იქნება უჯრედებსა და მაღლა მდგომ სამაზრო ორგანიზაციებს შორის, ადვილი გახდება სწორი ხელმძღვანელობაც. ეს გამოაცოცხლებს სოფლად პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობას, რაც ხელსშეუწყობს ნამდვილ ბოლშევიკურ დისციპლინის განმტკიცებას.

შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თვალყურის დევნებას იმისათვის, თუ როგორ ატარებენ სოფლის უჯრედები და თემკომები სხვადასხვა დირექტივებსა და დავალებებს; უნდა გასინჯულ იქნეს—გაატარა თუ არა სოფლის ორგანიზაციამ მაღლა მდგომ პარტორგანიზაციის დირექტივები, როგორ გაატარა, ან თუ არ გაუტარებია—რამ შეუშალა ხელი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს პარტმუშაობის გამოსაცოცხლებლად. დღეს ასე ხდება—გაუგზავნის მაზრა თემკომს, თუ სოფლის უჯრედს ცირკულიარს, და შემდეგ არავინ კითხულობს გატარდა, თუ არა ეს ცირკულიარი ცხოვრებაში. ამიტომ არის, რომ ხშირად ცირკულიარები და სხვა წერილობითი მითითებები მხოლოდ ქაღალდზე რჩება.

აუცილებელია მჭიდრო შეუწყვეტელი კავშირი სოფლის პარტორგანიზაციებთან, სწორი ხელმძღვანელობა მაზრის მხრით, და დავალებების შესრულების ხშირი გასინჯვა. ეს სამი უმთავრესი პირობა ხელს შეუწყობს სოფლის პარტორგანიზაციების გაჯანსაღებას და რიგ. წევრების ბოლშევიკურად აღზრდას.

ო.—ბე.

საგარეჯოს ორგანიზაციის საქმიანობა

საგარეჯოს თემკომი აერთიანებს ორ საწევრო და ერთ საკანდიდატო უჯრედებს. თემკომის წევრები სახელმძღვანელოთ მიმაგრებულნი არიან უჯრედებზე. უჯრედების სხდომები ტარდება სისტემატიურათ ორ კვირაში ერთხელ, უმეტესად იმართება ღია სხდომები, სადაც ღარიბებს და საშუალო გლეხობის საგრძნობი რიცხვი ესწრება. სხდომებზე ისმება ადგილობრივ ორგანიზაცია - დაწესებულებათა მოხსენებები და ისეთი საკითხები, რომლებიც უპარტიო მასისათვის საინტერესოა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკითხების გარჩევაში დამსწრები გლეხობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს.

ამ უკანასკნელ ხანში პრაქტიკაში დაშვებული იქნა მოზრდილ სოფლებში თემკომის ღია სხდომების ჩატარება. ასეთი ჩატარდა კიდეც სოფ. მანავში. ღია სხდომას უამრავი გლეხობა დაესწრო და ისე დაკმაყოფილდნენ მისით, რომ შემდეგშიც მოითხოვდნენ ასეთი სხდომების ჩატარებას. სხდომაზე სხვათა შორის იდგა გლეხკომის მოხსენება, რომლის გარშემო გამართულ კამაში დამსწრე გლეხობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო. გაირჩა აგრეთვე პარტიაში შემომსვლელთა ანკეტა-განცხადებები და მიღებული იქნა კანდიდატათ ოთხი ღარიბი გლეხი. საერთოდ თემკომი ჯანსაღ ხელმძღვანელობას უწევს თემაღმასკომებს, თემსაბჭოებს და ადგილობრივ დაწესებულება - ორგანიზაციებს, ისმენს თავის სხდომებზე მათ მოხსენებებს და აძლევს მთელ რიგ პრაქტიკულ წინადადებებს მომავალ მუშაობის გასაფართოებლად.

ქალთა შორის მუშაობასაც ნაწილობრივად გამოცოცხლება ემჩნევა, თუმცა ეს უკანასკნელნი ძლიერ ნაკლებათ არიან ჩაბმულნი როგორც პარტიის, ისე კომკავშირის რიგებში. ადგილებზე შინა-პარტიული მუშაობაც დამაკმაყოფილებელია. პოლიტ-განათლების დარგს, თემკომი სერიოზულ ყურადღებას აქცევს. მოჯამაგირეთა შორის მუშაობაშიაც მიუხედავათ ზაფხულის პერიოდისა მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული. მოჯამაგირეთა კომიტეტი სათანადო ყურადღებას აქცევს დაქირავებულთა შორის პირობების დაცვას. ღარიბების გლეხთა ჯგუფები დღემდის რიგიანათ არ არის ჩამოყალიბებული. მუშაობის ეს დარგი საერთოთ ჩვენი სოფლის ორგანიზაციების მიერ არ არის სათანადოთ შესწავლილი. თემკომმა მომავალში უნდა გადადგას შესაფერი ნაბიჯები.

კომკავშირის მუშაობა და მათზე ხელმძღვანელობის წარმოება პარტ-უჯრედების მიერ საგრძნობლათ მოისუსტებს. პარტიის წევრები ძნელათ ერკვევიან კომკავშირის მორიგ ამოცანებში, რაც შესამჩნევ დაღს ასვამს საერთო საქმიანობას. ასევე ითქმის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციაზე, რომელიც როგორც პარტიის, ისე კომკავშირის უჯრედების მიერ დღემდის უყურადღებოთ არის დატოვებული. დისციპლინა წარსულთან შედარებით დამაკმაყოფილებელია, მხოლოთ ნაწილობრივ ადგილი აქვს უპასუხისმგებლობას, დავალებათა შეუსრულებლობას და სხვა. აქ უნდა აღინიშნოს ერთი მტკივნეული საკითხი, რასაც თვით თმ. კომიტეტმაც უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება. ესაა: კომკავშირულ ძალების გამოუყენებლობა საერთო მუშაობაში. აქ საკმაოთ მოიპოვებიან საშუალო განათლებით აღჭურვილი კომკავშირელები, მათ წარსულ წელს ითხოვეს მასწავლებლობა და მიუხედავათ იმისა, რომ მათზე დაბალი ცენზით მასწავლებლობენ ზოგიერთები, მაინც მათ უარი განუცხადეს.

წელს ამას უნდა გაეწიოს ანგარიში და ეს კომკავშირელები წამოყენებული უნდა იქნენ მასწავლებლებათ.

თავდაცვა და პარტია

(წერილი სენაკის მაზრიდან)

თავდაცვის კვირეულის ჩატარებას პარტიულ კომიტეტმა სათანადო ხელმძღვანელობა და დახმარება აღმოუჩინა. პარტკომკავშირის ხაზით წინასწარ მისცა დირექტივები, როგორც ქალაქის ისე თემორგანიზაციებს, რათა აქტიური მონაწილეობა მიეღოთ და ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინათ „ავიაქიმის“ ადგილ. უჯრ. კვირეულის ნაყოფიერად ჩატარებაში.

როგორც ქალაქად, ისე თემებშიც პარტკომკავშირის და „ავიაქიმის“ უჯრედებში 10 ივლისამდე ჩატარებული იქნა წინასწარი მოხსენებები კვირეულის მნიშვნელობისა და ქვეყნის თავდაცვის საკითხებზე. ჩვენ საშუალება მოგვეცა ავიაქიმის უჯრ. მუშაობის შემოწმებისა, მათი ორგანიზაციულად ჩამოყალიბების, მუშაობის გამოცოცხლების და ახალი წევრების მიზიდვის.

13 ივლისს საზაფხულო კლუბში შესდგა პარტ-პროფესიონალურ და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების საერთო კრება ჯარის ნაწილებთან ერთად, სადაც მოსმენილ იქნა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის და ქვეყნის თავდაცვის საკითხებზე.

კვირეულის დასასრულს 17 ივლისს რაიონებსა და ცენტრ. თემებში, სადაც წინასწარ არ იყო ჩატარებული საზოგადო კრებები საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებთან დაკავშირებით, ჩატარებულ იქნა მასიური მიტინგი პარტიულ კომიტეტის წარმომადგენელთა დახმარებით.

ქ. ახალსენაკში კი 17 ივლისს გაიმართა მასიური მიტინგი.

მიტინგის შემდეგ გაიმართა ჯარის ნაწილების სამხედრო-შეიარაღებული გამოსვლები, რომლითაც ხალხი დიდათ დაინტერესდა.

მ. ბარამია.

პოლიტგანათლების მუშაობა მოისუსტებს

(ნოქალაქევი, სენაკის მაზრა)

ნოქალაქევის თემის ს. ბეთლემში 1921 წლიდან არსებობს კომუჯრედი. საერთოდ უჯრედის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. კომკავშირზე ხელმძღვანელობისათვის გამოყოფილია ერთი ამხანაგი. მხოლოდ უნდა აღინიშნოს ძალიან სისუსტე პოლიტგამანათლებელი მუშაობის დარგში. არც ერთი წევრი არ იწერს გაზეთებს. არც ინდივიდუალურად და არც კოლექტიურად, რაც მეტად სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ეს მარტო ს. ბეთლემის კომუჯრედს არ ახასიათებს; ეს ასეა თითქმის მთელ თემებში. ჩემი აზრით საჭიროა ამაზე სამაზრო კომიტეტის ყურადღება.

ან. ბეთლემელი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

წვიმები ხელს უშლიან ნათესების დამუშავებას

ოზურგეთი, 29 ივლისი. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში განუწყვეტლივ მოდიოდა წვიმა. შეუძლებელი გახდა სიმინდის ნათესების მავნე ბალახებისაგან გაწმენდა, რომელთა ზრდა დაღუპვას უქადის გვიან დათესილ სიმინდის ყანებს. ბაღის ხილეულობა განსაკუთრებით ატმეულობა, უმზეობის გამო დაუმწიფებელი რჩება. წვიმები აფუჭებენ აგრეთვე ვენახეულობას, რადგან აცილებენ გოგირდს. თუ წვიმები არ შეწყდა, მოსალოდნელია რომ ყურძენი არ დამწიფდეს (ადს).

საქონლის ჯიშის გაუმჯობესება

ოზურგეთი, 29 ივლისი. საკრედიტო ამხანაგობა შეუდგა საუკეთესო ჯიშის მეწველი საქონლის შესყიდვას ჩრდილოეთ კავკასიაში. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ამ მიზნისათვის გადასდო 3.000 მანეთი (ადს).

სიღნაღის საკრედიტო ამხანაგობის რწმუნებულთა ყრილობა

სიღნაღი, 29 ივლისი. დასრულდა სიღნაღის საკრედიტო ამხანაგობის რწმუნებულთა ყრილობა. სარევიზიო კომისიამ ჯამი გაუკეთა რა თავის მუშაობას, განაცხადა, რომ გამგეობამ დაარღვია საკრედიტო პოლიტიკა, რადგან კურსი აიღო სავაჭრო ოპერაციების გაღრმავებისაკენ და არა გლეხებისათვის კრედიტის მიცემისაკენ. გამგეობის წევრთა შორისაც არ იყო შეთანხმებული მუშაობა. ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ სარევიზიო კომისიის მითითებებს. ყრილობამ დაადგინა გამგეობის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად იცნოს (ადს).

ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ

ახალსენაკი, 29 ივლისი. პარტიის სამაზრო კომიტეტში შესდგა კომუნისტ-მეურნეთა თათბირი ბიუროკრატიზმთან საბრძოლველად. თათბირმა სავალდებულოდ სცნო პარტუჯრედების წინაშე, ხელმძღვანელების მიერ ანგარიშის ჩაბარების გაძლიერება და ადგილკომებთან მჭიდრო კავშირის დაჭერა. (ადს).

სამხრეთ-ოსეთი

გლეხთა ამხანაგობის საშუალებით

ცხინვალი, 29 ივლისი. სამხრეთ-ოსეთის სამეურნეო საბჭო. ხე-ტყის მასალებს დღემდე კერძო მოიჯარადრეების საშუალებით ამზადებდა. უკანასკნელ ხანებში დამზადების საქმე გლეხთა სამ ამხანაგობას მიანდვეს, რამაც დამზადების ღირებულება 30 პროცენტით შეამცირა. მოიჯარადრენი ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ, რათა დაშალონ გლეხთა ამხანაგობანი (ადს).

ჯებირები ლიახვზე

ცხინვალი, 29 ივლისი. აღდგენილია მდ. ლიახვისაგან წალეკილი ირაპინის არხის სათავეები. მდ. ლიახვზე სწარმოებს ჯებირების ასაგები მუშაობა (ადს).

არქეოლოგიური ექსპედიცია

ცხინვალი, 29 ივლისი. სამხრეთ ოსეთის მხარეთა შესწავლის საზოგადოება ედისის და ჩელიატის რაიონში სიძველეების აღმოსაჩენად გზავნის ექსპედიციას (ადს).

წერილები

აეროპლანი „კახეთის გლეხი“

(თელავი)

როგორც თელავში, ისე მაზრაში ჩატარდა თავდაცვის კვირეული. იმართებოდა კრებები, მიტინგები, მოხსენებები საერთაშორისო მდგომარეობაზე, თავდაცვის საჭიროებაზე, ავიაქიმზე და სხვა.

საგანგებოდ იწერებოდა კედლის გაზეთში შესაფერისი წერილები, მაგრამ კახეთი ამით არ დაკმაყოფილდა. მას არ უყვარს ცარიელი სიტყვა, არამედ უნდა სიტყვა საქმედ აქციოს. თელავის და მაზრის მუშა-მოსამსახურეებმა და გლეხებმა გადასწყვიტეს აეროპლანის აშენება, რომელსაც უკვე დაერქვა „კახეთის გლეხი“. საშუალება? იკითხავს მკითხველი. ეს საშუალება მალე იქნება შეკრებილი. თავდაცვის კვირიდან დაწყებული იკრიფება ეს საშუალებაც, თითქმის ორ დღეში ერთხელ კედლის გაზეთები ივსება გამოძახილებით, ისე შემოწირულება სხვა არის, მარტო ერთი ხეირნობიდან შემოვიდა ათასი მანეთი.

ახლო მომავალში ჩვენს ესკადრილიას მიემატება კიდევ ერთი აეროპლანი „კახეთის გლეხი“.

მინ.

მეაბრეშუმეობა კახეთში

ამ უკანასკნელ წლებში მეაბრეშუმეობა დიდ ყურადღებას იქცევს ჩვენში. მთავარი დაბრკოლება, რომელიც ამ დარგის განვითარებას ეღობებოდა იყო თუთის ხეების ნაკლებობა. შარშან და წელს ამ გარემოების გამოსწორებას შეუდგნენ, როგორც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ისე „აბრეშუმი“ და ადგილობრივი ხელისუფლება. მოაწყვეს ორი სანერგე ს. კურდღელაურში (თელავის მაზრა) და ლაგოდეხში (სიღნაღის მაზრა). წელს გაზაფხულზე საქართველოს აბრეშუმმა გამოგზავნა კახეთში დიდძალი თუთის ნერგები წლიური და ორწლიანი. მარტო თელავის მაზრას აქედან შეხვდა 3200 ცალი, რომელიც დაურიგდა გლეხებს. მომავალი წლისთვის ადგილობრივი ნერგით უზრუნველყოფილი იქნება მთელი მოსახლეობა და ამ გვარად თუთის ხეებზე კრიზისი დაძლეული იქნება.

მეორე დაბრკოლება გამოიხატება თვით მეაბრეშუმეთა უცოდინარობაში. ამ მხრივ დიდი მუშაობაა ჩატარებული მიწსახკომის და „აბრეშუმი“-ს ინსტრუქტორების მიერ, რომელნიც აწყობდნენ ლექცია-საუბრებს, საჩვენებელ გამოკვებებს ჭიებისა და სხვა.

ყოველ წელს მოსავლის რაოდენობა იზრდება, როგორც რაოდენობის ისე ღირსების მხრივაც. ასე მაგალითად: შარშან მთელს კახეთში დარიგებული იყო 5200 კოლოფი თესლი და შესყიდული მოსავალი 4285 ფუთი ნედლი პარკი. მიმდინარე წელს კი დარიგდა 3890 კოლოფი და 15 ივლისისათვის შემსყიდველ პუნქტებს უკვე ქონდათ შეძენილი 5034 ფუთი პარკი ე. ი. შარშანდელზე 749 ფუთით მეტი და კიდევ ოპერაცია დამთავრებული სრულიად არ არის.

კახეთში მშვენიერი პირობებია თესლის დამზადებისათვის. ქ. თელავში არსებობს ორი კერძო გრენიორთა ორგანიზაცია, რომელნიც აბრეშუმის თესლს ამზადებენ. წლიური მათი დამზადება დაახლოვებით 15—20 ც. კოლოფს უდრის.

[illegible] კაკელი.

წერილებიდან

— **წინ მივიწევთ** (მამათის თემი, ოზურგეთის მაზრა). ორი-სამი წლის წინ სოფლის გზები გააფუჭა ნიაღვარმა. გლეხობამ ეს გზები უკვე გააკეთა. დასრულდა 7 წლედის შენობის გაკეთებაც. კარგად მუშაობს კოოპერატივიც; ის იაფ ფასებში აწვდის გლეხებს მანუფაქტურას და სხვა საჭირო ნივთებს. მას აქვს განყოფილება ქვედა მამათში. განზრახულია შემოდგომიდან მეორე განყოფილების გახსნა სოფ. შათირში. არსებობს აგრეთვე სათემო სამკითხველო, რომელშიც სწარმოებს გაზეთის ხმა-მაღალი კითხვა. საფოსტო განყოფილებასაც დიდი სარგებლობა მოაქვს ხალხისთვის. მაგრამ არის კიდევ ცოტა ნაკლი: არ არის გახსნილი წერა-კითხვის სკოლა. საჭიროა კიდევ საექიმო პუნქტის გახსნა.

ზ. მე-ლი.

— **ქალთა არტელი სოფლად** (კარდანახი, სიღნაღის მაზრა). ჩვენი სოფლის დელეგატ-ქალებმა წელს გამოიჩინეს ძლიერი აქტივობა. ქალთა სადელეგატო ორგანიზაცია დაყოფილი იყო სამ არტელად, რომელთაც დაისახეს მიზნათ შეერთებული მუშაობით პარკის მოყვანა. ამ ცდამ კარგი შედეგი გამოიღო, სიღნაღის მაზრაში პირველობის სახელი მოიხვეჭეს.

საჭიროა ასეთი არტელები ყოველწლიურად დაარსდეს და მაში ჩაებას არადელეგატი ქალებიც.

ხაზვაშვილი.

— **უნდა გამოსწორდეს** (სოფ. კარდანახი, სიღნაღის მაზრა). სოფ. კარდანახს ჰყავს ფოსტალიონი, რომელიც კვირაში ორჯერ-სამჯერ დაიარება სადგურ წნორისწყლის ფოსტაში და იქიდან ეზიდება წერილებს და არიგებს სოფლად. ხშირი შემთხვევაა, როდესაც წერილებს ტოვებენ სადგურ კარდანახში და მატარებლით არ ჩააქვთ სადგურ წნორისწყლის ფოსტამდე. სად. კარდანახში წერილები ჰყრია კვირიდან-კვირამდე.

ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

გ. ხიმშიაშვილი.

სოფლის ქრონიკა

— **სკოლების შეკეთება.** მანგლისის რაიონში გლეხკომების ინიციატივით შეკეთებულია 4 სოფლის სკოლა.

— **წყალსადენის გაყვანა.** სოფ. წალკაში დამთავრდა წყალსადენის გაყვანა.

— **აგროპროპაგანდა.** აპრილის, მაისის და ივნისის განმავლობაში თელავის მაზრის 23 სოფელში წაკითხულია 38 ლექცია აგრონომიულ საკითხებზე.

— **ფილოქსერის გაჩენა.** თელავის მაზრის მევენახეობის ზოგიერთ რაიონებში თავი იჩინა ფილოქსერამ.

— **მინდვრის მავნებლები.** ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებში გაჩნდა მინდვრის თაგვი.

— **კონკურსები.** საქართველოს პროფსაბჭომ ცირკულიარული წერილი დაუგზავნა ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს მუშა-ახალგაზრდების საუკეთესო მწარმოებლებზე კონკურსების ჩატარების შესახებ ფაბრიკა - ქარხნებში საწარმოო თათბირების და კომისიების დახმარებით.

მუშათა ცხოვრება

მუშათა კონფერენციის ხმა

(ქ. სამტრედია)

15 ივლისს რკინის გზის მუშათა კლუბში შესდგა მუშა-მოსამსახურეების კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 200 დელეგატი.

დღის წესრიგში იდგა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, რომელიც წაიკითხა ამხ. ლ. ღოღობერიძემ. მან გააცნო კონფერენციას საბჭოთა რესპუბლიკების დამოკიდებულება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან და განსაკუთრებით ინგლისთან. კონფერენციაზე სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეებმაც, რის შემდეგაც გამოტანილი იქნა შემდეგი დადგენილება.

მოვისმინეთ, რა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე—სამტრედიის მუშათა კონფერენცია აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა მიმართულია მშვიდობიანობის დაცვისაკენ. კონფერენცია მოუწოდებს ყველა მშრომელთ კიდევ უფრო გაამაგრონ ყველა ქვეყნის პროლეტარების დაჩაგრული მუშების საერთაშორისო სოლიდარობა. კონფერენცია აღნიშნავს, რომ ყოველმხრივ განამტკიცებს წითელი არმიის ძლიერებას და გასცემს ღირსეულ პასუხს საგარეო და შინაურ მტრების ყოველგვარ თავხედობას.

დეე იცოდეს ყველამ, რომ ჩვენ ომი არ გვინდა. მაგრამ თუ ომი მოგვახვიეს, შესაფერ პასუხს გავცემთ.

გ—ბ.

ძორაჯესის ელსადგური

(მუშის შთაბეჭდილებიდან)

კიდევ ახალი მიღწევა სომხეთის მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის. 24 ივლისს კალაგერანის სადგურიდან დაახლოებით ხუთი ვერსის მოშორებით, თვალუწვდენელ მთებ შუა შეკრებილია 5 ათასზედ მეტი მშრომელი გლეხკაცობა, წითელის დროშებით.

კაცის თვალი პირველ შეხედვითვე იფიქრებს ხალხი დღეობათ მოსულაო. მართლაც დღეობას ზეიმობს ხალხი შრომის მოყვარე. ჰგერ აქა-იქ ზურნა უკრავს. ახალგაზრდობა სიხარულით თამაშობს. სუ, რა ამბავია ხალხში ჩოჩქოლი ჩავარდა ყველა ერთ მხარეს მიიწევს. მთავრობა, მთავრობა მოდის—გაისმა ხალხში ძახილი. გარდა ადგილობრივ მთავრობის იყვნენ მეზობელ სახელმწიფოს წარმომადგენლები.

საზეიმო კრებას ხსნის სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ამბარცუმიანი. ამხანაგი ეხება ახლად დაწყებულ დიდ საქმეს. გაისმის აფეთქების ხმები კლდეებს შორის.

შემდეგ სიტყვას ამბობს ამხ. მამია ორახელაშვილი, ის მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამიერ-კავკასიის მთავრობისა და მშრომელი ხალხის სახელით. მისი სიტყვები იწვევს დიდს და დაუსრულებელ ენტუზიაზმს. ამხანაგი მამია აძლევს შეფასებას ძორაჰესს გიდრო ელსადგურს სომხეთის ახალ მიღწევლობისათვის. კიდევ ხმები აფეთქების და მუსიკის. გამოდიან მისალმებებით სხვადასხვა რესპუბლიკებიდან.

მდინარე ძორაგი შურის თვალით იცქირება და წყევლა კრულვას უთვლის ადამიანის ხელს, რომელმაც ხელი მიჰყო ბუნებასთან ბრძოლას, თითქოს ემდურის ხმას არ იღებენ და მორჩილებიან ადამიანის ხელს, როგორ არღვევს მის ათ და ათას წლოვან კალთებს. აგერ მახლობლად ორი ძველი ისტორიული ციხის ნანგრევები, რომელნიც მოწმენი არიან მრავალ ჭირის.

აი აქ ჩვენ უნდა ავაგოთ ჰიდრო ელსადგური. ამას მოითხოვს მშრომელი ხალხი და მისი ნება. მთებიდან მდინარე თავდახრილი ემორჩილება და ეუბნება მუშას—„შენ ძლიერი ხარ, გამარჯვებაც შენ გეკუთვნის“.

აგერ კიდევ ახალი წყება ორატორებისა ვანო სტურუა, საქართველოს მშრომელი ხალხის სახელით, ესალმება სომხეთის მშრომელთ და ამბობს:

„შენ მარტო არ ხარ, შენთან არის საქართველოს, აზერბეიჯანის მშრომელი ერი, რომ გაგიმრთელოს ვერაგ დაშნაკების მოყენებული ჭრილობა“.

საღამოს ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც ამხანაგ ამბარცუმიანმა საზეიმო კრება დახურულად გამოაცხადა. ხალხი მიეშურება გააცილოს ძვირფასი სტუმრები. აგერ აქა-იქ ჩარდახიან ურმების ქვეშ სუფრაა გაშლილი.

აგერ ავტომობილებიც დაიძრა სადგურისაკენ. ხალხი სტუმრებს აცილებს ურას ძახილით. გაუმარჯოს ძორჰესს.

აზრუმელაშვილი ლევან.

შტატი უნდა გადისინჯოს

საწყობები №№ 1, 2, 5 და 6 მთავარ სახელოსნოებიდან გადადიან სამასალო განყოფილების განკარგულებაში. მთავარი სახელოსნოების გამგებლობაში რჩებიან მხოლოდ გადამცემი ხასიათის საწყობები. და ასეთები კი არის სულ სამი და კიდევ საწყობი ყაზანცევის მოწყობილებისა, რომელშიც—ინახება უმნიშვნელო რაოდენობა მასალისა.

საწყობთა გამგის და მისი თანაშემწის თანამდებობათა გარდა, გადასინჯული უნდა იქნეს აგრეთვე შტატი მიმღებლებისაც, რომლებთა რიცხვი 6 კაცამდი ავიდა.

ამ სამუშაოს შესრულება შეუძლია გადამცემი საწყობის მეკუჭნავეს იმავე მუშების საშუალებით, რადგან ყოველ ცეხს ყავს თავისი დამწუნებელი კომისია. მაშასადამე მიმღებლების ნახევარი მაინც შეიძლება დაუბრუნოთ დაზგებს, საიდანაც ისინი არიან მოხსნილნი: იქ ისინი უფრო მეტ სარგებლობას მოიტანებენ, ვიდრე საწყობებში

რაც შეეხება სპეც-ტანსაცმელების ანგარიშის წარმობას ამას თავისუფლად მოუვლის მთავარი სახელოსნოს სამასალო განყოფილების ერთი მოანგარიშეთაგანი, რადგან სპეც-ტანსაცმლების მოთხოვნილებათა გამოწერა ხდება თვით საამქროების მიერ.

საწყობების გადაცემა სამასალო განყოფილებისადმი წარმოებს 21 მაისიდან. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და არა ცოტა ფული დახარჯულა ამ არა საჭირო შტატის შესანახად.

ახალი.

მ. გ. ინსპექცია მუშებთან

21 ივლისს ხაშურის მუშათა კლუბში შესდგა რკინის გზის ყველა ადგილკომების, საწარმოო კომისიების და ძირითად [illegible] გაერთიანებული კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა მუშა-გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი ამხ. ავაქიანი. მომხსენებელი შეეხო მომჭირნეობის რეჟიმის ჩატარებას, საწარმოო კომისიების და თათბირების მნიშვნელობას. დასასრულ ამხ. ავაქიანმა დამსწრე მუშებს მოუწოდა უშუალო მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში საწარმოო კომისია-თათბირებში აქტიური მუშაობით. მოხსენებას დიდი ინტერესით შეხვდნენ მუშები. სასურველია, რომ მ. გ. ინსპექციამ მუშებს უფრო ხშირ-ხშირად გაუკეთოს ასეთი მოხსენებები.

მ-.

მ. ც. კლუბის გამგის გადაყვანის გამო

ვინც კი იცნობს თბილისის მუშათა ცენტრალურ კლუბს, ყველამ იცის თუ, რა ერთგული მშრომელი მუშაკებიცა ჰყავს მას: შევეხოთ კლუბის გამგეს, რადგან მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ისაა კლუბის ავ-კარგის გამზიარებელი და წინამძღოლი ყოველგვარ საქმიანობაში. ვინ არ იცნობდა ამ კლუბის გამგეს ამხ. ი. ელიაშვილს; ვინ არ იცოდა მისი ენერგიული, დაუღალავი შრომა მუშების კულტურულ დაწინაურებისათვის.

ამხ. ელიაშვილი, ორი წლის განმავლობაში განუწყვეტელ, ერთგულ მუშაობას აწარმოებდა.

ამხ. ელიაშვილმა—კი ისეთი პატივისცემა დაიმსახურა ხსენებულ კლუბის წევრებში და მუშა-მოსამსახურეებში, რომ დიდათ შეწუხდნენ მისი ამ კლუბიდან გადაყვანით ავტო კლუბში გამგის თანამდებობაზე.

სამწუხაროა ამ ამხანაგის გადაყვანა.

ვუსურვებთ ენერგიულ მუშაობას ამხ. ელიაშვილს ავტო კლუბში და ისეთი პატივისცემის დამსახურებას, როგორც მ. ც. კლუბში.

მუშკორი ლადო.

საყურადღებო წვრილმანი

— ალაგმეთ მიკიტნები. (მილიციის საყურადღებოდ). პესკაზე, 19 თებერვლის ქუჩის მე-71 და 73 ნომერში არის სამიკიტნოები, სადაც ნაშუაღამევის პირველ ორ საათამდე არის არღნის და გარმონის ტრიალი: თუ სადმე ახლო ადგილებში ლოთი და თავზედ ხელაღებულია ყველას ამ სამიკიტნოში ნახავთ. ქალს ვერ გაუვლია ამ სამიკიტნოებთან, შეურაცყოფას აყენებენ.

3 ივლისს საღამოს ორი კაცი გალახეს. ამ სამიკიტნოებთან. ეს ხშირი მოვლენაა. ამ უბანში მილიციამ ამ სამიკიტნოებს ყურადღება უნდა მიაქციოს.

ყორანა.

ოთხშაბათს, 3 აგვისტოს საღამოს სრულ 6 საათზე
დანიშნულია
თბილისის საბჭოს
არსენალის რაიონის ყველა წევრების თათბირი
ჩოდრიშვილის და კეცხოველის სახელობის ტრამვაის
კლუბში
დღის წესრიგშია: ამხ. ასრიევის საინსტრუქტორო მოხსენება თბილისის საბჭოს მორიგი საანგარიშო კამპანიის გატარების შესახებ.
1—1 ნ. 1517.

იქნა რამდენიმე შეცდომა. ან შეცდომებით სარგებლობას შეეცადნენ ოპოზიციის „მემარცხენე“ მოწინააღმდეგენი. ამავე დროს იძლეოდნენ რჩევას რომ „მემარცხენე“ მოკავშირეებთან ბრძოლას მიმატებოდა მარჯვენით შეტევა, ე. ი. ბლოკის რიგებში გაჩაღებიათ გადამჭრელი ბრძოლა „ლიკვიდატორულ“ ტენდენციებთან (ზალუცკი, ნიკოლაევა და სხ.). ამრიგად ცეკას თებერვლის პლენუმზე ფასების დაკლების სასარგებლოთ ხმის მიცემა იყო ოპოზიციის მანევრი იმ მიზნით, რომ არ ჩამოცილებოდა მასები და ამასთანავე გამიჯნულიყო მემარცხენე მოკავშირეებისაგან.

ამავე დროს ჩვენ ვამჩნევთ, რომ ოპოზიციას სცილდება მთელი რიგი გამოჩენილი ამხანაგები, რომლებიც პატივისცემით სარგებლობენ პარტიაში და რომლებიც აშკარად უჭერდნენ მხარს ოპოზიციას; ესენი არიან: ამხ. კრუპსკაია, კლავდია ნიკოლაევა, შელავინი, ზალუცკი, ბადაევი და სხ., რომლებიც სტოვებენ ოპოზიციონერთა რიგებს, გამოდიან პრესაში და კრებებზე განცხადებით ამის შესახებ, მკაცრად აკრიტიკებენ თავის წარსულ შეცდომებს და მით ხელს უწყობენ მერყევ ამხანაგებს (რომლებსაც ოპოზიციასთან ხშირად აკავშირებთ არა იმდენად იდეური თანხმობა, რამდენადაც პირადული კავშირი, ხანდახან კი ოჯახურიც), რომ ისინი ჩამოშორდნენ ფრაქციულობას.

3. „უკიდურეს მემარცხენეთა“ პლატფორმის პროექტი

„მემარცხენე“ მოკავშირეებმა (ე. ი. საპრონოვის და ვ. მ. სმირნოვის ჯგუფმა) ყველაფერ ამას პასუხი გასცეს თავისი პლატფორმის ზემოხსენებული პროექტით, რომელშიაც განსაკუთრებით მწვავე ფორმით იყო გამოხატული „მემარცხენე“ ოპოზიციის შეხედულებები.

პლატფორმის ამ პროექტში ლაპარაკი იყო იმაზე, თითქოს ოპოზიცია მიტომ დამარცხდა, რომ „პარტიის საშუალო წევრებმა ვერ შესძლეს სათანადო პასუხი გაეცათ ცეკას და მთელი აპარატის მხრივ პარტიის გაუგონარ აბუჩად აგდებაზე, რომ თითქოს ისინი მეტისმეტად პასიური აღმოჩნდნენ და რომ ეს პასიურობა შექმნილია იმ რეჟიმით, რომელსაც უკანასკნელ ხანებში ატარებდა ცეკა, გაუგონარ ტერორის რეჟიმით ყველა იმათ მიმართ, ვინც გაბედულად გამოსთქვამდა თავის აზრებს“. „მემარცხენენი“ თავს ესხმიან თავის „მემარჯვენე“ მოკავშირეთ (ტროცკისა და ზინოვიევის მომხრეებს) უკანასკნელთა თეორიის გამო, თითქოს ოპოზიცია 1926 წელში იმიტომ დამარცხდა, რომ მას ვერაფერი გაუგეს პარტიის საშუალო წევრებმა“, „მემარცხენეთ“ მიაჩნდათ, რომ ამით ოპოზიცია ხელს უწყობს „ცეკას ხელმძღვანელთა ცრუ და თვალთმაქცურ მტკიცებას, თითქოს ოპოზიცია მოიგერიეს „ავიოპრიბორის“ და პუტილოვის ქარხნის მუშებმა და სხვ.“. „მემარცხენეთა“ აზრით „ამ პასივობაში (პარტიულ მასების პასივობაში) მცირე როლი არ ითამაშა იმ სიჩუმის პოლიტიკამაც, რომელსაც ადგა ოპოზიცია იმ მომენტებში, როდესაც ცეკა მის წინააღმდეგ განსაკუთრებული სიმწვავით ილაშქრებდა. ასე იყო მაგალითად ცნობილ ლიტერატურულ დისკუსიის დროს ტროცკის „ოქტომბრის გაკვეთილების გამო“.

უკანასკნელი მტკიცება „მემარცხენეებს“ მთლიანად ამოღებული აქვთ იმ წერილიდან, რომლითაც ბ. ფილიპენკომ მიმართა დრობნისს 1924 წელში. ამ წერილში ფილიპენკო სწერდა, რომ „ოქტომბრის გაკვეთილების“ გამოქვეყნებით ამხ. ტროცკიმ ჩაიდინა სისულელე, მაგრამ რაკი ეს სისულელე ჩადენილია, საჭიროა მისი მიყვანა ბოლომდე, ვინაიდან, ამხ. ბ. ფილიპენკოს აზრით, ოპოზიციისათვის „სიჩუმე ამხ. ტროცკის შესახებ პირდაპირ სიკვდილს უდრის*) ამ შესანიშნავ დოკუმენტში—„უკიდურეს მემარცხენეთა“ პლატფორმის პროექტში ჩვენ ვკითხულობთ, რომ „პარტიაში იდგმება პირველი, მაგრამ საკმაოდ გადამწყვეტი ნაბიჯები **პარტიის სალიკვიდაციოდ**“. „ცეკა აღარ წარმოადგენს პარტიის ორგანოს, პირიქით ის სცდილობს პარტია გარდაქმნას თავის პოლიტიკის გამტარებელ იარაღად. ამ პოლიტიკას კი განსაზღვრავს თითონ, პარტიისგან დამოუკიდებლად“. (ეს არის „დემოკრატიულ ოპოზიციის“ ძველი ჰანგები იმის შესახებ, რომ ცეკა უნდა მართავდეს და კი არ ხელმძღვანელობდეს; თავის დროზე ზოგიერთი ეს ამხანაგები იმასაც კი ამბობდნენ, რომ პოლიტიკური საკითხები, საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები უნდა სწყდებოდეს არა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, არამედ სახალხო კომისართა საბჭოში).

ეს დოკუმენტი, ისე როგორც ტროცკისტები, პარტიას უწოდებდა სტალინის ფრაქციას და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პარტიის ცეკა „სწყვეტს თავის ორგანიზაციულ კავშირს“ მუშათა კლასთან“ და პარტიის ორგანოებთან, რომლებიც მის ნებას ასრულებენ, და იქცევა სახელმწიფოებრივ ბიუროკრატიულ აპარატათ. დოკუმენტი წინასწარმეტყველებს, რომ „თუ მარჯვედ დაწყებული ლიკვიდაცია პარტიისა ბოლომდე იქნა მიყვანილი, ეხლანდელი ცეკა.... გადაიქცევა ბონაპარტისტულ მთავრობის თავისებურ ტიპად“.

შეიძლება მკითხველი ფიქრობს, რომ ამას სწერს მენშევიკების „სოციალისტიჩესკი ვესტნიკი“, რომ ამას სწერს დანი, ან ნოე ჟორდანია, ოტტო ბაუერი, ან კარლ კაუტსკი? არა, ეს არის დოკუმენტი, რომლის „დამუშავება“ სწარმოებს კონსპირატიულ კრებებზე დოკუმენტი რომელიც მიეცა ტავკიჩს, მიაკინის და ზამოსკვორეჩის სხვა მუშებს „წინასწარ დასამუშავებლად“, დოკუმენტი, რომელიც მიიღო ამხ. მარტინოვმა ლუგანსკის ორგანიზაციაში წინასწარ დასამუშავებლად, ეს არის დოკუმენტი, რომელიც ვრცელდებოდა როგორც საპრონოვ-სმირნოვის პლატფორმის წინასწარი პროექტი და რომელიც შემდეგში უფრო დეტალურად იქნა დამუშავებული.

პროექტი ამბობდა, რომ პარტია ჯერ კიდევ დაკავშირებულია ისტორიულ ტრადიციებით მუშათა კლასთან (მხოლოდ ისტორიულ ტრადიციებით), რომ ის დათმობანი, რომელთაც პარტია აძლევს წვრილ ბურჟუაზიას (ე. ი. გლეხობას) მას უხდება გაატაროს სულ უფრო და უფრო მუშების სურვილის წინააღმდეგ: ასე რომ ეს ისტორიული კავშირიც სწყდება. და შემდეგ კი დოკუმენტში დახატულია ჩვენი შინაგანი მეურნეობის მდგომარეობის ისეთი შავ-ბნელი სურათი, რომ მას ასე ვერ დახატავდა საბჭოთა სახელმწიფოს უუბოროტესი მტერიც კი.

ყველაფერი ეს შეხანხლულია იმავე პრინციპის მიხედვით, როგორაც იძლევიან ინფორმაციას მენშევიკური და თეთრგვარდიელთა ორგანოები საბჭოთა სახელმწიფოს შესახებ: საბჭოთა გაზეთებიდან—„პრავდ“-იდან, „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“-იდან და „ტრუდ“-იდან ამოღებულია ნამდვილად მოყვანილი ფაქტები და ციფრები, ზოგჯერ მთელი წერილებიც უცვლელად, რომლებიც ხატავენ ჩვენი ცხოვრების **მხოლოდ უარყოფით**, მხოლოდ მტკივან მხარეებს, ჩვენს ნაკლს და **გვერდს უხვევენ ყველაფერს დადებითს**, ყველა სოციალისტურ მიღწევებს, ყველა ფაქტებს, რომლებიც ადასტურებენ პროლეტარულ დიქტატურის, სოციალისტურ მეურნეობის და პარტიის განმტკიცებას და ასე დამახინჯებულად, ცალმხრივად და არაკეთილსინდისიერად შერჩეულ ფაქტებს ასაღებენ, როგორც რეალურ სინამდვილის სურათს. **ასე იქცევა მტერი**, და ასევე და ამავე მეთოდებით სარგებლობენ ჩვენი ნაკლით და დაბრკოლებებით ოპოზიციის ფრაქციონულ პლატფორმების ავტორებიც.

რას გვეუბნება ეს პროექტი? ჯერ ერთი, რომ პროექტი ითვალისწინებს **პროლეტარულ დიქტატურის დაცემას**, „აშკარა, საბოლოო განხეთქილებას სახელმწიფოსა და მუშათა კლასს შორის“. ასეთ მდგომარეობაში საპრონოვ-სმირნოვის პროექტს მიაჩნია, რომ „ამოცანები პარტიის პროლეტარულ ნაწილისა, რომელიც დარჩა ბოლშევიზმის ერთგული, სრულებითაც არ განისაზღვრება იმით, რომ პარტიამ აწარმოოს თავის იდეების პროპაგანდა. საკითხის ამგვარად დასმა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ პარტია სცხოვრობდეს ნორმალურ პირობებში“... ახლა კი? პლათფორმის პროექტი მოგვიწოდებს მთელი ძალღონე მოვანდომოთ „კადრის შექმნას ამ ბრძოლისათვის და პარტის მთელი პროლეტარული ნაწილის ოპოზიციის მხარეზე გადასაყვანად“... მაგრამ მარტო პარტიის პროლეტარულ ნაწილის? რას უპირობთ უპარტიოებს? ამაზედაც პროექტი იძლევა სავსებით გარკვეულ პასუხს: „უნდა ნათლად გავიგოთ, რომ სტალინის ფრაქციის დამარცხება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიცია თავისი გარკვეული კლასიური ხაზით უზრუნველყოფს თავისთვის მუშათა კლასის აქტიურ თანაგრძნობას და აქტიურ დახმარებას“. „მტკიცედ უნდა შევიგნოთ, რომ მომავალ ბრძოლაში ეს დაბრკოლებები იქნება არა ნაკლები, არამედ ბევრად მეტი; და **თუ ოპოზიციამ არასაკმაო ორგანიზაციულობის და არასაკმაო გადაჭრილ მოქმედების გამო უკან დაიხია ამ დაბრკოლებათა წინაშე, ეს იქნება პროლეტარულ დიქტატურის ლიკვიდაციის მომასწავებელი**“ (ხაზი ჩვენია. ე. ი.).

პირდაპირ ასე სწერია. ამ ხალხს არ შეუძლია სხვანაირად განიხილოს თავის საკუთარ პატარა ჯგუფის ლიკვიდაცია, თავისი საკუთარი დამარცხება, თუ არა როგორც პროლეტარულ დიქტატურის ლიკვიდაცია. თურმე ნუ იტყვით, პროლეტარული დიქტატურა განხორციელებულა საპრონოვის, ვ. სმირნოვის, მ. მინკოვის, ტ. ხარჩენკოს, ზავარიანის, შრეიბერის, ფილიპენკოს, დუნეს, სლიდოვკერის, ტიხონოვის, ემელიანოვის, მინოს, აბორინის, დაშკოვსკის და მ. სმირნოვის სახით! თურმე ნუ იტყვით, სწორედ ეს 15 კაცი გამოხატავს ნამდვილ პროლეტარულ დიქტატურას!! ვინ დაიჯერებს ამას? ნუთუ შეიძლება გამოინახოს ისეთი სულელი არა თუ ჩვენს პარტიაში, არამედ ჩვენი პარტიის გარეშეც, რომელიც სერიოზულად დაიჯერებს ამ სისულელეს?!

იგივე „პროექტი“ ბრალსა სდებს პარტიის ცეკას იმაში, რომ ცეკა „სტოვებს პროლეტარულ პოზიციებს და სულ უფრო და უფრო ხდება დასავლეთის კომუნისტურ მოძრაობის შემკავებელ მუხრუჭად“. „მემარცხენენი“ ილაშქრებენ ახალ ოპოზიციის ბელადების წინააღმდეგ, „ექსის“ წინააღმდეგ, მათი 16 ოქტომბრის განცხადების გამო. მათ მიაჩნიათ, რომ „სრულებით დაუშვებელია... მხარის დაჭერა, რა ფორმებშიაც არ უნდა იყოს ეს, კომინტერნის პროლეტარულ ელემენტების ბრალდებისათვის ფრაქციულობაში, როგორც ეს ჩაიდინა „ექსმა“ თავის განცხადებით; ამ განცხადებამ ხელი შეუწყო სტალინის ფრაქციას მოეხდინა გავლენა კომინტერნზე ოპორტუნიზმის ხაზით“. შემდეგში ჩვენ დავინახავთ, რომ ოპოზიციის ბელადები („ექსი“) **„მემარცხენეთა“ ზეგავლენით** ასწორებენ თავის შეცდომებს, არღვევენ თავის 1926 წ. 16 ოქტომბრის დაპირებას, რომ მხარს არ დაუჭერდნენ ურბანს-მასლოვ-რუტ ფიშერის ჯგუფს, გამოდიან მემარცხენე კომუნისტურ ჯგუფების დასაცავად, მოითხოვენ მათ დაბრუნებას პარტიაში და კომინტერნში და იცავენ მათ **პარტიისა და კომინტერნის წინააღმდეგ** მიმართულ სიტყვებში და წერილებში.

4. რა ზიანი მოაქვს ან რა სარგებლობა დისკუსიას?

თებერვლის პლენუმზე თითქოს მოხდა უთანხმოებათა მნიშვნელოვანი ლიკვიდაცია. ასე ეგონა ძალიან ბევრ ამხანაგებს, ჩვენ უფლება გვქონდა ასე გვეფიქრა მას შემდეგ, როდესაც ოპოზიციას არ აღმოაჩნდა არავითარი თავისი წინადადება უმთავრეს სამეურნეო საკითხების შესახებ, რომლებიც ამ პლენუმზე ირჩეოდა. მოხდა თუ არა ნამდვილად უთანხმოებათა ლიკვიდაცია? რა თქმა უნდა, არა. უთანხმოებათა ლიკვიდაცია მოხდებოდა მაშინ, რომ ოპოზიციის ბელადებს ჰყოფნოდა გამბედაობა აშკარად ეცნოთ, რომ ისინი სცდებიან. ამ ხანაში მოწვეულ იქნა კომინტერნის აღმასკომის მე-8 პლენუმი, რომელსაც უნდა გადაეჭრა საერთაშორისო რევოლიუციის უმნიშვნელოვანესი საკითხები. კომინტერნის აღმასკომის მე-8 პლენუმის წინ მოწვეულ იქნა ცეკას აპრილის პლენუმი. ცეკას აპრილის პლენუმზე, რომელზედაც მოსმენილ იქნა საბჭოთა კავშირის და რ. ს. ფ. ს. რ-ის საბჭოთა ყრილობების საკითხები, პირველად დაისვა საკითხი პარტიის მე-15 ყრილობის შესახებ და მოსმენილ იქნა ამხ. ტომსკის განცხადება ინგლის-რუსეთის კონფერენციის შესახებ და ამხ. რიკოვის — ჩინეთის რევოლიუციის შესახებ.

ოპოზიცია ამ პლენუმზე გამოვიდა ამხ. კალინინის და კუიბიშევის იმ თეზისების ძლიერ მსუბუქ კრიტიკით, რომლებიც წარედგინა საბჭოთა ყრილობას. ცეკას წევრებმა — ოპოზიციონერებმა თავი შეიკავეს ამ თეზისების კენჭის ყრის დროს, მაგრამ წინააღმდეგ არ მიუციათ ხმა.

უკვე მაშინ ინგლის-რუსეთის კომიტეტისა და ჩინეთის საკითხების შესახებ ჩვენ მივიღეთ ამხ. ზინოვიევის თეზისები ჩინეთის რევოლიუციის შესახებ და მოვისმინეთ პარტიის ხაზის სასტიკი კრიტიკა როგორც ამ საკითხში, ისე საკითხში ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ. არსებითად **არაფერი ახალი** ამ კრიტიკაში ჩვენ არ გაგვიგონია ძველთან შედარებით გარდა მთელ რიგ წინააღმდეგობათა საკითხში ჩინეთის რევოლიუციის შესახებ; ეს წინააღმდეგობანი უკვე აღინიშნა ჩვენი პრესის მიერ. გარდა ამისა, ჩვენ გავხდით იმის მოწმე, რომ ამხ. ტროცკის შემცდარი შეხედულებანი ინგლის-რუსეთის კომიტეტის საკითხში კიდევ უფრო იქნა განვითარებული.

პარტიის ყრილობის შესახებ ოპოზიციამ შემოიტანა რამოდენიმე წინადადება, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ ჩვენ **სამი თვით მაინც ადრე ყრილობის წინ** უნდა გავმართოთ დისკუსია საერთაშორისო და შინაგანი ცხოვრების ყველა საკითხების შესახებ, ფაქტიურად ზოგიერთი საკითხები უკვე დასმულია, როგორც **საპროგრამო საკითხები**; სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, წინადადებას გვაძლევდნენ დაგვეკარგა, სულ მცირე, **მეოთხედი წელი ყრილობამდე** (და, **შესაძლებელია, მეოთხედი წელი ყრილობის შემდეგ) ოპოზიციასთან დისკუსიაში.** თითქოს დისკუსია იყოს საუკეთესო საშუალება ჩვენი საერთაშორისო და შინაგანი მდგომარეობის განსამტკიცებლად!

საკითხში დისკუსიის საჭიროების შესახებ ჩვეულებრივად იმოწმებენ ლენინს. როდესაც პარტიის წინაშე წამოიჭრება რაიმე სერიოზული დაბრკოლებები, აუცილებლად საჭიროა სრულიად საკავშირო დისკუსიის გამართვა;— ოპოზიცია იმის წინადადებასაც კი იძლევა, რომ დისკუსია გაიმართოს „მსოფლიო მასშტაბით“.

მართალია თუ არა, თითქოს ლენინს საუკეთესო გზად საკითხების გადასაჭრელად ყოველთვის მიაჩნდა დისკუსია? აი, პარტიის მე-7 ყრილობა, როდესაც ჩვენ განვიცდიდით არაჩვეულებრივ საძნელო მდგომარეობას ბრესტის საკითხთან დაკავშირებით და როდესაც „მემარცხენე კომუნისტები“*) ტროცკისტებთან ერთად სჯიჯგნიდენ პარტიას. მაშინ ლენინი მე-7 ყრილობაზე დარწმუნებული ლაპარაკობდა იმ კრიზისის შესახებ, რომელსაც ჩვენ განვიცდიდით.

კრიზისი მძიმე იყო. განხეთქილება ბევრს აუცილებლად ეჩვენებოდა. მოსკოვის საოლქო ორგანიზაციამ მიიღო დადგენილება, რომ განხეთქილება მას მიაჩნია სავსებით აუცილებლად. ცალკე პარტიული ორგანიზაციები აღარ ემორჩილებოდნენ ცენტრალურ კომიტეტს. „მემარცხენე კომუნისტები“ მეთაურობდნენ მთელ კომიტეტებს და მთელ ოლქებს. ლენინი კი ამბობდა:

„ამ კრიზისს ჩვენ დავძლევთ: არც ჩვენი პარტია და არც ჩვენი რევოლიუცია არავითარ შემთხვევაში არ მოიტეხენ ამაზე კისერს, თუმცა ამ მომენტში ეს იყო განსაკუთრებით ახლო და განსაკუთრებით შესაძლებელი.

იმის გარანტიას, რომ ჩვენ ამ საკითხზე კისერს არ მოვიტეხთ, წარმოადგენს **ის გარემოება**, რომ ფრაქციონულ უთანხმოებათა გაწყვეტის ძველი **საშუალების მაგიერ, ძველი საშუალების, რომელიც მდგომარეობდა ლიტერატურის და დისკუსიების არაჩვეულებრივ რაოდენობაში და განხეთქილებათა საკმაო რიცხვში, ამ ძველ საშუალებათა მაგიერ მოვლენებმა მოუტანეს ხალხს სწავლის ახალი საშუალება.** ეს საშუალებაა — ყველაფერის შემოწმება მსოფლიო ისტორიის ფაქტებით, მოვლენებით და გაკვეთილებით“.

რასაკვირველია, შეიძლება დავა იმის შესახებ, თუ რას ამბობენ მსოფლიო ისტორიის ფაქტები, მოვლენები და გაკვეთილები. ჩვენ მთელ პარტიასთან ერთად ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ოპოზიციის ყველა წინასწარმეტყველებანი „დაღუპვის“ შესახებ დიდი ხანია უარყოფილია „მსოფლიო ისტორიის ფაქტებით, მოვლენებით და გაკვეთილებით“. ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ კითხვაზე, და ვიმსჯელებთ კიდეც ჩვენს ყრილობებზე, კონფერენციებზე, ცენტრალურ კომიტეტის პლენუმებზე, სპეციალურად ამისთვის შექმნილ პრესაში, დასასრულ დისკუსიის **დროს ყრილობის წინ, თუ კი** პარტია **მიზანშეწონილად** სთვლის ასეთ დისკუსიას; მაგრამ ამისთვის არ არის აუცილებლად საჭირო, როგორც ლენინი ამბობდა „ლიტერატურის და დისკუსიების არაჩვეულებრივი რაოდენობა და განხეთქილებათა საკმაო რიცხვი“, რასაც სინამდვილეში პრაქტიკულად და ფაქტიურად აწარმოებს ოპოზიცია.

პარტიის მე-10 ყრილობაზე კი ლენინმა გარკვევით გაუსვა ხაზი დისკუსიების **მავნებლობას:**

„მე დღეს — ამბობდა ლენინი— უკვე დამჭირდა ამაზე ლაპარაკი და, რა თქმა უნდა, მე შემეძლო მხოლოდ ფრთხილად მეთქვა, რომ ბევრი თქვენთაგანი უსათუოდ შეაფასებს ამ დისკუსიას, როგორც **მეტისმეტ ფუფუნებას.** პირადად ჩემის მხრივ არ შემიძლია არ დავუმატო, რომ **ეს ფუფუნება იყო მართლაც სრულიად დაუშვებელი და ჩვენ უთუოდ შეცდომა ჩავიდინეთ, რომ დაუშვით ასეთი დისკუსია**“.

„რამოდენიმე თვის განმავლობაში ჩვენ იმდენი ფუფუნების ნება მივეცით თავს, რომ გაგვიტაცა სხვადასხვა აზრების ელფერის შესწავლამ. ამავე დროს არმიის დემობილიზაცია ამწვავებდა ეკონომიურ კრიზისს“.

„**კამათის პირობები ხდება უაღრესად სახიფათო.** ზოგიერთი ამხანაგები, რომლებთანაც მე მიხდებოდა შეხვედრა და კამათი დისკუსიის შესახებ, როდესაც მე რამოდენიმე თვის წინ ვამბობდი: „**იცოდეთ აქ არის საფრთხე მუშათა კლასისათვის და მუშათა კლასის დიქტატურისათვის?!**“ ეს ამხანაგები ამბობდნენ: „**ეს არის დაშინების ხერხი, თქვენ ტერორის ქვეშ გვაყენებთ ჩვენ**“. მე რამოდენიმეჯერ შემიხვდა ასეთი განცხადებების მოსმენა ჩემ შენიშვნების გამო, თითქოს მე ვინმეს ვაშინებდე და მე ამაზე ვუპასუხებდი, რომ სასაცილო იქნებოდა ჩემგან ძველ რევოლიუციონერების დაშინება, რომელთაც ყოველგვარი განსაცდელი გამოუვლიათ“. (მე-10 ყრილობა, სტენოგრ. ანგარიში, გვ. 16—17, 1921 წლ. გამოცემა).

და როდესაც ჩვენ **ასეთსავე სახიფათო და საძნელო პირობებში** ვლაპარაკობთ ჩვენი მდგომარეობის, საშიშროების შესახებ, ამ მომენტში დისკუსიის მავნებლობის შესახებ, როდესაც ვლაპარაკობთ, რომ დისკუსია ჩამოაცილებს ჩვენს ძალებს იმ მუშაობიდან, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ სოციალისტურ მეურნეობის და ქვეყნის თავდაცვის განსამტკიცებლად, რომ ის შეასუსტებს ჩვენს ძალებს და ხელს გაუხსნის ყველა ანტიპარტიულ და ანტი-საბჭოთა ელემენტებს,— ყოველივე ამაზე პასუხად გვესმის იგივე სიტყვები ტერორის, დაშინების, შებოჭვის და სხვ. შესახებ.

და განა მართლაც, ასეთ პლათფორმების გამოქვეყნებას, რომლებიდანაც ჩვენ მოვიყვანეთ მცირეოდენი ამონაწერები, არა აქვს თავისი მეორე მხარე, რომელიც არა ერთხელ აღნიშნეს მენშევიკებმა და თეთრგვარდიელებმა, ე. ი. ის, რომ ოპოზიცია თავისი იერიშებით პარტიის წინააღმდეგ არყევს პროლეტარიატის დიქტატურას და სულ უფრო და უფრო საშინელ სიტყვებს ხმარობს პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ?

(გაგრძელება იქნება)

ემ. იაროსლავსკი.

---

*) ტყუილა კი არ მოაწერა ხელი ზ. პილიპენკომ საპრონოვ-სმირნოვის პლატფორმაზე.

*) მაშინდელ ჩემ შემცდარ პოზიციიდან მე არაფერი არ დამრჩენია გარდა მწუხარებისა იმის გამო, რომ მე მაშინ ვიყავი „მემარცხენე კომუნისტი“.

პატარა ფელეტონი

ლოიდ ჯორჯის „სელიოტკა“

შეიძლება „სელიოტკამ“ შესძლოს ინგლისის და რუსეთის შორის მშვიდობიანობის დამყარება.

(ლოიდ ჯორჯის სიტყვიდან)

ლოიდ ჯორჯი პალატაში
თმებს იგლეჯს და იცემს თავში:
— შოტლანდიის დიდს მრეწველებს
აუყოლიდათ თევზი ნავში.
რომ არ ჰქონდეს საქმე ხუროს,
დაჯდეს, კვერი არახუნოს;
ასე ხიქსაც დაემართა
ბნედა შეხვდა, წამოროტა;
მე არ მკითხა, ჩემბერლენმა
გაუგზავნა რუსეთს ნოტა.
სად გავყიდოთ: ჩულქი, ნასკი,
საქონელი საწვრილმანო?
რეგვენი რო საქმეს ახდენს,
ჭკვიანს რჩება საჭოჭმანო.

შემომაკლდა გემის ქირა
და ქარხნებიც შემიჩერდა;
რას ფიქრობდა ჩემბერლენი,
როცა რუსეთს ნოტას სწერდა?
ბატონებო! ვერ გვიშველის
ჩვენ მინისტრი შინაგანი;
„სელიოტკა“ მხოლოდ შესძლებს
წავვიმართოს ვაჭრებს გზანი.
ჩვენ მუშტარი შევირიგოთ,
ხიქსმა იცეს თავში ქვანი.
ლოიდ-ჯორჯი ასე რიგად
მომტირალი არ სვამს „ოტკას“
და იგი წყალ-წაღებული
ეჭიდება „სელიოტკას“!

ფიდო ლამია.

ბედნიერი ბაუერი

ზეიპელი და ბაუერი სიტყვებით გამოვიდენ პარლამენტში. ზეიპელმა განაცხადა, რომ ვენის ამბები „მეტი იყო, ვინემ დემონსტრაცია“. სისხლის ღვრა ნაკლები იქნებოდა, რომ თავიდან გამოგვეყვანა ჯარები. პოლიციამ პირნათლად შეასრულა თავისი ვალი.

ზეიპელის შემდეგ მენშევიკების ბელადმა ოტო ბაუერმა განაცხადა: „მე არასოდეს ისე არ ვამაყობდი სოციალ-დემოკრატიის სახელით, როგორც ორშაბათ და მეს, როდესაც სოციალ-დემოკრატებმა უარი სთქვეს გაფიცვაზე“.

(დეპეშებიდან).

ეს დეპეშა წავიკითხე,—
გამოვაცხვე ლექსი ცხელი,
ალბად მიტომ, რომ ფაშისტებს
ჩამოართვა ოტომ ხელი.
როგორც ვიცით, ავსტრიაში
პარლამენტის შესდგა სხდომა;
ზარს ჩამოკრა ზეიპელმა
და სიტყვის თქმა მოინდომა.
მან დაიწყო: „დაღუპვისგან—
ძლივს გადარჩა ჩვენი ერი—
და ბაუერს უმადლოდეთ
ამით, რომ ვართ ბედნიერი.
მან და ჩვენმა პოლიციამ
ჩაიდინეს საქმე კარგი,
იმ ქვეყანას გაისტუმრეს
ვინც აქ იყო მეტი ბარგი.
ნუთუ ასეთ მღელვარების
ღირსი იყო ჩვენი ვენა?..
ნუ თუ მუშებს არ ეგონათ
რომ გვწყუროდა სისხლის დენა?..
მეც ვუმადლი „დემოკრატებს“—
თავს, რომ იდვეს ქვეყნის ვალი,
გაფიცვა რომ შეაჩერეს
აუხვიეს მუშებს თვალი“,

ქების ღირსი არის ოტო
მან შეგვფიცა მტკიცე ძმობა
და ფაშისტებს არ დასჭირდა
სასიკვდილო ბედის ცნობა“.
როცა ეს სთქვა ზეიპელმა
აგრიალდა ტაშის ხმები,
შობერიც კი ფეხზე დადგა—
მიესალმენ მისებრ სხვებიც.
მაშინ ოტომ განაცხადა:
„ბედნიერი მეც ვარ დღესო,
რომ უღრუბლოთ ეხლა ვხედავ—
მენშევიზმის ბრწყინვალ მზესო.
ვერას დროს ვერ დავივიწყებ
ორშაბათის წმინდა ღამეს,
რადგან ვენის მუშებმაც კი—
შეისმინეს ჩვენგან რამე.
ეხლა მჯერა სოციალიზმის,
ეხლა მესმის ჩვენი ძალა
გაფიცულებს — სატუსაღო,
ამნისტია — მოწანწალებს,
დრო არის, რომ სიამაყედ
დემოკრატის ვთვლიდე სახელს
ზეიპელს კი—სამეგობროდ
მეც ვუწვდიდე დღეიდან ხელს“.

ჟუმბარა.

ნავთსად. გამოკვლევა

თანახმად ა. კ. მუშ. და გლეხთა ინსპექციის განკარგულებისა, ა. კ. რკინის გზის მუშათა და გლეხთა ინსპექციის უფროს ინსტრუქტორის ამხ. **ავაკიანის** თავმჯდომარეობით შედგენილ იქნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ა. კ. რკინის გზის ნავთსადენის გამოკვლევა.

აღნიშნულმა კომისიამ თავის მხრივ გამოჰყო ტექნიკური ქვე-კომისია, ა. კ. რკინის გზის მუშ. გლეხთა ინსპ. უფროს ინსპექტორის თანაშემწის ამხ. **კარბელაშვილის**, გზათა კომისარიატის რწმ. სამმართველოს უფროს ინსპექტორის ამხ. **ხელთუფლიშვილის**, „აზნავთის“ წარმომადგენლის ამხ. **ცეიტლინის**, ა. კ. რკინის გზის საგეგმო-საკონტროლო განყოფილების კონსულტანტ ინჟ. **ლეონტიევის**, ა. კ. რკინის გზის ნავთსადენის განყ. გამგის ამხ. ოგანეზოვის და ა. კ. საგზაო კომიტეტის წარმომადგენლის ინჟ. **ძნელაძის** შემადგენლობით, რომელიც 14 ივლისს გაემგზავრა ხაზეზე ნავთსადენის სადგურების გამოსაკვლევად; ტექნიკურმა ქვე-კომისიამ დაათვალიერა შემდეგი სადგურები: ბარგუშეთი, ვლახი, კიურაკ-ჩაი, სალოღლი, ევლახი; გარდაბანი, მცხეთა, გორი და ხაშური. გამოკვლეულ იქნა, როგორც სადგურების ტექნიკური მდგომარეობა, ისე მათი უნარიანობა ნავთის გადაქაჩვის მხრივ.

ტექნიკური ქვეკომისია თბილისში დაბრუნებისას შეუდგა დაგროვილ მასალების დამუშავებას.

შემდეგ ეს მასალები განიხილა მთავარმა კომისიამ, რომლის სხდომასაც დაესწრენ ჩამოთვლილ პირთა გარდა საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს და ა. კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარმომადგენლები.

კომისიამ გამოიტანა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს ნავთის გადაქაჩვის საქმის გაუმჯობესებას; ეს ღონისძიებები დასამტკიცებლად გადაეცა ა. კ. მუშ. და გლეხთა. ინსპექციის კოლეგიას.

მეცხვარეთა შორის

მეცხვარეთა მომარაგება

მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემსმა“ წელს თავის წევრ მეცხვარეებს შეღავათიან პირობებში დაურიგა სხვადასხვა ტანისამოსი და სასოფლო სამეურნეო იარაღი ღირებული 10.000 მან.-დ ა გარდა ამისა ხორბალი 10.000 ფუთამდე, ქერი—21.000 ფუთამდე; მარილი 11.000 ფუთი, ფარაჯა—1226 ცალი და ნაბადი 2160 ცალი.

ხიდი ალგეთის ხევზე

ალგეთის ხევი საშინელებას წარმოადგენდა მეცხვარეთათვის. ამ ხევზე უნდა გაიაროს საქორად მიმავალმა ცხვარმა და ყოველ გადასვლაზე, უხიდობის გამო, აქ დიდძალი ცხვარი იღუპებოდა. გარდა ამისა წყალდიდობის დროს შეუძლებელი ხდებოდა ამ ხევით მიმოსვლა ადგილობრივ მცხოვრებთათვის. წელს საზოგადოება „მწყემსმა“ ამ ხევზე, ბარმაქსიზის თემში (აღბულახის რაიონი). თავის ხარჯით ააგო ხიდი, რითაც საბოლოოდ ააცდინა მეცხვარეებს ყოველ წლიური რამოდენიმე ათასი მანეთის ზარალი და უზრუნველ გახადა ამ ხევით მიმოსვლა ადგილობრივ მცხოვრებთათვის. ხიდის აგება „მწყემს“-ს დაუჯდა დაახლოვებით 2.000 მან.

მატყლი

„სოფლის კავშირი“-სთვის „მწყემს“-ს უნდა ჩაებარებინა წელს 25.000 ფუთი გაზაფხულის მატყლი. ამ რაოდენობას „მწყემსი“ გადამეტებით ჩააბარებდა, რომ საქართველოს გარეთ გასული ცხვრის მატყლი არ გაყიდულიყო „მწყემსი“-ს გარეშე. საქართველოს გარეთ გასული ცხვრის მატყლი დაახლოვებით 6.000 ფუთი შეიძინეს სხვადასხვა კავშირებმა. და „მწყემსმა“ დაუმზადა „სოფლის კავშირს“ მხოლოდ 23.000 ფუთი საგაზაფხულო მატყლი.

ცაგერ-ორბელის გზა

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ცაგერი, 30 ივლისი. 29 ივლისს დამთავრდა ცაგერ-ორბელის გზატკეცილის გაყვანა. გუშინ ცაგერში პირველად შემოვიდა სამაზრო აღმასკომის ავტომობილი. ავტომობილით ჩამოვიდენ: სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხანაგი **მაღრაძე** და სამაზრო პარტკომის მდივანი ამხ. **სიამაშვილი.** მიუხედავათ ტალახიანი გზისა, ავტომობილი დაუზიანებლად გადმოვიდა ორბელიდან. ცაგერის მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა ავტომობილის მშვიდობიანად ჩამოსვლას. ოფიციალურად გზა გაიხსნება დღეს 31 ივლისს. გზის საზეიმო გახსნაზე მოწვეული არიან უზენაესი ხელისუფლების წარმომადგენლები. ამიერიდან ცაგერი დაუკავშირდება სხვა მოწინავე კუთხეებს. ცაგერ-ორბელის გზის დამთავრება პირველი საფეხურია ლეჩხუმის აღმშენებლობითი მუშაობის სფეროში. ის დიდ დახმარებას გაუწევს ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულად და ეკონომიურად აღორძინებს.

პარმენ ფრუიძე.

ამხ. ფილიპე მახარაძის მისალმება

საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ამხ. **ფ. მახარაძემ** ცაგერის აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. **მახარაძეს** გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

დიდ აღტაცებით ვულოცავ ლეჩხუმის გლეხობას მის დიდ გამარჯვებას ორბელიდან ცაგერამდე გზატკეცილის დასრულების გამო, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის, როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ ცხოვრებაში. სამწუხაროდ ავადმყოფობის გამო თქვენს ზეიმს ვერ ვესწრები. ვუსურვებ ლეჩხუმის და მასთან მის მეზობელ სვანეთის გლეხობას მომავალში უფრო დიდ გამარჯვებას.

ფილიპე მახარაძე

სახკომსაბჭოში

ამხანაგობა „მეჯოგე“-სათვის ხორცის დამზადების საქმის გადაცემა

სახკომსაბჭომ დაადგინა წინადადება მიეცეს დას. საქართველოს მესაქონლეთა კოოპერატიულ ამხანაგობა „მეჯოგე“-ს და სააქციო საზოგადოება „ა. კ-ის ხორცით ვაჭრობა“-ს შეიმუშაონ პროექტი ხელშეკრულებისა „ა. კ. ხორცით ვაჭრობის“ მიერ დასავლეთ საქართველოს ხორცის დამზადების ოპერაციების ამხანაგობა „მეჯოგე“-სათვის გადაცემის შესახებ.

გადასახადები თბილისის კაზინო-კლუბებში

საქართველოს ფინსახკომის დასკვნის თანახმად სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო აღიძრას სათანადო შუამდგომლობა (ა. კ. სახკომსაბჭოს მეშვეობით), რათა თბილისის კაზინო-კლუბებში სათანაბრო გადასახადი განისაზღვრულ იქნეს ამ კლუბების საერთო შემოსავლის 16 პროცენტის რაოდენობით. ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე ნება მიეცათ კაზინო-კლუბების მმართველობას კაზინო-კლუბების სათანაბრო გადასახადის გადახდა განაგრძონ ამ კლუბების საერთო შემოსავლის 10 პროცენტის რაოდენობით.

სასტუმროს აგება ქ. ზუგდიდში

წინადადება მიეცა ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს დამატებითი ცნობები ქ. ზუგდიდში ასაგებ სასტუმროს შესახებ.

დავალიანების დასაფარავად

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო აღიძრას შუამდგომლობა ა. კ. სახკომსაბჭოს წინაშე სამხედრო უწყების დაწესებულებათა და სამხედრო ნაწილების მიერ გასული 1925—26 საბიუჯეტო წელში კომუნალური სამსახურის სარგებლობისათვის ადგილობრივი აღმასკომებისადმი დავალიანების დასაფარავად საჭირო თანხის გაღების შესახებ.

ჯარის ნაწილების ბინების შეკეთება

საქართველოს ფინსახკომის მოხსენების თანახმად ეთხოვა ა. კ. სახკომსაბჭოს გადასცეს ბათომის აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში ქ. ბათომში დაბანაკებული ჯარის ნაწილების ბინების შესაკეთებლად საჭირო 42.364 მან.

საქართველოს ცაკში

— **დახმარება მლეთის საბავშვო სახლს.** ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ დახმარებათ მისცა **მლეთის საბავშვო სახლს** სამას ექვსი (306) მან. და 65 კაპ.

— **დარიგებული პენსიების რაოდენობა.** ცაკის უზრუნველყოფის განყოფილების მთავარ სამმართველომ ამ თვეში (ივლისში) დამსახურებულ საზოგადო მოღვაწეებს, რევოლიუციონერებს, ომის და შრომის ინვალიდებს პენსიის სახით დაურიგა **11,740 მანეთი და 30 კაპეიკი.** ამ ანგარიშში არ შედის ის თანხა, რომელიც განყოფილებამ ამ თვეში ერთდროულ დახმარებათ დაურიგა ინვალიდებს და ნივთიერათ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს.

— **რა დაიხარჯა საინვალიდო სახლების შენახვაზე**—ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ ამ თვეში (ივლისში) **თბილისში** არსებული საინვალიდო სახლების შესანახად დახარჯა **5.225 მანეთი და 60 კაპეიკი.**

ეკონომიურ საბჭოში

ენგურის ქაღალდის ფაბრიკის საამშენებლო კომიტეტში

ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის მოხსენების თანახმად, ენგურის ქაღალდის ფაბრიკის საამშენებლო კომიტეტში ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის წარმომადგენლათ შეყვანილი არიან ამხ. ბერია ბიგლარ და უვანია ისიდ.

ელსადგურის გადაცემა გორის სამაზრო აღმასკომისათვის

ს. მ. უ. საბჭოს დასკვნის თანახმად ეკონომიურმა საბჭომ დააკმაყოფილა გორის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა, რათა დაეთმოს მას შეღავათიან პირობებში თბილისის აღმასკომის განკარგულებაში არსებული ელსადგურების რიცხვიდან ერთი 120 ცხ. ძალ. ელსადგური ქ. გორის საჭიროებისათვის.

საქართველოს ბანკების მე-4 კვარტ. საკრ. გეგმის შესახებ

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა 1926—27 წლ. მე-4 კვარტალის გაერთიანებული საკრედიტო გეგმა და მასთან ერთად საჭიროთ სცნო ლიმიტის გადიდება — პოლიგრაფტრესტისათვის 200.000 მანეთამდე, ლითონტრესტისათვის—200.000 მან-მდე და საქართველოს სახ. ვაჭრობისათვის—600.000 მან-მდე.

1926 წლ. ღვინის მოსავლის დამზადება

ეკონომ. საბჭომ საჭიროთ სცნო აღიძრას შუამდგომლობა ს. ს. რ. კავშირის ორგანოების წინაშე 1926 წლ. მოსავლის ღვინის დასამზადებლათ გრძელვადიანი კრედიტის სახით 500.000 მან. გაღების შესახებ.

კრედიტის გაცემა

ეკონომიურ საბჭომ საჭიროდ სცნო წინადადება მიეცეს ყველა საკრედიტო დაწესებულებას კლიენტურის განაწილების დამტკიცებამდე კრედიტების გაცემა ძველი წესით აწარმოონ.

სადაფის ფოლაქის ფაბრიკის მოწყობა

ეკონომიურმა საბჭომ ნება მისცა მოქ. დ. გინზბურგს მოაწყოს ქ. თბილისში სადაფის ფოლაქის ფაბრიკა.

საზ-ბა „რიონის ნაოსნობა“

ეკონომ. საბჭომ დაამტკიცა სააქციო საზოგადოება — „რიონის ნაოსნობა“-ს წესდების პროექტი.

აბრეშუმის მრეწველობა

საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ს. მ. უ. საბჭოს მიერ წარმოდგენილი აბრეშუმის მრეწველობის კაპიტალურ სამუშაოთა პროგრამა იმ ნაწილში, რაც ოზურგეთის, ხონისა და სამტრედიის აბრეშუმის სახვევი ფაბრიკების აგებას შეეხება. ამ გეგმით ოზურგეთში უნდა მოეწყოს 72 ტაშტიანი აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა, რომლის ღირებულება უდრის 310.000 მან. და ხონში 96 ტაშტიანი ფაბრიკა რომლის ღირებულება —309.000 მანეთს უდრის. სამტრედიის აბრეშუმის ფაბრიკის გაფართოებას (ახალი 48 ტაშტის მოწყობა) უნდა მოხმარდეს 50.000 მან.

ქუთაისის ფაბრიკის პროექტს და ხარჯთაღრიცხვას იმუშავებს ს. მ. უ. საბჭო, რომლის დამტკიცების შემდეგ დაიწყება ხსენებული ფაბრიკის აგება.

მატყლის დამზადება

მიმდინარე წლის იანვრამდე მატყლის დამზადებას „მწყემსი“ აწარმოებდა აგენტების საშუალებით, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ მეტი წონის დამზადებაში და მატყლის ხარისხს ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ.

იანვრიდან შემოღებულია სამეურნეო წესით დამზადება. ამ წესის პირობებში დამზადებელი დაინტერესებულია უფრო მატყლის ხარისხით, ვიდრე წონით. ამ წესის უპირატესობა ეხლა უკვე თვალსაჩინოა, ვინაიდან წელს დამზადებული მატყლის ხარისხი გაცილებით უკეთესია ვიდრე წინა წლების.

ამერიკელ სტუდენტთა დელეგაცია

ხვალ, 1-ლ აგვისტოს თბილისში მოელიან ამერიკელ სტუდენტთა დელეგაციის ერთ ჯგუფს, რომელშიაც შედის 16 კაცი. ეს ჯგუფი გამოემგზავრა მოსკოვიდან უკრაინის და შემდეგ ა.-კ. რესპუბლიკების დასათვალიერებლათ.

ამერიკელ სტუდენტთა დელეგაცია ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში ივლისის პირველ რიცხვებში. დელეგაციაში შედიოდა 44 კაცი. დელეგაციის წევრები არიან ამერიკის 40 სხვადასხვა სპეციალური უმაღლეს სასწავლებლების და უნივერსიტეტების სტუდენტები.

დელეგაცია მოგზაურობს ამერიკულ სტუდენტების მიერ მოგროვილი თანხებით.

მზადება

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის

პროფ. მოსე თოიძის სტუდია

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლისთავისათვის მოსკოვში ეწყობა საბჭოთა კავშირში შემავალ ერების მხატვრულ ნაწარმოებთა გამოფენა შემოქმედების ყველა დარგებიდან. გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან საქართველოს ყველა სამხატვრო და კულტურული დაწესებულებანი და მათ შორის პროფ. მოსე თოიძის სახალხო სამხატვრო სტუდია. სტუდია უკვე შეუდგა სათანადო სამზადისს. ხდება მოწაფეების მიერ შესრულებულ მხატვრული სურათების შერჩევა, იხატება ახალი სურათები და სხვ. მოწაფეთა სურათების გარდა მოსკოვის გამოფენაზე გაიგზავნება აგრეთვე სტუდიის ხელმძღვანელ მხატვართა სურათები, მათ შორის პროფ. მ. თოიძის და ირ. თოიძის ნაწარმოებნი. სტუდიის მიერ გამოფენის მომწყობ კომისიის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა, რომ სტუდიას გამოფენაზე დაეთმოს 60 კვად. მეტრი. ოქტომბრის 10 წლისთავისათვის მსგავსივე გამოფენა ეწყობა თბილისშიაც. თბილისის გამოფენაშიც მონაწილეობას მიიღებს პროფ. თოიძის სტუდიაც. ზოგიერთი ექსპონატები მზადდება ორ-ორ ეგზემპლიარად, იმ მიზნით, რომ ღირსშესანიშნავი სურათები ერთდროულად გამოფენილი იქნეს მოსკოვშიაც და თბილისშიაც.

აბრეშუმის მოსავალი

გუშინ დასავლეთ საქართველოდან დაბრუნდა „საქართველოს აბრეშუმის“ საწარმოო განყოფილების გამგე ამხ. **ჩომახიძე,** რომელმაც დაათვალიერა აბრეშუმის ქარხნები და გაეცნო პარკის დამზადების მსვლელობას. ამხ. ჩომახიძემ ჩვენს თანამშრომელს გადასცა შემდეგი:

— აბრეშუმის წრევანდელ მოსავლის გარშემო გავრცელებული ხმები სინამდვილეს არ შეეფერება. აბრეშუმის წრევანდელი მოსავალი საშუალოდ უნდა ჩაითვალოს. საბოლოო ცნობები ჯერ კიდევ არ მიგვიღია, მაგრამ იმ ცნობებით, რომელიც ხელთა გვაქვს, გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ წელს დამზადდება —112—115.000 ფუთამდე პარკი. რომ ამინდს არ გაეფუჭებინა თუთის ფოთოლი და ნაწილობრივ ჭიას მოსავალი გაცილებით მეტი ექნებოდა. გასული წლის მოსავალი, რომელიც 132.000 ფუთს უდრიდა, რეკორდული იყო და საზომად ყოველ შემთხვევაში არ მიიღება. აბრეშუმის წრევანდელ მოსავლით ჩვენ სავსებით დავაკმაყოფილებთ ჩვენი ქარხნების ორწყება მუშაობას და შევასრულებთ დადებულ ხელშეკრულებებს.

მომავლისათვის უნდა ვეცადოთ კოლოფ გრენის მოსავლიანობის გაზრდას, უნდა გავაძლიეროთ მეაბრეშუმეთა ინსტრუქტაჟი და თუთის გაშენება. ჩვენი თუთის დღევანდელ რაოდენობას შეუძლია გამოკვებოს 90.000 კოლოფი.გრენა და გრენის განაწილების დროს უნდა გამოვდიოდეთ ამ რაოდენობიდან. ჩვენი აბრეშუმის ქარხნებს მოკლე ისტორია აქვთ, მაგრამ მათმა პროდუქციის რაოდენობამ და ძაფის ხარისხმა საპატიო ადგილი მოუპოვეს ჩვენ აბრეშუმს.

ჩვენ ქარხნებში მუშაობს სულ 1.100 ქალი. მუშაობა სწარმოებს ორ წყებათ და ასევე გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. წელს იმედი გვაქვს დავამზადოთ 500 ფუთი გრეხი და ნაგრეხი ძაფი. ჩვენი ქარხნების წრევანდელი პროდუქცია წინასწარ გვაქვს გაყიდული მოსკოვის ბაზარზე.

მომავალ წლიდან ამუშავდებიან ოზურგეთის, ხონის და ქუთაისის ქარხნებიც და საშუალება გვექნება მთლიანად გადავამუშავოთ ჩვენი პარკი.

პარკის გახმობა წელს მეტ ნაწილად მექანიკურად სწარმოებს და გამხმარი პარკი გაცილებით ადრე გაგვაქვს ბაზარზე.

მეორე ავია-ლატარია

საქართველოში უკვე დაიწყო საკავშირო მეორე საჰაერო ლატარიის ბილეთების რეალიზაცია.

სალატარიო კომიტეტის რწმუნებულათ საქართველოში დანიშნულია ამხ. ლ. აბაშიძე, რომელმაც ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„მეორე ავიალატარიის მნიშვნელობის ფარგლები გაცილებით უფრო ფართეა, ვინემ პირველის. უმთავრესი მიზანი მისი, როგორც პირველისა არის მოსახლეობისათვის ავიაციის გაცნობა. ამასთანავე, გარდა იმ მატერიალურ სარგებლობისა, რომელსაც იგი აძლევს მომგებს, მეორე ლატარიის მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რომ იგი მიზნად ისახავს ქვეყნის თავდაცვისათვის ხელის შეწყობას და მის გამაგრებას. ლატარიიდან შემოსული თანხები მოხმარდება ამ საქმეს. მეორე ლატარის ბილეთები უფრო მეტი რაოდენობით არის გამოშვებული. სულ გაიყიდება 3.000.000 ბილეთი. (პირველი ლატარიის ბილეთი გამოშვებული იყო 2.000.000 ცალი).

პირველმა ლატარიამ დიდი ინტერესი გამოიწვია მოსახლეობის ფართო ფენებში, რაც ამტკიცებს იმას, რომ მოსახლეობა დაინტერესებულია ავიაციით. პირველი ლატარიის არც ერთი ბილეთი არ დარჩენილა გაუსაღებელი და მოთხოვნილება მასზე კიდევ დიდი იყო.

უნდა ვიფიქროთ, რომ მეორე ლატარია, რომელიც უდიდეს მიზანს (ქვეყნის თავდაცვის გაძლიერება) ისახავს უფრო დაინტერესებს მოსახლეობას.

გამოშვებულ ბილეთების საერთო რიცხვიდან საქართველოსათვის გამოყოფილია 25.000 ბილეთი. მართალია ყველა მაზრებიდან ჯერ ცნობები არ მიგვიღია ბილეთების მოთხოვნილების შესახებ, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ეს რაოდენობა საკმარისი არ იქნება.

პირველ შემთხვევაში ბილეთებით დაკმაყოფილებულ იქნებიან თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები, ხოლო შემდეგ კი დანარჩენი ერთეულ-მსურველები.

ამას წინად თბილისში მიღებულ იქნა 25.000 ბილეთი, აქედან 10.000 ცალი იმყოფება ჩვენს განკარგულებაში, ხოლო 15.000 ცალი სახელმწიფო ბანკის ხელში. ამასთანავე გუშინ მივიღეთ 3.000 ბილეთი. ჯერ-ჯერობით წარმოდგენილია მოთხოვნილება 5.000-დე ბილეთზე.

სტუდენტები პრაქტიკაზე

მიმდინარე ზაფხულზე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებიდან პრაქტიკულ სამუშაოებზე გაგზავნილია სულ 1180 სტუდენტი, ხოლო სტაჟის მისაღებად 258 კურსდამთავრებული. ეს ციფრები სრული არ არის, დაახლოებითია, რადგან სტუდენტების განაწილება სხვადასხვა პრაქტიკულ და სტაჟის სამუშაოებზე ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. სტუდენტები გაგზავნილი არიან უმთავრესად სხვადასხვა დაწესებულებებსა და წარმოებებში

ჯერ-ჯერობით საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან პრაქტიკის მისაღებად გაგზავნილია 575 სტუდენტი, სტაჟის მისაღებად 120; ლენინის სახელობის პოლიტეხნიკური ინსტიტუტიდან გაგზავნილია პრაქტიკის მისაღებად 4.20 სტუდენტი, სტაჟის მისაღებად 78, საქართველოს სამხატვრო აკადემიიდან 14; ხოლო სპეციალურ ტეხნიკუმებიდან პრაქტიკის მისაღებად 170 მოწაფე და სტაჟის მისაღებად 60 კურსდამთავრებული. პრაქტიკულ სამუშაოებზე სტუდენტები დარჩებიან სასწავლო წლის დაწყებამდე.

თვალსაჩინო ხელსაწყოთა ინსტიტუტი

საგეგმო კომისიამ მოიწონა თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილების მიერ წარმოდგენილი გეგმა თვალსაჩინო ხელსაწყოთა ინსტიტუტის მომავალი მუშაობის შესახებ. გეგმის მიხედვით მომავალ სასწავლო წლიდან ინსტიტუტთან იარსებოს ფიზიკური; ქიმიური; მათემატიკური: მინერალოგიური; ბიოლოგიური; ანატომიური; სასოფლო-სამეურნეო; სახაზავო და სხ. განყოფილებები.

ინსტიტუტთან აგრეთვე მოეწყობა შემდეგი სპეციალური განყოფილებები: საზეინკლო, ხის დამმუშავებელი; საჩონჩხო მეფუტკრეობისათვის საჭირო მასალების დამმზადებლები და სხ. განყოფილებები. 1927—28 წელში ამავე გეგმით ინსტიტუტი სარეალიზაციოთ დაამზადებს 85 ათასი მანეთის თვალსაჩინო ხელსაწყოებს.

ამ ინსტიტუტის მანქანების შესაკეთებლად გადაიდო 8220 მანეთი, ხოლო საბრუნავი თანხის გასაძლიერებლად 40 ათასი მან.

ამავე გეგმითვე ინსტიტუტის მოსამსახურეთა შტატი შემცირებული იქნება სანახევროდ; ხოლო მუშათა რაოდენობა გადიდებული იქნება ორჯერ. ეს ინსტიტუტი ერთად-ერთია მთელ ამიერ-კავკასიაში.

თბილისის პროლეტარიატი

ამხ. ნინა ხოსელიას გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად.

ელისაბედ მონასელიძე.

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ გიორგი მიხას ძე მესხიას, ვლადიმერ გრ. ქვილითაიას, აკაკი მიხეილის ძე ესაკიას და შალვა სიმონის ძე კუჭუხიძეს. კაცხიდან ვასილ მალაქიას ძე ჩიხელიძეს, კოწია ჩიხელიძეს, მიხეილ ივანეს ძე ბაზღაძეს, საექიმო პუნქტის გამგეს გიორგი შარაშენიძეს, ვასილ ლუკას ძე მოდებაძეს, კიმოთე ნარიმანის ძე მოდებაძეს; ჭიათურის მუშკოოპიდან ამხ. დიმიტრი მელიქაძეს, ზოტინე სოფრომაძეს, რაჟდენ ამბაკოს ძე აბესაძეს, გაბო დიმიტრის ძე ცერცვაძეს, გალაქტიონ ისაიას ძე ცერცვაძეს და ვასილ ხიხაძეს.

პ. კუპატაძე.

ამხ. ალექ. ხიჯაკაშვილის გამოწვევით შემომაქვს „თბილისის პროლეტარიატის“ სასარგებლოდ 10 მანეთი და ვიწვევ ამავე თანხაზე ამხ. აკიმენკოს ტჩ/4.

აბრ. გულიან.

ამხ. ვ. ჯეჯელავას გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავი „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად 10 მანეთი.

ნ. ბრეგვაძე.

—:—

შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ შიო დოლიძეს, გერასიმე ქავთარაძეს, მიშო ციციშვილს, იასონ ჯაიანს, კოწია მოდებაძეს, სპირიდონ ხაბურზანიას, ბიჭიკო კალანდარიშვილს, იპოლიტე დოლიძეს (გორიდან), იოსებ ჩიჩუას (სენაკიდან), ჯვებე ჩიჩუას (სენაკიდან), ვანო ჩხეიძეს და ვალოდია ბასილაიას (მოსკოვიდან).

ბიქტორ ცაგურია.

—:—

შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ ყაზარე აბუაშვილს, ნინა ცინცაძეს, დომენტი გურიელიძეს, ვასო ქონიაშვილს, ილიკო საგინელიძეს, არტო ხალათოვს, სალომე ყარანგოზიშვილს, მიშა მაღალაშვილს და ევგენი კაკაურიძეს.

შიო ფეიქრიშვილი.

—:—

შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ ასეთივე თანხაზე შემდეგ ამხანაგებს: ღარიბ-ჭაგნის შრომის სკოლიდან მასწავლებლებს ვ. შენგელიას, ა. მანჯგალაძეს და მ. ბალავაძეს. ამავე თემის კოოპერატივიდან ი. არველაძეს და დ. არსენიძეს. აღმასკომიდან ა. მანჯგალაძეს და ნ. კლატჭეიშვილს. ა. ლ. კ. კავშირის უჯრედიდან ს. ნ. ღაღანიძეს. თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტიდან ზ. ბალავაძეს, ქალთა ორგანიზაციიდან დ. დანელიას. ა.-კ. კომუნივერსიტეტიდან სტუდენტებს გ. გერგენიძეს, მესიტაშვილს და გ. გაბისონიას.

გიორგი მანჯგალაძე.

—:—

შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ მინადორას, ბაბუსიას და ალექსანდრას დომინიკა ბარგმანიანცს, ლიზა ნიკურაძეს, მარუსია მჭეიძეს და ცაბურია კიკნაძეს.

ზაზო ხუნდაძე.

—:—

შემოგვაქვს 15 მანეთი და ვიწვევ კოლექტიურად ქუთაისის 1, 2, 3 და მე-5 აფთიაქის თანამშრომლებს, აგრეთვე ქუთაისის „სახმედვაჭრობის“ აფთიაქის საწყობის სააფთიაქო მაღაზიის და წითელი ჯვრის სააფთიაქო მაღაზიის თანამშრომლებს, თბილისის ყოფილ ზემელის აფთიაქიდან ქ. ელიაშვილს და ნადია ღოღობერიძეს.

ქუთ. მეოთხე საბჭოთა აფთიაქის თანამშრომლები.

შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ იოსებ გუნთუას, დ. ანჯაფარიძეს, ლ. კიზირიას, ვ. ახათიანს, პ. კაჭარავას, პეტრე ნადარეიშვილს, რათიდენ ქორინიდავას, მ. საშახთარიშვილს და ი. თევზაძეს.

ალ. ზაფავა.

შემომაქვს რვა მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად.

თამარა და ტიტე სიხარულიძე.

—:—

შემომაქვს ათი მანეთი და ვიწვევ ალექსანდრე საჯაიას, მირ. ვარალოვს, ბესო მელიქაძეს, სოხუმიდან—ევგენი გეგეჭკორს, ზუგდიდიდან: აქსენტი შონიას მიხო დემურიას, ჭიჭიკო ჩხეიძეს, შურა ჯოლოკავას, ირაკლი ჩიტო და ნოე ნადარეიშვილებს.

გ. ჯინჯოლია.

—:—

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად ხუთი მანეთი.

ვერა მელაძე.

ამხ. ფირცხალავას გამოწვევის თანახმად შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად ხუთი მან.

ს. ჭეიშვილი.

—:—

შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ კონსტანტინე წულუკიძეს, ჯორჯიაშვილს, ნაპა წერეთელს და გრიგოლ იმხნელს.

ი. შხეიძე.

—:—

შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ ვ. ხოშტარიას, ვანო ანჯაფარიძეს, ისიდორე ნადირაძეს, კოლია ბარათაშვილს, ბათომიდან ივანე ლევანჯილიას და გიორგი გაბუნიას.

გიორგი გაბუნია.

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ ზაქრო გოგოლაძეს, ალექსი ქოქოშვილს, ვასო ლომიძეს, ტიტე ქაჯაიას და ანდრო ბარკალაიას.

ვანო გელაშვილი.

—:—

ამხ. მიხა თურქიას გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი.

ნატა ცაგარეიშვილი.

—:—

შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ თბილისიდან—ა. კოპაძეს, ა. ჭიპაშვილს, ნ. თევზაძეს, ბათომიდან—გ. გიორგაძეს, ხონიდან—ი. ჩხენკელს, დიდი-ჯიხაიშიდან—ვ. მამაცეიშვილს, ზესტაფონიდან—გ. აბაშიძეს, თ. მანჯავიძეს, პ. ულენტს, ი. ლუჟიძეს და ს. ხაჩატუროვს, ჩხარიდან—დანიელ კუპატაძეს.

ი. ჩინჩალაძე.

—:—

შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს სვირიდან: აღმასკომის თავმჯდომარეს მიშა ჩიტორელიძეს, მდივანს იუსტ. ცხადაძეს, მასწავლებლებს მიშა ძიძიგურს, სიმონ კაპანაძეს, რაჟდენ ჯულელს, ბაგრატ ჯულელს, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობას გამგეობის თავმჯ. ამბერკი ჯულელს, მის მოადგილეს ისიდორე ღვანიძეს, სვირის ქპოს თავმჯდომარეს ნიკოლოზ კაკაურიძეს.

ვანო დ. სულაქველიძე.

—:—

შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად.

ე. ამაღლობელი.

დღეს შემოსულია 113 მანეთი.
სულ შემოსულია 5.695 მან. 59 კაპეიკი და ერთი ოქროს მაჯის საათი.

ფაბრიკის გადაკეთება

გემო-კვების მრეწველობის საწარმოო გაერთიანება „წარკოოპი“ შეუდგა ყოფ. მაკარონის ფაბრიკის გადაკეთებას საკონდიტერო ნაწარმოებთა და საგალეტო ფაბრიკათ. ახალი ფაბრიკის საჭიროებისათვის შეძენილია შესაფერი მანქანები და ნედლი მასალა.

ახალ ფაბრიკაში იქნება შემდეგი განყოფილებები ყავის დამამზადებელი, საშოკოლადო, საკარამელო, საგალეტო და საეტიკეტო განყოფილება. ახალი ფაბრიკა გამოუშვებს აგრეთვე საშუალო და მაღალ ღირსების ტკბილეულობას.

სულ ქარხნის გადაკეთება დაჯდება 37.723 მ.

დავალიანება

თბილისის დამზღვევი სალაროს მიმართ

უკანასკნელი ცნობებით თბილისის სხვადასხვა დაწესებულებათა და წარმოებათა დავალიანება თბილისის დამზღვევი სალაროს მიმართ შეადგენს 374.233 მან.

დავალიანების რაოდენობის მიხედვით პირველი ადგილი უჭირავთ სამეურნეო ორგანიზაციებს, მეორე სხვადასხვა კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, შემდეგ კოოპერატიულ ორგანოებს და ა. შ. თავის დროზე შეაქვთ დასაზღვევი ანარიცხები სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებს.

ზღვევ სალაროში ყოველთვიურად შედის 350 ათას მანეთიდან 360 ათას მანეთამდე.

ასეთი მნიშვნელოვანი დავალიანების გამო დამზღვევი სალარო დიდი გაჭირვებით ასრულებს თავის დანიშნულებას და ხშირად თავის ოპერაციებს დეფიციტით აბოლოებს. ამ დავალიანების გამო დამზღვევი სალაროები მოკლებული არიან ე. წ. სამარქაფო თანხებს, რომელიც დამზღვევი სალაროს ორი კვირის ბრუნვას უნდა უდრიდეს.

დასასვენებელი სახლები

ახალ აგარაკებზე

აჭარისტანის მთიან ადგილებში დამთავრდა მთელ რიგ საგარაკო სახლების შეკეთება და აგება. შეკეთებულ და ახალ საგარაკო სახლებში ეწყობა დასასვენებელი სახლები მუშა-მოსამსახურეებისათვის.

სხვათა შორის ქობულეთში დამთავრდა ახალი დასასვენებელი სახლის შეკეთება და მოწყობა. ახალი სახლი ეკუთვნის საქართველოს დამზღვევ სამმართველოს. სახლის ოფიციალური გახსნა უკვე მოხდა. ამ ჟამად სახლში მოთავსებულია 60 მუშა-მოსამსახურე.

სეზონი დასასვენებელ სახლში გაგრძელდება ოქტომბრის შუა რიცხვამდე. სულ ახალ სახლში მთელი სეზონის განმავლობაში გატარებული იქნება 300 მუშა-მოსამსახურე.

მიმდინარე სეზონისათვის შეკეთებული და გაფართოვებული იქნა აგრეთვე ქობულეთის სანატორიუმი, რომელშიც ერთდროულად 100 ავადმყოფს იტევს. გასულ წელს კი ქობულეთის სანატორიუმში თავსდებოდა მხოლოდ 60 ავადმყოფი. ზაფხულის სეზონის განმავლობაში სანატორიუმში გატარებული იქნება 300-მდე ავადმყოფი.

რას გვეუბნება ეს პროექტი? ჯერ-ჯე **მზადება ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის**
ბ

რკინისგზეზე

გამგეობის სხდომა

ა. კ. რკ. გზ. გამგეობის მორიგ სხდომაზე, რომელიც შესდგება 1 აგვისტოს, განხილულ იქნება რკინის გზის საბინაო აღმშენებლობის გეგმა. ეს გეგმა შეფარდებული იქნება საბინაო მშენებლობის საკრედიტო გეგმასთან.

ამასთანავე განაწილებულ იქნება კრედიტები ახალ სამუშაოებისათვის და განხილული იქნება საკითხი ბალაჯარის კვანძის ელექტროფიკაციის შესახებ.

„წითელი სარკე“ რკინის გზებზე

ქუთაისის აგიტრევოლიუციონური სატირის თეატრი ამხ. **დოდონაძის** ხელმძღვანელობით ა. კ. საგზაო კომიტეტის მიერ მოწვეულია სარკინიგზო კლუბებში წარმოდგენების გასამართავად.

საგზაო კომიტეტის მიერ შემუშავებულ გეგმის თანახმად, თეატრმა წარმოდგენები უნდა გამართოს ბათომის, ფოთის, სამტრედიის, ახალსენაკის; ქუთაისის; შორაპნის; ჭიათურის; ხაშურის, გორის, გურჯაანის, თბილისის და ნავთლუღის სადგურებთან არსებულ რკინის გზელთა კლუბებში.

რათა თეატრის მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნეს საგზაო კომიტეტმა მიმართა გზის გამგეობას თხოვნით დაუთმოს თეატრს ერთი ვაგონი.

თავისუფალ ვაგონის უქონლობის გამო, გზის გამგეობამ საგზაო კომიტეტის ეს თხოვნა ვერ დააკმაყოფილა, მაგრამ თეატრს მისცა მგზავრობის შეღავათიან (25 პროც. დაკლებით) ტარიფით სარგებლობის უფლება.

9.000.000 მან ახალ სამუშაოებისათვის

1927—28 წელს ახალ და აღდგენითი სამუშაოების საწარმოებლად ცენტრში ა. კ. რკინის გზებისათვის გადადებულია შემდეგი თანხა.

ექსპლოატაციის დარგს—134.000 მან., წევის დარგს—127.000 მან. და სალიანდაგო დარგს—4.300.000 მანეთი, აქედან ახალ სამუშაოებისათვის—3.650.000 მან. და საბინაო აღმშენებლობისათვის 650.000 მან.

საყინულეების ასაგებათ გადადებულია 840.000 მან და ელექტროფიკაციისათვის—4.000.000 მან.

დანარჩენი საქმისათვის თანხები გადადებული იქნება დამატებით.

პოლიანდრე რაპრიკაძის მოგზაურობა ეს-ეს-ერ-ში

III

აქა ამბავი ერთი გენერალური აღმოჩენისა და ერთი შემთხვევისა

ქშინავს რკინის გოლიათი,
მიჰქრის, მიჰქრის რკინის ცხენი..
ცხელა, ცხელა, ისე ცხელა,
რომ საყელო გავიხსენით.
პოლიანდრე კუპეში ზის
ღრმა აზრებით დატვირთული
უცნაური რამ ყოფილა
მეცნიერის თურმე სული.
არ ისვენებს გზაშიაც კი
იკვლევს, ეძებს, აკვირდება,
უცბად რამეს აღმოაჩენს
და თვითონაც გაკვირდება.
მეც ფიქრებში დავცურავბ
მახვევია ასი დარდი...
ვფიქრობ: ვაჰ თუ ამ თაროდან
ნერაინათ ჩამოვარდი?!!.
ანდა ჩვენი რკინის ცხენი
ვნახოთ, ასცდა ლიანდაგსა
და ერთავად მიგვამსხვრია
ამ ქვიშიან ნიადაგსა.
მაშინ, აბა, მაშინ რა ვქნა?
ჩემზე ვდარდობ, ფიქრობთ განა?
სულაც არა.. პოლიანდრე
რაპრიკაძე მახლავს თანა...
მას რომ მარცხი დაემართოს,
რაღა უთხრა ჩვენს ქვეყანას?
ეღირსებით განა კიდევ
ჩვენ მეცნიერს იმისთანას?
ჟრუანტელი მივლის ტანში...
მე მაშინებს მარტო ფიქრიც...
ორთქლმავალი თითქოს ჯიბრზე
უფრო ქშინავს, უფრო მიჰქრის,
იკრებს ღონეს, სუნთქავს მძლავრად,
ხან ჰკივა და ხან ახველებს,
ოფლში სცურავს, მაგრამ არღვევს
ის მუღანის დამწვარ ველებს.
ამ ფიქრებში, რომ ვცურაობ,
ჩემს თაროდან ვხედავ, რომა
პოლიანდრემ რაღაც საქმის
გაკეთება მოინდომა.
ადგა, წელში გაიმართა,
თავზე ხელი გადაისვა,
თითი შუბლზე მიიბჯინა
(ალბათ კითხვა თუ დაისვა)
დინჯათ, ქსოვილ კალათიდან
ამოძუწა წვრილი წნელი.
საბანს ძაფი გამოძრო,
გაუწოდა გაზეთს ხელი,
წნელს ის ძაფი გამოაბა
ჩამოჰკიდა გაზეთს კიდე;
ვხედავ ჩვენი პოლიანდრე
ქაღალდს წნელზე ძაფით ჰკიდებს.
ვფიქრობ: ნეტა რისთვის უნდა?
— ალბათ ბუზებს მოიგერებს..
მიხარია, მოიშორებს
მაბეზარა კოლო-მწერებს...
მაგრამ თურმე პოლიანდრეს
ბუზებისთვის სულ არ სცხელა.
ფანჯრისაკენ გაემართა
მეცნიერი ნელა-ნელა.
აიღო და ის „პრიბორი“
(როგორც შემდეგ განმიმარტა)
ფანჯარაზე გამოჰკიდა
ფიქრზე ფიქრი მომიმატა...
ვეღარ მივხვდი: რათ უნდოდა
გაკიდული ფანჯარაში,
ჯოხი, ძაფი და ქაღალდი
სჭირდებოდა იმას რაში?..
გულუბრყვილოდ დამებადა
ერთი აზრი თავში ბოლოს:
ალბათ სხვისგან გარჩევა სურს
ჩვენს მეცნიერს სასახლოოს,
და ამიტომ თუმცა უბრალო,
თუმცა ქაღალდის არის მარა,
მაინც დროშა გამოჰკიდა,
და მით ჭკუაც მოიხმარა.
დიდხანს ვეღარ მოიხარა.
დიდხანს ვეღარ მოვითმინე
შევეკითხე: პოლიანდრე,
ეს დროშაა, ფანჯარაში
რომ გაჰკიდე კარგად აგრე?!
პოლიანდრემ გაიღიმა...
დარბაისლად შემომხედა:
(სისულელე რომ წამომცდა
უკვე მიხვდი, უკვე ვხედავ).
— არა ხოზიკ—პოლიანდრეს
რაში უნდა აბა დროშა?
(ალბად გულში ასე ფიქრობს:
ეს ხოზიკამ რა მოროშა)
ეს ისეთი „პრიბორია“...
გზაში ძლიერ დაგვჭირდება.
ჩუმად გეტყვი: აღმოჩენით
ყველა მეტად გაკვირდება...
— მივხვდი, მივხვდი, დავიძახე:
მოვიგერებთ ბუზებს, არა?
ალბად აწი შეგვეძლება
ღია გვქონდეს ეს ფანჯარა!..
— რა სთქვი?—გაწყრა პოლიანდრე:
რა მითხარი? მე და ბუზი?
მე და ბუზი ისე შორს ვართ,
როგორც მზე და იალბუზი...
მე ბუზების მეცნიერი?
ასე მიცნობ, კაცო, განა?
რად გამხადე ბუზის კაცად,
რა გაწყინე ამისთანა?
ვხედავ მეტად ვაწყენინე
ვცდილობ ეხლა მაინც ვაქო,
(ფანჯარაში ანძები სჩანს.
მოახლოვდა უკვე ბაქო).
—უკაცრავად—მოვახსენე;—
ისე... სიტყვამ მოიტანა,
თორემ განა მეორე გვყავს
მეცნიერი თქვენისთანა?!
გავიხუმრე, თორემ ვინმე
ბუზზე ფიქრით განა გაგსჯით.
ჰა, ისე ვსთქვი... სხვათა შორის...
მოვიხსენე ბუზი გაკვრით...
ამ დროს ზეცა მოიღუშა,
აიშლერა და შეჰკრა პირი.
ალბად მიწამ აწყენინა
თვალთ დასცვივდა ცრემლი ხშირი...
ურტყამს წვიმა... დაეფარა
ზეწრათ მტვერი მუღანის ველს
დაიკლაკნა ნიაღვარი
ჩამოჰგავდა იგი დიდ გველს...
თვალი მშიერ ცქერებს ისვრის,
დაწრიალებს ველზე თვალი...
— ნეტავ რამდენ კაცს გამოჰკვებს
ამ მინდორის მოსავალი?
წყალი მომეც, წყალი, წყალი...
თითქოს შეგთხოვთ ხმელი ველი..
და მეც ვუსმენ ველის ღაღადს,
ფანჯარასთან ვდგევარ სველი...
უცბად, ჩვენმა პოლიანდრემ
მხარზე მძლავრად დამკრა ხელი
ვხედავ მეტად უხარია...
და უბრწყინავს სახე მთელი...
— ნახე?.. ნახე?.. და ქაღალდზე
მიმითითა ფანჯარაში...
მიხვდი ეხლა?—ეს პრიბორი
გამოგვადგა, კაცო, რაში?
— ჯერ ვერ მივხვდი, პოლიანდრე,
თუმცა, ვფიცავ, ვფიქრე ბევრი.
— ხომ დასველდა?. ხომ დასველდა?!..
ყვირის: ბიჭო, ევრი, ევრი!..
— რაა მერე, რომ დასველდა?
— კაცო ეხლაც ვეღარ მიხვდი?
(გულში ვფიქრობ, მითხარ რაღა,
ნუ დამტანჯე, შენ მომიკვდი!)
— არა გითხრა ამ ქაღალდმა?
(ეშმაკურად გაიღიმა)
რომ დასველდა ვეღარ ნახე.
როცა ოდნავ წამოწვიმა.
— დავინახე, რომ დასველდა...
ვუპასუხე: ვნახე მარა...
— სუ... სუ... მითხრა პოლიანდრემ:
ნურას ამბობ. ესეც კმარა...
აი. საქმეც იმაშია,
რომ შენ თითონ დაინახე:
მეც ვნახე და ევრი მეთქი,
სწორედ მიტომ დავიძახე...
აბა ეხლა ყური მიგდე
და რაც გითხრა გაიგონე...
ეს „პრიბორი“ მე იმიტომ
გავაკეთე, მოვიგონე,
რომ ამინდი გავარკვიოთ,
მყის გავიგოთ რა დარია...
ქარი თუ იქრის, ან თუ გარეთ
წვიმა მოდის, ავდარია...
— მერე როგორ? — ვკითხე: გეტყვის
ეს ქაღალდი რამეს განა?
ზედ ცნობები იწერება?
თუ რა ხდება ამისთანა?!..
ამ შეკითხვით პოლიანდრე
თურმე მეტად გავაცხარე:
დამაცადე, დამიყვირა:
ერთ წუთს ნუ გამამწარე...
— მიკვირს რატომ ვერ გამიგე,
მარტივია ეს პრიბორი...
ამას ყველა უნდა მიხვდეს
ვინც კი იცის დათვლა ორი.
ეს ქაღალდი, ჯოხს მიბმული
ხომ კი ხედავ, გარეთ არი;
ვსთქვათ ეხლა, რომ წვიმა მოდის.
და ცუდია მეტად დარი...
ქაღალდს ძაფით მოსწევ შენსკენ
ნახავ, თუა იგი სველი.
თუ სველია, წვიმა მოდის
ან ძლიერი, ან და ნელი.
ეხლა ვსთქვათ, რომ არც დარია
და, დავუშვათ, არც ავდარი:
თუ ქაღალდი დაფრიალებს,
მაშინ მიხვდი: არის ქარი...
ვსთქვათ, ქაღალდი არც ქანაობს,
არც სველია; არის წყნარად
შეგიძლია ის ამინდი
რომ ჩასთვალო მაშინ დარად.
აი, აგერ დაუკვირდი
გამოვკიდეთ გარეთ არა?
მყის გავიგებთ ეხლა გარეთ
ისევ წვიმს თუ გადიდარა...
—ბარომეტრი, დავიძახე:
ბარომეტრი არის ესა...
რომ მიუხვდი, პოლიანდრემ
მეტის მეტად გაიხარა...
—ოჰ. მალადეც შემომძახა,
ბარაქალა, ბარაქალა...
მუზეუმში უნდა დარჩეს
შენი ტვინი, თავის ქალა.
ჭეშმარიტად საკვირველი.
არის გენიოსთა ნიჭი.
არ მეგონა თუ ვიყავი
შეუსმენი, ხოლმე ბიჭი,
მაგრამ განა ვიფიქრებდი,
რომ ქაღალდით, ჯოხით, ძაფით,
ამინდების გამოცნობა,
იქნებოდა აგრე სწრაფი?!
ჭეშმარიტად, ამ ამბავით
დღეს ქვეყანა გაკვირდება...
ჟურნალები, გაზეთებიც
ამ „პრიორზე“ აყვირდება...
—პოლიანდრე, დიდება და
უდიდესი თქვენ პატივი...
თქვენ მოგვეცით ეს „პრიბორი“
საჭირო და თან მარტივი...
დღემდის სეტყვის წილი იყო
ვენახ-ყანის შესამედი...
დღეის შემდეგ, არ მაფიქრებს
მე ყანების სვე და ბედი...
ამ პრიბორით ყველა გლეხი
მყის გაიგებს ხოლმე სეტყვას,
და ცეცხლიან მაშხალებით
საპროტესტოს ესვრის სიტყვას.
ვაშა, ვაშა პოლიანდრეს...
მივაძახე: ვაშა, ვაშა...
მოვიხედე... სადღა არის
ჩემოდანი და მაფრაშა.
თურმე, როცა პოლიანდრე,
ხსნიდა თავის აღმოჩენას
პრიბორისკენ რომ იქცევდა
ყურადღებას და ჩემს სმენას:
მაშინ, ვიღაც უსინდისოს,
ჩუმად კარი გაუღია
და კალათი მაფრაშათურთ
მოუპარავს, წაუღია.
პოლიანდრემ ეს ამბავი
მიიჩნია დიდათ არად
სთქვა მან: ალბათ თუ უჭირდა
ვინც აქ იყო მოსაპარათ....
ამას გარდა ჩვენ ისეთი
მოვიპოვეთ გამარჯვება,
რომ ღირს განა, მაფრაშისთვის,
ნათქვამია, ინუგეშე
თავი იმით, რაცა გაქო...
ხოზიკ, ცხვირის ჩამოშვება?..
ამნაირად შეგვეგება
სტუმრათ მოსულთ-ნავთის ბაქო!..

ხოზიკა.

ჩემი მოგზაურობა ჩინეთში

VI

კან-ჩეუ-ფუდან კი-ნგანისაკენ მოტორიანი ნავით

კან-ჩეუ-ფუდან წასვლის წინ ჩვენ გამოვართვით ჯარს ერთი პატარა მოტორიანი ნავი. ჩვენ ბედნიერად ჩავთვალეთ თავი. თქვენ წარმოიდგენთ, ფიცრების ნავში წვალების შემდეგ მოტორი ბედნიერებას გვიქადოდა. მართალია რომ ვთქვა მოტორიანი ნავიც არ იყო კარგი. მისი მოტორი დანჯღრეული იყო, მაგრამ ფიცრულთან რა შედარებაა.

რევოლიუციონური ინტელიგენტის ტიპი

ექვს საათში მხოლოდ 50 კილომეტრი გავიარეთ. ღამემ მოგვისწრო და პატარა სოფელთან გავჩერდით. აქაც არის რამდენიმე პროფკავშირი;; არის აგრეთვე სკოლა, რომელსაც მემარცხენე გომინდანელი ხელმძღვანელობს: ესაა ახალგაზრდა მასწავლებელი, რომელიც ერთსა და იმავე დროს სკოლასაც უძღვება და კავშირებსაც და თუმცა ორიოდე გროშს ღებულობს, მაინც გულწრფელად და თავგანწირულად ემსახურება რევოლიუციის საქმეს. ინტელიგენცია ათასობით იძლევა ასეთ მებრძოლებს.

ამავე ტიპის იყო მუშა ჩენი, რომლის ტრაგიკული ისტორია წინა წერილში გადმოგეცით. ამ ინტელიგენტებს ყველგან იპოვით გომინდანის ქვედა ფენებში, გლეხთა კავშირებში, პროფკავშირებში, არმიაში თვითმმართველობის ორგანოებში. რადგან დიდი ხანი არ არის, რაც მოძრაობაში ჩაებნენ, ვერ მოასწრეს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებამდე მიეღწიათ. მაგრამ ეს პარტიის ჯარისკაცები, ისევე გამოცდილნი არიან. როგორც რევოლიუციის ძეთაურები: ხალხური მასის ცოდნა და ნდობის მოპოვების ნიჭი კიდევ უფრო მეტი აქვთ, ვიდრე ამ უკანასკნელთ.

ეს ადგილი გასაგებიც არის. ისინი თავიდანვე მონაწილეობას იღებდენ მუშებისა და გლეხების მასიურ მოძრაობაში. ამ მოძრაობის პირველი ორგანიზატორები იყვნენ და დღესაც მასების ჭირვარამს იზიარებენ.

ჩვენი სტუმრობა დიდათ ამხნევებს ამ ახალგაზრდა მასწავლებელს.

—რა კარგია, რომ დასავლეთიდან ამხანაგები მოდიხართ ჩვენ დასახმარებლად,—იმეორებს ის რამდენჯერმე.

უნდა უყუროთ როგორ უხსნის თავის მოწაფეებს ჩვენი სტუმრობის მნიშვნელობას. ეს პაწია თავები მოკრძალებით შემოგვცქერიან. გაკვეთილის შემდეგ ჩვენ ვმღერით მათთან ერთად. შემდეგ ეზოში მივყევართ ბურთის სათამაშოთ. უფროსებს რამოდენიმე ინგლისური სიტყვაც ესმით. ძლიერ კმაყოფილნი არიან, რომ ცოტა რამ გავიგეთ ერთმანეთის.

—ჩინური ვახშამით გვიმასპინძლდებიან და შემდეგ ნავამდე გვაცილებენ მუსიკითა და სანათურებით. რადგან ნავზე ძილისთვის ადგილი ცოტაა, პოლიცია თავის პოსტს გვთავაზობს, რომელიც დიდ ნავზეა მოთავსებული, პოლიციის უფროსი თავის ლოგინს მთავაზობს. ის მეუბნება:

— თქვენ შეგიძლიათ მოისვენოთ, ლოგინი სუფთაა.

— ესეც ერთგვარი ზრდილობის ფორმულაა,—მეუბნება ლინგი.

პროცესია და მიტინგი წვიმის დროს

დილით ადრე მივემგზავრებით. გვინდა კინგანში ორი საათისთვის ვიყოთ; დეპეშა გავგზავნეთ და მიგველიან. ქალაქი მდინარის პირას არის გაშლილი სამი კილომეტრის სიგრძეზე. გარს გალავანი არტყია, სახლები პატარა ზომისაა.

კოკისპირულად სწვიმს. ამის და მიუხედავად ქალაქის ერთი თავიდან მეორემდე სანაპიროს გასწვრივ მანიფესტანტები არიან ჩამწკრივებულნი თავიანთი დროშებით. მათ არ იციან, სად შეჩერდა ჩვენი ნავი და ნაპირ-ნაპირ მოგროვდენ.

ბოლოს ჩვენი ნავი სდგება და ნაპირზე გადავდივართ. ვიწრო ქუჩა სავსეა ადამიანებით. ოვაციებს გვიმართავენ. პროცესიის სათავეში ვდგებით. სახლებიდან პეტარდებს ისვრიან. ქალაქის სამმართველომდე ორი კილომეტრია და პროცესია ნაცრისფერ გველივით მიიკლაკნება ვიწრო ქუჩებში: მხოლოდ ალაგ-ალაგ წითლად არის აჭრელებული დროშების წყალობით.

ბოლოს დანიშნულ ადგილზე მივდივართ. ცოტას ვისვენებთ. შემდეგ ხელმძღვანელებთან ვიწყებთ საუბარს: თითქმის ყველა ახალგაზრდა სტუდენტებია, რომელნიც პროფესიონალური რევოლიუციონერები გახდნენ. თითქმის ორმა საათმა განვლო ამ საუბარში, როცა ვიღაცამ განაცხადა:

— მათ არ უნდათ წასვლა.

— ვის.

— მანიფესტანტებს დელეგატების დანახვა სურთ.

— ჰო, მაგრამ მიტინგი ხომ ხვალისათვის არის დანიშნული. დღეისათვის არაფერი გვაქვს განზრახული.

— ეს კარგი იციან, მაგრამ დელეგატების დანახვა სურთ.

— ძალიან კარგი, წავიდეთ.

იწყება რამდენიმე ათასი კაცის აღფრთოვანებული მიტინგი, რომელიც ორ საათს გრძელდა წვიმაში.

გლეხების მიტინგი

რადგან მოულოდნელად მიტინგი შესდგა, ორგანიზატორებმა გადასწყვიტეს აღარ მოეწვიონ ხვალინდელი დღისათვის დანიშნული მიტინგი. დილიდანვე სოფლებში შიკრიკები დაგზავნეს გლეხების გასაფრთხილებლად. წვიმს, მაგრამ გლეხებსაც უნდათ ჩვენი ნახვა. შიკრიკებს უკან ისტუმრებენ გინებით:

— მაინც მოვალთ, რაც უნდა მოხდეს.

შუადღისთვის 10000 კაცამდე იკრიბება, უმთავრესად გლეხკაცობა. ძლიერ გულთბილად მხვდებიან. აფიშებზე ჩვეულებრივი ლოზუნგები სწერია. მაგრამ ისეთი ახალი ლოზუნგებიც არის, რომელიც ორგანიზაციების შეგნების სიმაღლეს მოწმობს:

„მოვსპოთ ლიკინი, გავაუმჯობესოთ პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებელთა მდგომარეობა, ავამაღლოთ გლეხების და მუშების სოციალური მდგომარეობა. ძირს ცხოვრების გაძვირება. მამაკაცები და დედაკაცები უნდა გათანასწორდენ უფლებრივად. გაუმარჯოს ლენინის იდეას. გავაუმჯობესოთ მთავრობის შემადგენლობა. რევოლიუციონურმა მასებმა უნდა ისარგებლონ პრესის, სიტყვის, კავშირის თავისუფლებით, ხოლო რევოლიუციის მტრებმა არა. და სხვ.

მუშები და ხელოსნები

ეს ლოზუნგები სცილდებიან შაბლონურ ჩარჩოებს. ეს იმით აიხსნება, რომ ორგანიზაცია დიდი ხნისაა, საფუძვლიანია და მასსებიც მუდამ მობილიზაციაში იმყოფებიან.

ერთი ახალგაზრდა მოხელე გვიამბობს ორგანიზაციის არალეგალური არსებობის ისტორიას ნაციონალური არმიის მოსვლამდე.

— მუშათა ცხოვრება აქ უფრო ბეჩავია, ვიდრე გლეხებისა, რომელნიც მოსახლეობის 85 პროც. შეადგენენ. გლეხები მხოლოდ მოსავლის ნახევარს აძლევენ მიწის მესაკუთრეებს, ის ნაკლებია ვიდრე სხვა პროვინციებში დაწესებული საიჯარო გადასახადი. მუშების ხელფასი კი ძალიან დაბალია. ვაჭარმრეწველებს არ სურთ მისი მომატება. ამიტომ თვით ჩრდილოელების ბატონობის დროს გაფიცვა ხშირი მოვლენა იყო. მაგრამ აქაური გაფიცვა პატარა მასშტაბისაა, მიტომ, რომ ქალაქში უფრო სახელოსნოებია, ვიდრე ინდუსტრიული წარმოებანი, ჩვენ ბრძოლის ძლიერი ტრადიცია გვაქვს. პროფკავშირების ხელმძღვანელები აქ რევოლიუციის დაწყებამდე მოვიდნენ. მუშებმა მათ კარგად იცნობენ. დღეს უკვე 8000 შეკავშირებული მუშა გვყავს.

გლეხები

ჩვენი გლეხები უფრო ბეჩავი მდგომარეობაში არიან, ვიდრე შენ დახატე, —უთხრა მოსაუბრეს გლეხთა კავშირის მდივანმა:—მართალია მემამულეს მხოლოდ შემოსავალს 50 პროც. აძლევენ, მაგრამ გარდა ამისა მათ ძღვენი უნდა მიართვან (ქათმები და სხ.) ამას ემატება სესხს პროც. (25—30 პროც.). გაიხსენეთ აგრეთვე ოპიუმი. მოსახლეობის 6 პროც., მამაკაცების 20 პროც. ოპიუმს სწევს. სოფლის მოსახლეობის ერთი ნაწილი ნელ-ნელა იღუპება. მილიტარისტები ძალმომრეობას სჩადიან, ხელისუფლება გარყვნილია. საბედნიეროდ 30000 გლეხი უკვე შეკავშირებულია, ორგანიზაცია კარგად არის მოწყობილი და ჩვენ ხელთ არის“.

გომინდანში აქ 6000 წევრი ითვლება. კომუნისტური პარტიაც ათასამდე წევრს შეიცავს. ჯარში (მეორე დივიზიაში, რომელიც ახლოხან შესდგა ტყვეებისაგან) პარტია წარმატებულად მუშაობს, ამ ჯარმაც საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა.

მეორე დღეს აღფრთოვანებული მანიფესტანტების თანდასწრებით ჩვენ პატარა ხომალდში ჩავჯექით და კი-ნგანიდან ნან-ჩანგისკენ გავემგზავრეთ. სადაც ჩან-კაი-შის მთავარი შტაბი იმყოფებოდა.

ჟაკ დორიო.

(შემდეგი იქნება)

ქრონიკა

1.431 მან. თავდაცვის გასაძლიერებლად

მე–№ ქართულ მსროლელთა დივიზიამ საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ხელშემწყობ საზოგადოებას თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად გადასცა 1.431 მან.

კულტურული ტყეების მოშენება რაჭაში

ამჟამად რაჭის მაზრაში სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა კულტ. ტყეების მოსაშენებლად, ასეთი ტყეების მოშენებას ხელი მოკიდეს გლეხებმაც, რომლებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ადგილობრივ მიავლინა სპეციალისტები.

ხელფასის მომატება

მიწათმოქმედების საბეითლო დარგში მომუშავეებს მედსანშრომის კავშირის დადგენილებით გაუდიდდათ ხელფასი. ექიმებს—10—20 მანეთით, ექიმების თანამშრომლებს 10—15 მანეთით, ხოლო სანიტარებს 5—6 მან.

ფასების დაკლება

ცეკავშირის ცნობით უკანასკნელ ხანებში კოოპერატივებში საგრძნობლად დაწეული იქნა ფასები რკინეულობაზე, განსაკუთრებით ლურსმანზე.

თბილისის აღმასკომში

◆ ჟურ. „ტეხნიკა და მეცნიერება“-ს რედაქციას საგამომცემლო ხარჯებისათვის აღმასკომმა გადასცა 2000 მან.

◆ ბოგვის თემაღმასკომს თავის შენობის დასაფარავად დახმარების სახით მიეცა 480 მანეთი.

მილიციელებისათვის საზამთრო ტანისამოსის შესაძენად თბილისის აღმასკომმა გადასდო 1750 მან.

◆ სამხედრო სამოსწავლო წერტების მოსაწყობად კომუნალურ განყოფილებას დაევალა სამხედრო კომისარიატს ქალაქის სხვადასხვა უბანში აღმოუჩინოს შესაფერი ბინა.

◆ მუშათა კლუბების და წითელი კუთხეების შესანახად თბილისის აღმასკომმა გადასდო 20.000 მან.

◆ საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად წელს თბილისის აღმასკომი დახარჯავს 40 ათას მან

◆ ახალი ბაღი. ვერის რაიონის მცხოვრებლებმა აღძრეს შუამდგომლობა აღმასკომის წინაშე ვერის რაიონში ბაღის გაშენების შესახებ.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ ბორჯომის რაიონში დასრულდა მუშათა შრომის პირობების გამოკვლევა. ზოგიერთ დარგში მუშებს მოემატათ ხელფასი. გაუდიდდათ სპეცტანისამოსის ნორმები და სხ.

◆ შრომის დაცვის საქმის გასაძლიერებლად შრომის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა გაადიდოს შრომის ინსპექტორთა შტატი.

◆ სპეცტანისამოსი. შრომის დაცვის განყოფილებას დაევალა ფიზკულტურის მწვრთნელთა და მასწავლებელთათვის შეიმუშაოს სპეცტანისამოსის ახალი ფორმები.

◆ დაჯარიმება. შრომის კომისარიატის დადგენილებით დაჯარიმებული იქნებიან ის დაწესებულებები რომლებიც ერთი თვის განმავლობაში არ წარმოადგენენ თავიანთ მუშა-მოსამსახურეთა სიას

განათლების ფრონტზე

◆ შეშა სკოლებისათვის. თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილება შეუდგა სკოლების შეშით მომარაგებას.

◆ ექსკურსია. აგვისტოს პირველ რიცხვებში კავკავში მიემგზავრება სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა ექსკურსია.

◆ სახელმწიფო უნივერსიტეტში საზეიმო სხდომებისა და საჯარო ლექციებისათვის დიდი დარბაზის მოსაწყობად განათლების კომისარიატმა გადასდო 308 მან.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ შაქარი. თბილისის კოოპერატივებისათვის ამ დღეებში მიღებული იქნება შაქრის საკმაო რაოდენობა.

◆ ჭურჭლეულობა. გასულ თვეში ცეკავშირმა ძირითად კოოპერატივებს გაუნაწილა 11 ნახევარი ვაგონი სხვადასხვა ჭურჭლეულობა.

ჯანსახკომში

◆ საექიმო რაზმები; ამჟამად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მივლინებული არიან თვალის, კბილის და სამალარიო რაზმები, რომლებიც მცხოვრებლებს უწევენ უფასო საექიმო დახმარებას.

◆ ახალი საავადმყოფო. ჯანსახკომმა გადასწყვიტა მიმდინარე წელს დიდ თემებში არსებული საექიმო პუნქტები გადააკეთოს საავადმყოფოებად.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში

◆ სასოფლო-სამეურნეო იარაღები. რაჭის მაზრის აგრო-პუნქტებისათვის მიწსახკომმა შეიძინა 8000 სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

◆ მეურნეობის გეგმა. მიწსახკომის საგეგმო კომისიამ შეიმუშავა სოფლის მეურნეობის ფართო გეგმა მომავალი წლისათვის.

სხვადასხვა

◆ დასასვენებელ სახლებში. სხვადასხვა აგარაკებზე პირველ აგვისტოს გაიგზავნება 82 კაცი მედსანშრომის კავშირის წევრები.

◆ უმუშევართა კრება. 1 აგვისტოს მუშათა მუშათა სასახლის მცირე დარბაზში დილის პირველ საათისათვის მოწვეულია მედსანშრომის მუშაკთა კავშირის უმუშევართა კრება.

შეცდომის გასწორება
„საბინაო აღმშენებლობა“
(„კომუნისტი“ № 170)

1) მეორე სვეტში, ქვევიდან მეორე პწკარში სწერია: 516 პროცენტი, უნდა იყოს 5—6 პროცენტი.

2) მეხუთე სვეტში მანქანაზე გადაწერის დროს არეულია ანგარიში ნაშენის ღირებულებისა, სახელდობრ: მეორე აბზაცში დაწყებული „ერთ კუბ. მეტრის ქვიტკირი სახლის აგება......აბზაცის ბოლომდე უნდა იყოს ამნაირად: „ერთი კუბიკური მეტრის ქვიტკირი სახლის აგება („სამშენის“ ცნობით) ჯდება 18,5—20 მანეთამდე საშუალოდ ანგარიშობენ კუბ. მეტრზე 20 მანეთს; ომამდე კი იგივე ღირდა დაახლოვებით 7,5—8 მანეთი. ზემოაღნიშნული 311.000 კვ. მეტრი საცხოვრებელი მოედნის მისაღებად საჭიროა აშენდეს 7,5 კუბ. მ. X 311000=2332500 კუბ. მეტრი ნაშენი, რაც დაჯდება ეხლანდელი საამშენებლო კალკულაციის მიხედვით 20 მ.X2332500=46650000 მანეთი“.

3 მეცხრე და მეათე სვეტში მოთავსებული ტაბულები უნდა გადატანილ იქნეს ერთი-მეორეს ადგილას.

4) წერილი ხელმოწერილია: „ნ. გავაშელი“ უნდა იყოს: მ. გავაშელი.

ხელოვნება

„ახალი ოპერეტა“

დაიწყო ლენინგრადის სახელმწიფო თეატრის (ახალგაზრდა მაყურებლის თეატრი) „ახალი ოპერეტა“-ს საგასტროლო წარმოდგენები ეულენგის ოპერეტით „სამ ფიჭვში“. ახალი თეატრის ძირითად იდეას შეადგენს პასუხი გასცეს თანამედროვე მშრომელთა მასიდან გამოსულ მაყურებლის მოთხოვნილებებს,—მისცეს მაყურებელს საღი, მხიარული სიცილის შესაძლებლობა და ასახოს სცენაზე თანამედროვე ცხოვრების სურათი. დასის მთელი შემადგენლობა მშრომელთა წრიდან გამოსული ინტელიგენტური ახალგაზრდობა.

ოპერეტის—„სამ ფიჭვში“—შინაარსი მეტად მარტივია. იდეური მუშა-ახალგაზრდა მუშფაკელი, ფაბრიკაში, სადაც ის მუშაობდა, სტოვებს თავის სატრფოს. რამდენიმე წლის შემდეგ ის კვლავ უბრუნდება ფაბრიკას, მაგრამ ველარ სცნობს თავის სატრფოს (მაშო გლაზოვას). მას უხდება ამავე სახელისა და გვარის სამ ქალწულთან შეხვედრა და ამ ნიადაგზე ადგილი აქვს მთელ რიგ სასაცილო გაუგებრობას. დაბოლოს შეყვარებულნი სცნობენ ერთმანეთს და ყველაფერი კარგად თავდება. ოპერეტაში გამოყვანილია კომკავშირელი მუშა, იდეური და პატიოსანი ახალგაზრდა ქალი, უპატრონო ბავშვები, რომლებზედაც კეთილ გავლენას ახდენს კარგი ზნეობის კომკავშირელი ქალი და მთელი რიგი კომიკური ტიპებისა. ოპერეტის მუსიკალური ფორმა ძველია,—ლეგორის გერმანული ოპერეტის საუკეთესო ნიმუშების მიხედვით. ყველა მუსიკალური ნომრები, როგორც სოლო, ისე საანსამბლო,—მელოდიურია. მუსიკალური ნაწილის ავტორი არის ი. ზონდერი. მუსიკალურ ნაწილის შესრულებას თან ახლავს როიალის, სკრიპკის და ვიოლინოს აკომპანიმენტი. დადებით მხარეთ უნდა ჩაითვალოს საუკეთესო ორკესტროვკა. (ოპერეტა სრულდება უსუფლიოროდ). ყველამ ზედმიწევნით იცის თავისი პარტია და მოქმედება მეტად მწყობრად მიდის. ნიჭიერებია პოლიცეიმეკო (მუშფაკელი პავლე), ჩერკასოვი—კომიკი (ალეშა ზვონარიოვი), პუგაჩევა და ოხოტინა (უპატრონო ბავშები), დენისოვა (მაშა გლაზოვა—კომკავშირელი ქალი) და სხვები. დადგმა მასელკისაა. აუდიტორიაში განუწყვეტელი მხიარული სიცილია. უარყოფით მხარეს შეადგენს სცენაზე დაუშვებელი არალიტერატურული გამოთქმანი. ლამაზი ხმები აქვთ პოლიცეიმკოსა და დენისოვას.

პ. გ.

ხელოვნების ქრონიკა

— მუსიკის საღამო. დღეს, მბეჭდავითა და სავაჭრო მუშაკების კლუბში გაიმართება „ქართული მუსიკის საღამო“.

— ბილეთების გაიაფება. 1 აგვისტოდან 15 პროცენტით გაიაფებული იქნება ბაღ „სტელაში“ შესასვლელი ბილეთები, ხოლო კლუბის საწევრო გადასახადი შემცირებულ იქნება სანახევროდ.

— საღამო ინვალიდ. სახლში დღეს 31 ივლისს, ინვალიდთა სახლის (ტრიბუნალის ქუჩა № 48) ბაღში შრომისა და ომის ინვალიდების მონაწილეობით გაიმართება საღამო მრავალფეროვანი პროგრამით.

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე. სტუმრები ინვალიდების რეკომენდაციით.

ადგილების რიცხვი განსაზღვრულია. შესვლა უფასო.

— წითელი თეატრის შეკეთება. ახლო ხანში თბილისის აღმასკომი შეუდგება წითელი თეატრის შეკეთებას.

— რუსთაველის თეატრის შეკეთება. ახლო ხანში შეუდგებიან რუსთაველის თეატრის შეკეთებას.

— ქუთაისის თეატრში მომავალ სეზონისათვის რეჟისორად მიიწვიეს რეჟისორი პ. ფრანგიშვილი.

— „ისხაკის გასაჭირი. სეზმან ერთაწმინდელმა ებრაელთა ცხოვრებიდან დასწერა ახალი პიესა „ისხაკას გასაჭირი“.

— სურათების გამოფენა. პროფსაბჭოს კულტ განყოფილებამ ცენტრ. მუშათა კლუბში მოაწყო მ. თოიძის სტუდიის სურათების გამოფენა. გამოფენა გაგრძელდება ერთ კვირას, რომლის დროს მუშებისათვის გაიმართება ხატვის გაკვეთილები.

— „მთები“. გამოვიდა და იყიდება არნო ონელის ლექსთა კრებული „მთები“. წიგნი შეიცავს 32 გვერდს, ღირს 20 კაპ.

დღეს კინოებში

— მინიონში—„ტკბილი შხამი“.
— არფასტოში—„მაქსიმ მაქსიმეიძე“.
— დარბაზში—„მაქსიმ მაქსიმეიძე“.
— ოდეონში—„ადამიანი კომეტაზე“.
— პალასში—„ვუ-ფანგის საიდუმლოება“.
— აპოლლოში—„არაბი“.
— ეთერში—„მაქსიმ მაქსიმეიძე“.

სასამართლო

განაჩენი შარაშიძის და ჯაბადარის საქმეზე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით გამოიტანა განაჩენი პავლე შარაშიძის და გიორგი ივანეს ძე ჯაბადარის საქმეზე.

როგორც ვსწერდით, პავლე შარაშიძე იყო სისხლის სამართლის მილიციის საიდუმლო ნაწილის რწმუნებული, ხოლო გიორგი ივანეს ძე ჯაბადარი იყო მისი ხელქვეითი აგენტი. პირველს ბრალად ედებოდა ყალბი საბუთების, ანგარიშების შედგენით ფულის მითვისება და გაფლანგვა. მეორეს კავშირის დაჭერა ქურდებთან და ხელისუფლებისათვის სახელის გატეხა.

სასამართლოს ძიებით დადასტურდა, რომ მოქ. პავლე შარაშიძის მიმართ ბრალდება ხელოვნურად გაზვიადებულია, რაც ერთი გარემოება, არც ერთი საქციელი არ ატარებს დანაშაულებივ ხასიათს. სისხლის სამართლის მილიციის საიდუმლო მუშაობის პრაქტიკა სავსებით ადასტურებს, რომ თვითეულ შემთხვევაში პ. შარაშიძე არსებულ წესების მიხედვით მოქმედებდა.

სასამართლომ პ. შარაშიძეს მოხსნა ყველა ბრალდებები და გაამართლა.

ბრალდებულ გ. ი. ჯაბადარს დაუმტკიცდა რა თანამდებობის ბოროტად გამოყენება და ხელისუფლებისათვის სახელის გატეხა, რისთვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით და 6 თვით, წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით.

„ლორიბანი“

— ხალდის, ქალბატონო, ნამდვილი „ზაგრანიჩნია“.

იცოდე, რომ არ ივარგოს, ფული უკან უნდა დამიბრუნო.

— რა თქმა უნდა. ის თვალი დამივსოს, რომელიც გატყუებდეს.

— ხომ იცი, აქ რა ნაირი დაწესებულებაა?

ლაპარაკია მუშკოოპის მაღაზიაში,—აბა აიღე ფული.

კონტრაბანდისტი ღებულობს ფულს 4 მან. 50 კაპეიკს და მიდის.

მეორე დღეს შაანოვის ქალი უჩუნებით არის. მოატყუეს. „პუდრის“ მაგიერ მიჰყიდეს „არყანოვის“ ფქვილი.

გამოჩნდა კონტრაბანდისტი ხელმეორედ. გაჩნდა ჩხუბი.

— შენ რატომ მომატყუე?

— როდის მოგატყუე, ქალბატონო, თუ არ ვარგა უკან წაიღებ.

ამ ლაპარაკს ყურს მოჰკრავს ნოქარი შახნაზაროვი, რომელიც წინადადებას აძლევს კონტრაბანდისტს დასტოვოს მაღაზია.

კონტრაბანდისტი თავს შეურაცყოფილად გრძნობს. ის ჩხუბის ხასიათზეა.

ნოქარი ემუქრება დაპატიმრებით.

კონტრაბანდისტი თავის თავს „ქველმოქმედათ“ სთვლის, რადგან „იაფად ჰყიდის საქონელს“.

ნოქარი მილიციელს უძახის.

კონტრაბანდისტი მოთმინებას ჰკარგავს და სწვდება ნოქარს ყელში.

ნოქარის ხალათი იცვლის თავის ნორმალურ მდგომარეობას და შუაზე იხევა.

კონტრაბანდისტს ალექსანდრე ჩაბანოვს აპატიმრებენ

სასამართლო ადგენს: ალექსანდრე ჩაბანოვი მოთავსებულ იქნას გამასწორებელ სახლში ოცი დღით.

მუშკოოპის გამგეობას კი ეცნობოს, რომ მისი დაწესებულების თანამშრომელი შაანოვის ქალი ჩადის ისეთ საქციელს, რომელიც მუშკოოპს სახელს უტეხს.

გერ.

შემთხვევები

◆ მორგებული გასაღების საშუალებით 29 ივლისს ბერლინის ქუჩა № 16 გაქურდეს ანდრო ჯანიაშვილის ბინა.

◆ კარების შემტვრევის საშუალებით 29 ივლისს კურსკის ქუჩა № 9 გაქურდეს ოლღა სოკოლოვას ბინა. წაიღეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

◆ ამავე დღეს საპიორის ქ. № 45 გაქურდეს გიორგი ჯანდიერის ბინა.

◆ ამავე დღეს სადგურის ქუჩა № 32 მარიამ ხუხუნაშვილს მოპარეს ვერცხლის საათი და სხვადასხვა ნივთები.

ბრძოლა ხანძართან

უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში თბილისში ადგილი ჰქონდა ხანძრის 394 შემთხვევას. გარდა ამისა სხვადასხვა უბედური შემთხვევის დროს მოქალაქეებს 32-ჯერ გაეწიათ დახმარება.

სახანძრო რაზმის ავტომანქანებმა ამ ხნის განმავლობაში გაირბინეს 1.832 ვერსამდე. ხანძრიდან მიყენებული ზარალი 10.976 მანეთს არ აღემატება.

ამ ხნის განმავლობაში გუნდის შემოსავალი უდრიდა 27.889 მანეთს.

ხანძრის საწინააღმდეგო ზომების მისაღებად რაზმში არსებობს ინსპექტორის ორი თანამდებობა. ინსპექტორებს დავალებული აქვთ სახელმწიფო, სამხედრო, და კერძო შენობების და ფაბრიკა-ქარხნების ტეხნიკური დათვალიერება სათანადო აქტების შედგენის უფლებით. აქტები იგზავნება დანიშნულებისამებრ ხანძრის საწინააღმდეგო ზომების მისაღებად.

ინსპექტორების კონტროლს ქვეშ არიან ქალაქში არსებული თეატრები, კინო-თეატრები, და საერთოდ ხალხის შესაკრეფი ყველა შენობები.

საანგარიშო პერიოდში (26 წლის პირველ ოქტომბრიდან 27 წლის პირველ მაისამდე) დაათვალიერეს 1.176 სხვადასხვა შენობა;

ქალაქში არსებობს 6 მუდმივი საგუშაგო და 12 დროებითი საგუშაგო პუნქტი.

გარდა ქალაქის სახანძრო რაზმისა, თბილისში არსებობს სამი საუწყებო (არსენალის, რ. გ. თბილისის კვანძის და სასურსათო საწყობების სახანძრო რაზმი), რომელთაც ერთად ჰყავთ 55 თანამშრომელი.

ფეხბურთი

„არსრაიონი“—„საგ.-სატ. სახელ. პოლიტსამმართველო“

პარასკევს, 29 ივლისს, „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა „არსრაიონის“ და საგზაო-სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს გუნდის ამხანგური შეჯიბრი. შეჯიბრს სჯიდა ამხ. გალპერინი.

თუმცა არც ერთი გუნდი არ თამაშობდა თავისი ძირითადი შემადგენლობით, მაგრამ მატჩი მაინც საინტერესო გამოდგა.

შეჯიბრი დამთავრდა 3:1 „არსრაიონის“ სასარგებლოდ.

კავკაველი ფეხბურთელები თბილისში

დღეს თბილისში მოელიან კავკავის ფეხბურთელთა გუნდ „დინამო“-ს, რომელიც აქ გამართავს ორ შეჯიბრს.

შეჯიბრები გაიმართება სამშაბათს და ოთხშაბათს საგზაო-სატრანსპორტო სახელმწიფო-პოლიტიკურ სამმართველოს გუნდი და „არსრაიონი“.

ფოთის „დინამო“ მაიკოპში

ფოთის „დინამო“ ჩავიდა მაიკოპში, სადაც შეჯიბრი ჰქონდა ადგილობრივ საუკეთესო გუნდთან.

შეჯიბრ დამთავრდა 6:1 ფოთელების სასარგებლოდ. ფოთის „დინამო“-ს განზრახული აქვს ესტუმროს შავი-ზღვის სანაპიროების ყველა ქალაქებს.

თბილისელი ფეხბურთელები ბათომში

ბათომში ჩავიდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც იქ ჩაატარა ორი შეჯიბრი.

ორივე შეჯიბრი თბილისელების გამარჯვებით დამთავრდა.

თბილისის „დინამო“-ს გამარჯვება

თბილისის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“ ქალ. გორლოვკიდან. სადაც ორი მატჩი მოიგო, გაემგზავრა ქ. კონსტანტინოვკაში (უკრაინა); კონსტანტინოვკაში „დინამო“-ს შეჯიბრი ჰქონდა ადგილობრივ საუკეთესო გუნდთან და შემდეგ ქალაქის ნაკრებ გუნდთან.

ორივე შეჯიბრი დამთავრდა თბილისელების გამარჯვებით: პირველი—1:0 და მეორე—5:2

„დინამო“ თბილისიდან გაემგზავრა შემდეგი შემადგენლობით: **დ. ცომაია, ფოჩხუა, ფრუიძე; ანიკინი, ჟორდანია; ფეოდოროვი; ქოაივა; ფაჩულია; დიაკოვი, ვაჩნაძე და ქებაძე.**

სათადარიგო მოთამაშეები: **ბალდოევი, ვლ. ცომაია, გასპაროვი და პარასტაევი.**

გუნდის წარმომადგენელია ამხ. **ბლანკმანი.**

რადიო-გადაცემა

კვირა, 31 ივლისი.

დღეს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

გლეხთა გაზეთი—ქართულ ენაზე (7—7—20).

მელიორაცია ამიერ-კავკასიაში—ლექცია ქართულ და რუსულ ენებზე (7—20—8).

კომკავშირელთა გაზეთი—ქართულ და რუსულ ენებზე (8—8—20).

ტეხნიკური კონსულტაცია (8—20—8—40).

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია ქართულ და რუსულ ენებზე (8—40—8—50).

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია (8—50—11).

შრომის ბირჟაში

მუშა-ხელის მოთხოვნილება

ხვალ ორშაბათს 1 აგვისტოს, შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

საწარმოვო კვალიფიკაციურ მუშათა პირველი სექცია: არკადი ასკაროვს.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექცია: აკაკი სირბილაძეს, შალვა ჯიქიას; ვალოდია სულხანიშვილს, ნატალია მაისურაძეს; ეფემია კალინოვას, რიფსიმე ხაბელაშვილს, ნიკოლოზ უმიაროვს მარიამ ჩერქეზიშვილს, პელაგია თვაურს, ნინო ბიბილაურს, მირონ შენგელიას, ნინო ნინოშვილს, რაჟდენ ყაველაშვილს, მიხეილ ბიბილაშვილს; იაგორ ჩოტლადოს, თამარ ჯაფარიძეს, არჩილ მირიანაშვილს; სოლიკო სინჯიკაშვილს, ალექსანდრე ჩხატიშვილს, ალექსანდრე ჩხატიშვილს, კონსტანტინე ტაბიძეს, იასონ მჭედლიძეს; მილიტა საგიანს, ელისაბედ ერაზოვს; ელისაბედ იანესიანს, ზინაიდა მირიმანოვს, აკაკი ბოხუას; სირანუშ გევორგოვას, მარია ლაზარევას, ნ. აბრალამოვას, ანნა ტარასიუკს; თამარ ჯანელიძეს, რუსუდან ბაქრაძეს, მიხეილ კირვალიძეს, მიტროფანე გოგიჩაიშვილს, ალექსანდრე ხუნჯუას, ნიკოლოზ ღარიბაშვილს; ოლღა ლებედევას; რ. როტაისკაიას. სკანდარ ფრეშევს, პარასკევა კობახიძეს; გიორგი ეგნიშვილს, მიხეილ ენიკოლოპოვს, ვალერიან ნაჭყეპიას, არჩილ დეკანოზიშვილს, გიორგი კიკნაძეს; შალვა მხეიძეს; ალექსანდრე მაჭავარიანს და პ. გიგვაშვილს.

მეხუთე სექცია: ლევან შატბეროვს, ალექსანდრე ალუაშვილს, ნიკოლოზ გურევს, გარეგინ ავაქოვს, აკოპ სააკოვს, გ. შატვეროვს, ალექსანდრე მაჩაიძეს; მიხეილ ჭიჭინაძეს, გევორქ აგაბაბოვს, ალექსანდრე სტეფანიშვილს. გიორგი იმხანოვს, გიორგი იმხანოვს, დ. გადიანცს და ნერსეს პოლოიანცს.

მედსანშრომის სექცია: მარიამ კოროშენიძეს, ელენე თენეიშვილს, მარიამ ქავჯაიას; თამარ კვირკველიას, მარო მენაბდეს. ვერა ნადარეიშვილს, ვიქტორ შმიდტს, გრიგოლ ჭირაგაძეს; ვასილ ერმოლოვს; ალექსანდრე გიორგაძეს და რომან მოძღვრიშვილს.

მეცნიერება და ტეხნიკა

ულტრა-იისფერი სხივები და უმავთულო ტელეფონი

იტალიელმა პროფ. **მაიორანამ** იტალიის სამეცნიერო აკადემიაში გააკეთა მოხსენება იმ ცდების შესახებ, რომელთაც იგი აწარმოებდა ულტრა-იისფერ სხივებზე, როგორც უმავთულო ტელეფონის საშუალებაზე.

პროფ. მაიორანის განცხადებით, მან ულტრა-იისფერი სხივების საშუალებით მოახერხა უმავთულოთ საუბარი 16 კილომეტრის მანძილზე.

გასახსნელი აეროპლანი

საჰაერო მიმოსვლის უშიშროება უსათუოდ უნდა გაიზარდოს ერთ ფრანგ კონსტრუქტორის ახალი გამოგონების წყალობით. ფრანგი კონსტრუქტორი წინადადებას იძლევა, რომ მგზავრების ოთახები, მფრინავის და მისი თანაშემწეს ოთახთან ერთად ისე იქნეს მოწყობილი, რომ შესაძლებელი გახდეს მათი განცალკევება. აეროპლანის ამ ნაწილზე მიმაგრებული იქნება უზარმაზარი პარაშიუტი. კატასტროფის დროს მფრინავი ფოლაქზე უბრალო ხელის დაჭერით ანცალკევებს მგზავრებისა და თავის ოთახს, რომლებიც ეშვებიან დაბლა პარაშიუტის საშუალებით იმ დროს, როცა აეროპლანის დანარჩენი ნაწილი ქვასავით ვარდება მიწაზე.

რევოლვერი—პროჟექტორი

შეერთებულ შტატებში ხმარებაში შედის რევოლვერი—პროჟექტორი, რომლითაც ფართედ სარგებლობენ დარაჯები, პოლიციელები, მოგზაურები და სხვ. რევოლვერი იტევს შვიდ ტყვიას. მისი ლულის გასწვრივ მიმაგრებულია ძლიერი ელექტრონის ფანარი, რომელიც ნიშანს ანათებს 50 საჟენის მანძილზე.

მზის ვანების მიღება ტანსაცმელში

ერთმა ინგლისელმა მეცნიერმა ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოიგონა განსაკუთრებული ქიმიური სითხე, რომლით გაჟღენთის შემდეგ ქსოვილები ატარებენ ულტრა იისფერ სხივებს ამრიგად შესახებელი ხდება მზის ვანების მიღება ტანსაცმლის გაუხდელათ და მთელი დღის განმავლობაში სარგებლობა მზის სხივებით.

ამ გამოგონებას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის იმ ფენებისათვის, რომლებიც მოკლებული არიან საშუალებას ზაფხულობით გაემგზავრონ საგარაკოთ,—და პირველ რიგში ბავშვებისათვის.

წამის მეასმილიონედი ნაწილის გაზომვა

ამერიკელმა მეცნიერმა **გუდვინმა** დაამზადა მოწყობილობა, რომელიც შესაძლებლად ხდის წამის მეასმილიონედი ნაწილის გაზომვას. ამ მოწყობილობით სარგებლობენ ისეთ ელექტრონული მოვლენების შესასწავლათ, რომლებიც მცირე დროის განმავლობაში გრძელდებიან, მაგალითად—ელვის შესასწავლად.

უცნაური ავადმყოფი

ლონდონის ერთ-ერთ საავადმყოფოში ამჟამად სამკურნალოდ წევს ჰოლანდიელი მეზღვაური, რომელმაც მთელი ადგილობრივი ექიმების ყურადღება მიიპყრო .

მის კანს აქვს თვისება ორჯერ დღეში შეიცვალოს ფერი. კანი ჯერ სრულიად თეთრია, შემდეგ იწყებს გაშავებას და დაბოლოს მეზღვაური იქცევა ნამდვილ ზანგათ. რამოდენიმე საათის შემდეგ ტანი ისევ იწყებს გათეთრებას. ამ მოვლენის ახსნა ჯერ ვერ მოუხერხებიათ ექიმებს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 59

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი დაზღვეულთა სამკურნალო დახმარე ბის მოწყობის შესახებ

საბჭოთა მედიცინის ერთიანობისა და იმ საჭიროების მიხედვით, რათა დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების საქმეში გაძლიერებულ იქნეს გეგმიანი ხელმძღვანელობა, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს. ს. რ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოხდეს ლიკვიდაცია დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ყველა იმ სპეციალური განყოფილებისა, ქვე-განყოფილებისა და თანაგანყოფილებისა („მუშათა მედიცინა“), რომელიც შედის საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა. აფხაზეთის ს. ს. რ-სა, აჭარისტანის ავტონომიური ს. ს. რ-სა და სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების აპარატის შედგენილობაში და რომელიც, აგრეთვე, ჯანმრთელობის ადგილობრივ ორგანოსთან არსებობს. მთელი მუშაობა დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების მოწყობისათვის დაეკისროს მთლად აღნიშნული ორგანოების აპარატს.

2. დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდი ჯანმრთელობის სათანადო ორგანოების გამგებლობასა და განკარგულებაშია.

3. დაზღველთა სამკურნალო დახმარების ფონდის გამოსაყენებლად ჯანმრთელობის ორგანოები შეადგენენ ცალკე ხარჯთ-აღრიცხვას და გეგმას; ამასთანავე ეს ფონდი შეიძლება იხარჯებოდეს დაზღვეულთათვის ყოველგვარი სამკურნალო და პროფილაქტიური დახმარების გასაწევად.

4. დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდი არ უნდა იქნეს მოქცეული ადგილობრივ ბიუჯეტში და ამ ფონდმა არ უნდა გამოიწვიოს ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტით ჯანმრთელობის საქმისათვის გადადებული ასიგნოვების შემცირება. ამ ფონდის ხარჯი, იხარჯება, როგორც ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებული თანხების დამატება და იგი ბიუჯეტში აღინუსხება ბალანს გარე, განსაკუთრებული შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვით, რაც სათანადო ბიუჯეტს დაერთვის.

5. დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდის გეგმებისა და ხარჯ-აღრიცხვების განსახილველად საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებთან, აგრეთვე აფხაზეთის ს. ს. რ-სა, აჭარისტანის ავტონომიური ს. ს. რ-სა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებთან და მათ ადგილობრივ ორგანოებთან, ნაცვლად არსებული მუშათა დამზღვევ თათბირებისა, მოეწყობიან საბიუჯეტო კომისიები.

ჯანმრთელობის აღნიშნულ ადგილობრივ ორგანოებთან საბიუჯეტო კომისიები დაარსდებიან ჯანმრთელობის განყოფილების გამგის (ან მისი მოადგილის) თავმჯდომარეობით და სათანადო აღმასრულებელი კომიტეტისა, დამზღვევი სალაროს და სამაზრო პროფესიონალურ კავშირთა ბიუროს თითო წარმომადგენლის შემადგენლობით, ხოლო ჯანმრთელობის აღნიშნულ სახალხო კომისარიატებთან საბიუჯეტო კომისიები მოეწყობიან — ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლისა (კომისიის თავმჯდომარე) და სოციალური დაზღვევის ორგანოებისა და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს თითო წარმომადგენლის შედგენილობით.

დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდის გეგმებსა და ხარჯთ-აღრიცხვებს აღნიშნული კომისიები წარუდგენენ დასამტკიცებლად სათანადო სახალხო კომისართა საბჭოებს (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში — ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს) ან აღმასრულებელ კომიტეტებს — კუთვნილებისამებრ.

6. სრულიად საქართველოს დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდის ხარჯვის გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან მოეწყობა, ნაცვლად მუშათა დამზღვევი თათბირისა, რესპუბლიკანური საბიუჯეტო კომისია — ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლისა (კომისიის თავმჯდომარე) და სოციალური დაზღვევის ორგანოებისა და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელთა შედგენილობით.

სრულიად საქართველოს დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების სათადარიგო ფონდის გეგმასა და ხარჯთ-აღრიცხვას დაამტკიცებს საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო, რომელიც აგრეთვე გადასწყვეტს ყველა სადავო საკითხს ამ გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის გამო.

7. დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდის ხარჯთ-აღრიცხვაზე გავრცელდება საბიუჯეტო დისციპლინის ყველა წესი; ამასთანავე ხარჯთ-აღრიცხვის შეცვლა არ შეიძლება სათანადო დამზღვევი ორგანოს თანხმობისა და სათანადო სახალხო კომისართა საბჭოს (სამხრეთ - ოსეთის, ავტონ. ოლქში ცენტრ. აღმას. კომიტეტის) ან სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის დასტურის გარეშე.

8. დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდის ასრულებითი ხარჯთ-აღრიცხვა განიხილება იმავე საბიუჯეტო კომისიაში და დასამტკიცებლად წარედგინება სათანადო სახალხო კომისართა საბჭოს (სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში — ცენტრ. აღმ. კ-ტს) ან სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს — კუთვნილებისამებრ.

9. პასუხისმგებლობა დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ადგილობრივ მოწყობისა და დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდის დამტკიცებული ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად ხარჯვისათვის დაეკისრება აფხაზეთის ს. ს. რ-სა, აჭარისტანის ავტონომიური ს. ს. რ-სა და სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის სახალხო კომისრებსა და ჯანმრთელობის სათანადო განყოფილების გამგეს.

10. საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს დაევალა, საქართველოს ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, წარუდგინოს, ორი თვის განმავლობაში, საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად რესპუბლიკანური საორიენტაციო ნორმები დაზღვეულთა უფასო სამკურნალო დახმარებისა.

აფხაზეთის ს. ს. რ-სა და აჭარისტანის ავტონომიურ ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, აგრეთვე ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები რესპუბლიკანური საორიენტაციო ნორმების თანახმად, დააწესებენ, ჯანმრთელობის ადგილობრივი ორგანოების წარდგენით და ადგილობრივი პირობების მიხედვით, დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ადგილობრივ ნორმებს. ამ ნორმების პროექტს ჯან-ბის ორგანოები შეუთანხმებენ შრომისა და პროფესიონალურ კავშირთა ადგილობრივ ორგანოებს.

11. ყოველ დავას ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატსა, შრომის სახალხო კომისარიატსა და შრომის და ჯანმრთელობის ადგილობრივ ორგანოებს შორის—დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ნორმებისა, ამ ნორმების შეფარდებისა, სამკურნალო დახმარების ხარჯთ-აღრიცხვისა და ამ ხარჯთ-აღრიცხვის შესრულების საკითხების გამო—გადასწყვეტს სახალხო კომისართა საბჭო ან სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი.

12. დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების გასაუქმებელი განყოფილებისა, ქვე განყოფილებისა და თანაგანყოფილების საშტატო ერთეულს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი და ჯანმრთელობის ადგილობრივი ორგანო გამოიყენებს თავის აპარატის სათანადო ფუნქციონალური ნაწილის განმტკიცებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს წარმატებითი მუშაობა დაზღვეულთათვის მოსამსახურეობის გაწევისა და დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდის სათანადო აღნუსხვის საქმეში.

13. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცეს, ორი კვირის ვადაზე, ჯანმრთელობის ადგილობრივი ორგანოების სახელმძღვანელოდ, ინსტრუქცია ამ დადგენილების შეფარდებისათვის.

სრულიად საქრთველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. ივნისის 4.
თბილისი–სასახლე.

იურიდიული დახმარება

უმუშევარ დაზღვეულს თამარა თავირას

პასუხი

ბინის ქირას გადაიხდის თქვენი ქმარი, რომელიც ეწევა (შინაურულად) კერძოდ მასწავლებლობას, სახლის პატრონთან შეთანხმებით თითოეულ კვადრატულ მეტრზე არა ნაკლებ ორი შაურისა და არა უმეტეს 27 კაპიკისა. (იხ. საბინაო ტარიფის მუხლი 9 და 17. ქალ. აღმასკომის და საბჭოს მოამბე № 10—11 ოქტომბერ-ნოემბერში 1926 წ.).

ბინის იქრა აღნიშნულ ფარგლებში, თუ მას სახლის პატრონი არ მიიღებს, შეიტანეთ თბილისის ხაზინაში.

თქვენ და სახლის პატრონს შორის დავას საბოლოოდ გადაწყვეტს სასამართლო.

როსტომ გამცემლიძეს

პასუხი

როდესაც მიწის მოსარგბლეს არსებულ წესებისამებრ სახელმწიფო ანდა საზოგადოებრივ საჭიროებისათვის ჩამოერთმევა მიწა ანდა მისი ნაჭერი, რის გამო მიეყენება სოფლის მეურნეს ზარალი, მეურნეობის ღირსება მცირდება, ანდა მისი ნორმალური წარმოება შეუძლებელი ხდება, მაშინ დაზარალებულს უნდა მიეცეს სხვა ადგილას ბადალი მიწა ჩამორთმეულის რაოდენობით და უნდა აუნაზღაურდეს ზარალი (იხ. მიწის კოდექსის მუხ. 20).

ყველა ამის შესახებ თქვენ უნდა მიმართოთ სათანადო განცხადებით შორაპნის მაზრის საადგილ-მამულო განყოფილებას.

სოფ. სალომინაო (ქუთაისის მაზრა) მცხოვრ. ქვრივს **ივლითი მერკვილიშვილისას**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

„სამშაბათს, ორ აგვისტოს, დღის პირველ საათზე ცეკას აგიტპროპ განყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელზედაც მოწვეულნი არიან: ამხ. მიქაძე, იმედაძე, ორახელაშვილი, მეგრელიძე; ბუდილევი.

ამხანაგებს გთხოვთ დაუგვიანებლივ გამოცხადდენ.

„წინადადება ეძლევა ამხ. გოგი დევდარიანს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ც. კ. საძღ. განმან. ქ. განყოფილებაში ამხ. ლიცინოვთან“.

„ორშაბათს, პირველ აგვისტოს, საღამოს შვიდ საათზე დანიშნულია ცეკას აგიტპროპ კოლეგიის სხდომა, რომელზედაც მოწვეულნი არიან— ამხ. გ. ყურულაშვილი, თ. ჟღენტი, ორახელაშვილი, შუშანია; ბუდილევი; მუშიშვილი; არუთინოვი სერგო, მიქაძე, სნეგირევი, ადამიძე; რამიშვილი; ა. სიხარულიძე; ფირალიშვილი და ჟორჟოლიანი ილია.

აღნიშნულ ამხანაგებს ვთხოვთ დაუგვიანებლად გამოცხადდენ.

დედა—დესპინე გიორგის ასული და მამა—იოსებ დავითის-ძე **სიდამონიძე**, მეუღლე—ალექსანდრე ბესარიონის-ძე **ლომთაძე**, და—ელენე იოსებ სიდავას ასული, სიძე ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **ბრომაშვილი** და მამიდა რიტა დავით სიდავას ასული ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ამა წლის 30 ივლისს, საღამოს 5 საათზე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ნინა (ნინიკო) იოსებ სიდავას ასული
ლომთაძისა

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა: სამშაბათს, ა. | წ. 2 აგვისტოს, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ჭავჭავაძის ქ. № 9.

ღრმად დამწუხრებულნი დები კატო და ბატუ, რძალი ოლღა შვილებით, ძმა ექიმი სიმონ ალექსის-ძე და ძმის შვილი გიგილო გრიგოლის-ძე ჩიქოვანები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ამა წლის 20 ივლისს ქალაქ როსტოვში მძიმე ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა სამხრეთ კავკასიის უნივერსიტეტის გოსპიტალურ ქირურგიული კლინიკის ასისტენტი

კონსტანტინე (ბუძა) ალექსის-ძე
ჩიქოვანი

რომელიც დაკრძალულია დროებით როსტოვში. 1—1 3451

საქართველოს ს. ს. რ. ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს თბილის—მანგლისის და თბილის—საათის გზების დისტანციის მუშა-მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ დისტანციის თანამშრომელ

იოსებ გრიგოლის-ძე
არზუტინსკის

უდროოთ გარდაცვალებას ა-წ. 28 ივლისს. დაკრძალვა მოხდება ა-წ. 30 ივლისს, დილის 10 საათზე ნავთლუღის სასაფლაოზე, საკუთარი ბინიდან: ნავთლუღი, სახელოსნოს ქუჩა № 4. 1—1 3455

ღრმად დამწუხრებულნი ძიძიდა ეკატერინე იოსების ასული, დები: ნინო, და ბარბარე, ძმა: იოსები, რძალი ნინო, ძმისწული: ნანა ელისაშვილები და მამიდაშვილი ნინო ბაბოქაშვილი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ა. თ. 25 ცეში უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

თამარ ილარიონის ასული
ელისაშვილი-მათიაშვილისა

გამოსვენება დღეს, 31 ივლისს დილ. 11 საათ. ტროცკის ქ. № 26 (ყოფ. პეტრე დიდის) დაკრძალვა პეტრე პავლეს სასაფლაოზე.

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო
(არტოს ბაღში).

უკანასკნელი სურათი სერიიდან
„ჩვენი დროის გმირი“
„მაქსიმ მაქსიმიჩ“
რეჟ. ვ. გ. ბარსკის დადგმა.
ოპერატორები: ა. პოლიკევიჩი, ვ. პოზნანი·
მთავარ როლებში: ვიშნევსკაია, ობოლენსკი, პროზოროვსკი და სხვ.

პირველად თბილისში მხატვრული კინო-პიესა
აღმოსავლეთის ცხოვრებიდან
მთავარ როლში რამონ ნავარო „არაბი“ საუკეთესო სურათის სკარამუში-ს გმირი
დადგმა ცნობილი რეჟისორის რეკს ინგრამისა.
შენიშ.: ვინც კინოს ბილეთს იყიდის, იგი არტოს ბაღში შესასვლელ ფასს არ იხდის და სარგებლობს უფლებით დაესწროს ყველა გასართობებს ბ ა ღ შ ი.
ანონსი: სამშაბათიდან, 2 აგვისტოდან კინო „დარბაზ“-ში სეზონის საუკეთესო სურათი „დასაგმობია დანაშაული“
0—23 ნ. 13 88

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის
სამმართველო
აცხადებს ხელმეორე
საჯარო ვაჭრობას
რომელიც დანიშნულია 4 აგვისტოს, დღის 12 საათზე სამმართველოს შენობაში, რუსთაველის პრ. № 43, 26.000 ფ. ქერის და 16.600 ფუთი დაწნეხილი თივის შესაძენად. საჯარო ვაჭრობის პირობებთან გაცნობა შეიძლება ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს საფოსტო განყოფილებაში, ოთახი № 22 ნ. 1516

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
იღებს ავადმყოფებს
ბორჯომში.
13—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ხოე“-ს პირდაპირ

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“, პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8). 25—1

ფინსახკომის გამგებლ. მყოფი სათანადო უფლებით აღჭურვილი ორწლიანი
ეკონომ-ფინანსიური
კურსები.
უმზადებს მუშაკებს: კომისარიატებს, აღმასკომებს, ტრესტებს, ბანკებს, კოოპერატივებს და ყოველგვარ კომერციულ დაწესებულებებს.
საგნები: ფინანსები (ზოგადი კურსი, ფინანსიური პოლიტიკა, ადგილობრივი ფინანსები, რესპუბლიკანური ბიუჯეტი, პირდაპირი გადასახადი, არაპირდაპირი გადასახადი, არასაგადასახ. შემოსავალი, სახელმწიფო კრედიტი), პოლიტიკური ეკონომია (ზოგადი კურსი, ეკონომიური პოლიტიკა, ეკონ. მოძღვ. ისტორია, ფული, კრედიტი, ბირჟა), სტატისტიკა, ეკონ. გეოგრაფია, კომუნალური მეურნეობა, კოოპერაცია, ვაჭრობის თეორია და პრაქტიკა, საქონელთ—მეტყველება, კომერციული კორესპონდენცია და საქმის წარმოება, ბუხჰალტერია (ზოგადი, სპეციალური), სავაჭრო და საფინანსო გაანგარიშება, იურიდიული საგნები და სხვა.
მიიღებიან: 1. საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულნი. 2. დაწესებულებათა თანამშრომელნი—კურს დაუმთავრებელნი—კოლოკვიუმით.
გადასახადი: წლიურ. 120 მ. სემესტრში 60 მ.
განცხადება მიიღება დილის 10—1 ს-დე, გარდა უქმეებისა. განცხადებასთან სავალდებულოა 30 მან. შეტანა, შეიძლება ფოსტით. მისამართი: თბილისი, წულუკიძის ქ. (ყოფ. კრუზენშტეინის) № 10. ადმინისტრაცია.
10—1 ნ. 1435.

მუშათა ახალი კლუბი (ყოფ. ქართ. კლუბი)
კომინტერნის ქ., № 5
დღეს, კვირას 31 ივლისს,
ქართული მუსიკის საღამო
დ. არაყიშვილის, ზ. ფალიაშვილის და მ. ბალანჩივაძის ნაწარმოებნი. შესრულებული იქნება არიები „აბესალომ და ეთერიდან“, „დაისიდან“, „შოთა რუსთაველზე თქმულებიდან“, „თამარ ცბიერიდან“ და რომანსები.
მონაწილეობას იღებენ: ანდღულაძე, მრავალი, ცირლილაძე, ექსანიშვილი, ჭუმბურიძე, ლაბაშიძე, ალბერტი და ჩიკვაიძე. როიალთან ანდრონიკაშვილი.
დასაწყისი საღ. 9 საათ. 6—9 საათამდე ბავშვებისათვის წარმოდგენა და გასართობები. ნ. 1513. გამგეობა.

იყიდება
რულონის ჩამონახევი თეთრი ქაღალდი
რუსთაველის გამზირი № 34.
3—1 მთავარი კანტორა.

მე **სიმონ სპირიდონისძე ქართველიშვილი** მცხ. ქ. სამტრედიაში, ტროცკის ქ. № 3 ამით **ვაცხადებ,** რომ ჩემს მიერ ძიცემული მინდობილობა მოქ. ალექსანდრე იაკობისძე ბოგატირიოვზე მცხ. ქ. ბათომში—ყოველივე ჩემი საქმეების ირგვლივ რაც აღნიშნული და დამტკიცებულია ქ. ბათუმის სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ ა. წ. 17 მაისის თარიღით, № 953 ჩაითვალოს დღეის რიცხვიდან გაუქმებულად. ამასთანავე თუ ვინმეს ზემოთ-აღნიშნულ რიცხვიდან დღემდე დაჭერილი აქვს ხსენებულ ბოგატირიოვთან ჩემი სახელით რაიმე საქმე, მეცნობოს ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამის გამოცხადებისა. ნ. 1518

წაღვერში
ექიმი მეგრაბიანი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით სამკურნალო კაბინეტში ხელოვნური მთის მზე. იონნოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. აფთიაქის თავზე. 25—18

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

დაკარგა საბინაო წიგნი თამარშენის ქუჩა, მე-9 უბანი სახლი ალექსანდრე მათესძე თელიძესი, ჩ. გ. 3453

დაკარგა 9 წლედის მოწმობა № 225 მარიამ მანჯავიძეს სახელზე, ჩ. გ. 3458

დაკარგა სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი ფორმა № 4 გაცემული სიღნაღის რაიონის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ კოტე მირიანაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1519

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 3464 გაცემული თბილისის მმაჩის ცენტრალურ განყოფილებიდან ნიკოლოზ მანჯგალაძის სახელზე, ჩ. გ. 3457

დაკარგა ატესტატი, ქუთაისის წმინდა ნინოსსასწავლებლის დამთავრების, გაცემული 1920 წელში მარიას ივლიანეს ასული სულუხიას სახელზე, ჩ. გ. 3456

დაკარგა პირადობის მოწმობა, რკინ. გზის დაზღვევ სალაროდამ გაცემული დარია ივანეს ასული აბულაძის სახელზე, ჩ. გ. 3456

დაკარგა პარტიული პირადი საქმე და საერთო საკავშირო აღრიცხვის ბლანკი დავით ევლიასძე გოგიჩაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3452

დაკარგა პირადობის მოწმობა და სალექციო წიგნაკი მოცემული სამეანო გინეკოლოგიური ინსტიტუტიდან ლიდა ჯაშის სახელზე, ჩ. გ. 3454

„კომუნისტი“
ხელისმოწერა მიიღება
თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34
პროვინციაში

1. ხაშურში—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. ჭიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. სამტრედია—განყ. გამგე ვლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
5. სენაკი—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
6. აბაშა—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. ფოთი—ფოსტა ტელეგ. კანტორაში.
8. ბათომი—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
9. ზესტაფონი, ჩხარი, სვირი, აჯამეთი. ათ. ცხომელიძე.
10. დიდი ჯიხაიში—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
11. ოზურგეთი—განყ. გამგე პოლ. ინწკირველთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათვის
12. თელავი—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
13. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
14. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კოლასონიასთან.
15. სოხუმში—ფოსტა ტელეგ. კანტორაში
16. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე შიშნიაშვილი ესტატე
17. სად. ბორჯომი—რ. თარგამაძესთან
18. ბორჯომ-ბაღი—მაკაცარია
19. აბასთუმანი—ნაზარიანი.
20. კოჯორი—ზაკავტოპრომტორგი.
21. მანგლისი—მელიქ-ალაიანცი.
22. წაღვერი—ორაგველიძე.
23. ბაკურიანი—რუხაძე.
24. ნავთლუღი—კიოსკი.

და სპეციალურ რწმუნებულების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით
0—1 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

აღმასკომის სტამბა. კამოს ქ. ..